# არსენალი

„კვირის პალიტრა“. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. №6 (11). ივნისი. 2005. ფასი 1,5 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

13/2



უხილავი "მფრინავი ინდიელი"

„კალაშნიკოვი“ თუ „შავი შაშხანა“

1425/2
2005

„ბისმარკზე“ ნადირობა

ჩვენთვის გაუგებარი საქმელი

ქართული „ომის ღმერთი“ ძლიერდება

დიდი სპეცსამსახურების დიდი შეცდომები

ეროვნული ბიბლიოთეკა



აღლუმი — ბევრი სამხედრო... ცოტა ტექნიკა

6



გამარჯვების პისტოლეტიდან კილერების იარაღამდე

54



„ბისმარკზე“ ნადირობა

40

„ჩვენ, სამხედროები უნდა ვემზადოთ ომისთვის. მისი დაწყება-არდაწყება კი პოლიტიკოსების საქმეა“

9





გამხეცებული მანქანა

50



ჰასკი

30

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

კალეიდოსკოპი
4 უცხოეთის ამბები
ალბომი
6 ბევრი სამხედრო... ცოტა ტექნიკა
ახალი ამბები
8 მოკლე ინფორმაციები
ინტერვიუ
9 „ჩვენ, სამხედროები უნდა ვემზადოთ ომისთვის. მისი დაწყება-არდაწყება კი პოლიტიკოსების საქმეა"
სპეცსამსახურები
12 დიდი სპეცსამსახურების დიდი შეცდომები
14 ეყოლება საქართველოს სამხედრო დაზვერვა?
15 მრავალმიზნობრივი საიდუმლო სპეცფონდი
15 სამხედრო ლექსიკონი
მკითხველის გვერდი
16 „კალაშნიკოვი" თუ „შავი შაშხანა"
17 შემდგარი და უშედეგო ტერაქტები
18 უხილავი „მფრინავი ინდიელი"
განვევა
20 „ყველა ქართველ მამაკაცს საამაყოდ უნდა მიაჩნდეს სამშობლოს წინაშე მხედრული ვალის მოხდა"
კონსულტაცია
21 კვალიფიციური რჩევები
ნადირობის მოყვარულთათვის
22 „ფრანკოტი" ბელადისათვის
სამხედრო ისტორიები
25 როგორ „ნადირობდა" „ჭირაფი" საბჭოთა იარაღზე
იარაღი
26 ქართული „ომის ღმერთი" ძლიერდება
კომპანიონი
30 ჰასკი
ექსტრიმი
34 ჩვენთვის გაუგებარი საჭმელი
აქსესუარი
38 წინდა
ცხოვრების წესი
39 ნაღდი ჯენტლმენები
ისტორია
40 „ბისმარკზე" ნადირობა
მეზობელთ კარისათ
44 რუსეთის შავი ზღვის ფლოტი
კროსვორდი
47 არსენალვორდი
გადარჩენის სკოლა
48 ელიტური მებრძოლი
48 საკვებად გამოსადეგი მწერები
49 სროლა მუხლზე დაყრდნობით, ქამრის გამოყენებით
სუპერმობილი
50 გამხეცებული მანქანა
„არსენალის" იარაღის მაღაზია
54 გამარჯვების პისტოლეტიდან კილერების იარაღამდე

## რედაქტორის სვეტი

2005 წლის მაისი შეიძლება გადამწყვეტი გახდეს საქართველოს მომავლისთვის რადგან თვის ბოლოს, ფაქტობრივად, მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ.

მაისის ბოლოს ოფიციალურად გაიხსნა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, რაც მარტო ენერგეტიკული მაგისტრალის ამოქმედებას როდი ნიშნავს.

ამ ორ ზემოხსენებულ მოვლენას ერთი რამ აკავშირებს, უფრო სწორად კი აპირისპირებს — თავისი სამხედრო ბაზების გაყვანით მოსკოვი საქართველოზე ზემოქმედების კიდევ ერთ ბერკეტს კარგავს, ხოლო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ამოქმედება ავტომატურად აძლიერებს დასავლეთის (პირველ რიგში, აშშ-ის) ინტერესებს სამხრეთ კავკასიაში.

სწორედ წელს, მაისში დაიწყო გარდატეხის მთავარი ეტაპი, რომელიც აჩქარებს საქართველოს ინტეგრაციის პროცესს NATO-ში და მთლიანად დასავლურ საზოგადოებაში.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

**ყურადღება!**
სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში. ტელ: 42-43-40

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 42-43-46
ფაქსი: 98-74-44
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალებს ბრძოლას უკრძალავენ



ამერიკელი რესპუბლიკელები კონგრესში ახალი კანონპროექტის გატანას ცდილობენ, რომლის თანახმადაც ქალებს უნდა აეკრძალოთ საომარ მოქმედებებში მონაწილეობა. დღესდღეობით წინადადება წარმომადგენელთა პალატის კომიტეტის მიერ განიხილება. კანონპროექტის მომხრეებს სურთ აუკრძალონ ქალებს მუშაობა მძღოლებად, ექიმებად და ლოგისტიკის სპეციალისტებად. აშშ-ის არმია, რომელიც პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების მხრივ სიძნელეებს განიცდის, ამ კანონპროექტის თაობაზე უკმაყოფილებას გამოთქვამს. მაღალი რანგის სამხედრო ჩინოვნიკები ამბობენ, რომ თუ კანონპროექტი დამტკიცდება, მათ 22 ათასი სამხედრო ქალის მამაკაცებით ჩანაცვლება მოუწევთ.

# რუსები ატომურ ობიექტებს გუშაგების გარეშე ტოვებენ

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი, რომლის თანახმადაც ატომურ ობიექტებს ამიერიდან ადამიანი აღარ დაიცავს. ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს მთავარი განყოფილების ხელმძღვანელმა გენერალ-პოლკოვნიკმა იგორ ვალინკინმა განაცხადა. „ახალი, თანამედროვე დაცვის სისტემა მეტად ეფექტურია, ცოტა ხნის წინ ჩვენ იგი სწავლებებშიც კი გამოვცადეთ: სპეცრაზმელებმა ვერ შეაღწიეს ობიექტზე. ასე რომ, დარწმუნებულნი ვართ, ვერც სხვა ბოროტმოქმედნი შეძლებენ იქ მოხვედრას. ჩვენ შევეცდებით მომავალში ყველა ობიექტი ასეთი დაცვითი კომპლექსებით აღვჭურვოთ.“ — ამბობს ვალინკინი. გენერალმა აღიარა, რომ რუსეთის ატომური ობიექტები ჯერ ბოლომდე არ არიან უზრუნველყოფილნი ფიზიკური თავდაცის თანამედროვე საშუალებებით და რომ მოდერნიზაციის პროცესი ახლა მიმდინარეობს. ამ სფეროს დაფინანსებაში რუსეთს შეერთებული შტატები და გერმანია ეხმარება. ისინი დაახლოებით 50 მლნ. დოლარს გამოყოფენ.

# „ოპერაცია კოლბრა-1“



ბრაზილია და კოლუმბია „ოპერაცია კოლბრა-1“-ის სახელწოდებით ერთიან სამხედრო წვრთნებს აწარმოებენ. ოპერაციის მიზანია, შეიარაღებული ძალების ერთობლივი მოქმედებების დამუშავება მდინარე ამაზონის რაიონში, რომელიც კონტრაბანდისა და ნარკოტიკების გადაზიდვის ერთ-ერთი მთავარი გზაა.

ბრაზილიისა და კოლუმბიის ქვედანაყოფები მიზნად საერთო საზღვარზე არალეგალურად მფრენი თვითმფრინავების აღმოჩენასა და განადგურებასაც ისახავენ. სწავლება სამი ქვეყნის: ბრაზილიის, ვენესუელისა და კოლუმბიის საზღვარზე, ქალაქ სან-გაბრიელ დე კაშოეირაში მიმდინარეობს. ბრაზილიის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის განცხადებით, ისინი საჰაერო თავდაცვის საერთო სტრუქტურის შექმნას გეგმავენ, რომელიც მუდმივად გააკონტროლებს საჰაერო საზღვრებს. ორი ქვეყნის ექსპერტების მიერ წინასწარ შემუშავებული სტრატეგიის მიხედვით, არალეგალური თვითმფრინავის აღმოჩენის შემთხვევაში უახლოეს აეროდრომებზე განლაგებული გამანადგურებლები წესრიგის დამრღვევს დაჯდომას აიძულებენ. წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში კი კანონმდებლობის თანახმად თვითმფრინავს ჩამოაგდებენ.



# ევროსპეცჯგუფი

ფინეთმა, შვედეთმა, ნორვეგიამ და ესტონეთმა სწრაფი რეაგირების საერთო ჩრდილოევროპული ჯგუფის შექმნის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. დოკუმენტი არ წარმოადგენს სახელმწიფოებრივ შეთანხმებას. მემორანდუმში მითითებულია ჯგუფის მოქმედებისა და ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპები, მისი სტრუქტურა, გადაწყვეტილებების მიღების სქემა. ასევე წევრი-ქვეყნების თანამშრომლობის პრინციპები და მიზნები. ფინეთი მეორე ამგვარი ევროპული სწრაფი რეაგირების ჯგუფის შექმნას გეგმავს, ოღონდ ამჯერად გერმანიასთან და ნიდერლანდებთან ერთად.

კრიზისული სიტუაციების მოგვარების ევროპული სისტემის ჩარჩოში დაახლოებით ათი ასეთი სწრაფი რეაგირების 1500 კაციანი ჯგუფის შექმნაა გათვალისწინებული. იგეგმება, რომ ასეთი ჯგუფები მოქმედებას უკვე 2007 წელს დაიწყებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზერბაიჯანი ეწინააღმდეგება საქართველოდან რუსული ბაზების გაყვანას... სომხეთში

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურმა განაცხადა, რომ ქვეყნის ხელისუფლება უკმაყოფილებას აცხადებს რუსული შეიარაღების საქართველოდან სომხეთში შეყვანაზე. „ჩვენ ვაკრიტიკებთ მსგავს ქმედებებს. სომხეთის ტერიტორიაზე ნებისმიერი შეიარაღების შეყვანა ჩვენს შეშფოთებას იწვევს“. ამ ნეგატიური რეაქციის მიზეზი ორ მეზობელ ქვეყანას შორის არსებული დაპირისპირებაა. რუსეთის მხარეს ამაზე თავისი არგუმენტაცია აქვს. იგი აცხადებს, რომ საქართველოდან სამხედრო ტექნიკის სომხეთში გაყვანა, რუსეთს შესაძლებლობას მისცემდა ბაზებთან დაკავშირებული საკითხი ოთხ წელიწადში მოეგვარებინა.

# ირანი C-300-ს ყიდულობს

რუსეთში ირანის ელჩის, გორამ-რეზა შაფირის განცხადებით, მოსკოვსა და თეირანს შორის ზენიტურ-რაკეტული სისტემების C-300 შესყიდვის საკითხი განიხილება. □у-204 თვითმფრინავების შეძენასთან დაკავშირებით კი ელჩმა განაცხადა, რომ ამ საკითხში არსებობს გარკვეული უთანხმოებები, რაც თვითმფრინავების ძრავებს ეხება. ელჩმა ისიც აღნიშნა, რომ ირანისა და რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროები იმდენად ფართოა, რომ რუსეთთან ურთიერთობის განვითარება ირანული პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.



# ინდოეთი რუს ექსპორტიორებს ფულის გადახდას უგვიანებს




იარაღის რუსი ექსპორტიორების თქმით, ინდოეთმა მათ დაახლოებით მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა. ინდოელი ჩინოვნიკები თავის გასამართლებლად ქვეყნის წინა მინისტრთა კაბინეტის მიერ დადებულ ხელშეკრულებებში კორუფციის კვალს ეძებენ. ინდოეთის ყოფილი ხელისუფლების წევრების მიერ აღებულ 4 მილიონდოლარიან ქრთამს უკვე შეეწირა შესრულებული კონტრაქტი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, რომელიც 180 ერთეული G6 ჰაუბიცის შესყიდვას ითვალისწინებდა. რუსეთთან დადებულ კონტრაქტთაგან ინდოეთის ახალი მინისტრთა კაბინეტი ჯერჯერობით მხოლოდ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 „გრად“-ისათვის 13000 ჭურვის შესყიდვაზე დათანხმდა, რაც 37 მილიონი დოლარი უჯდება. „სმერჩის“ გაყიდვის თაობაზე კი სავარაუდოდ ზაფხულში მიიღებენ გადაწყვეტილებას, მაგრამ უკვე ცნობილია, რომ თანხმობის შემთხვევაში, მისი შესაძენი თანხის გამოყოფას ინდოეთი მხოლოდ მომავალ საფინანსო წელს, ანუ 2006 წლის 31 მარტის შემდეგ შეძლებს. კიდევ უფრო გვიან ანაზღაურდება „ტუნგუსკებთან“ დაკავშირებული კონტრაქტი. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რუსეთი ყველა შემთხვევაში მიიღებს ინდოეთის კონტრაქტებს, რადგანაც „სმერჩისა“ და „ტუნგუსკების“ ანალოგიური სისტემები არსად აღარ იწარმოება. ინდოეთი ჩინეთის შემდეგ რუსული იარაღის ყველაზე დიდი იმპორტიორი ქვეყანაა. მისი სამხედრო ბიუჯეტი ყოველწლიურად იზრდება. 2004 წელს იგი 16,9 მილიარდ დოლარს შეადგენდა, წელს კი 19 მილიარდამდე გაიზარდა.




# სირია ამერიკელებს „გაებუტა“

სირია აშშ-თან სამხედრო და დაზვერვით თანამშრომლობას წყვეტს, განაცხადა სირიის ელჩმა ვაშინგტონში იმად მუსტაფამ. მისი სიტყვებით, მოკლე პერიოდის განმავლობაში ქვეყანამ სირიისათვის წაყენებული უსამართლო ბრალდების გამო ყველანაირი კავშირი გაწყვიტა პენტაგონსა და აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან. ელჩის სიტყვებით, მიუხედავად იმისა, რომ სირიის ხელისუფლებამ მრავალი ნაბიჯი გადადგა საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში, გამოიყვანა ჯარი და სადაზვერვო აპარატი ლიბანიდან და საერთაშორისო საზოგადოებების მოთხოვნები დააკმაყოფილა, აშშ მაინც ცდილობს სირიის გარშემო სიტუაციის ესკალაციას.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# ბევრი სამხედრო... ცოტა ტექნიკა



ალლუმის მონაწილე სამხედროები კარგად იყვნენ აღჭურვილნი

2005 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო ალლუმი თან ჰგავდა და თან არ ჰგავდა გასულ წელს გამართულს.

მსგავსება გრანდიოზულობასა და პომპეზურობაში იყო, განსხვავება კი იმაში გამოიხატებოდა, რომ წლეულს ალლუმზე აქცენტი შეიარაღებული ძალების მრავალრიცხოვან პირად შემადგენლობაზე გაკეთდა და არა საბრძოლო ტექნიკაზე.

სამხედრო ალლუმზე 11.465 სამხედრო მოსამსახურემ ჩაიარა. ეს მსვლელობა რუსთაველზე ერთ საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა და ბოლოსკენ ერთფეროვნების ნიშნებიც შეინიშნებოდა.

ალლუმი პრეზიდენტის, — უმაღლესი მთავარსარდლის ტრიბუნის წინ თავდაცვის ეროვნული აკადემიის მედროშეებმა გახსნეს, მათ უკან გენერალური შტაბის ოფიცრები, ზემოხსენებული აკადემიის ოფიცრები და კურსანტები მოჰყვნენ.

ტრადიციის დარღვევით ალლუმი მესამე ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებმა გააგრძელეს და არა პირველი ბრიგადისა. მესამე ბრიგადა გორსა და ახალციხეში შექმნილი დანაყოფების ბაზაზე ყალიბდება. იგი ალლუმზე მეოთხე ქვეითთა ბრიგადამ შეცვალა, რომელიც ყოფილი შინაგანი ჯარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი ოპერატიული ბრიგადის (ყოფილი მერვე პოლკის) ნაცვლად შეიქმნა.

პირველი ქვეითი ბრიგადა, რომელიც ყოფილ მე-11 ბრიგადას წარმოადგენს, 1100 სამხედრო მოსამსახურით წარდგა ალლუმზე. ამ ბრიგადის პირადი შემადგენლობის დიდი ნაწილი (მათ შორის, თელავის, „კომანდოსა“ და „შავნაბადას“ ბატალიონები) ერაყში იმყოფება.


სამხედროთა „ზღვამ“ მთელი რუსთაველის გამზირი დაფარა

მიუხედავად იმისა, რომ ალლუმზე არათუ მუხლუხებიანი, არამედ ბორბლებიანი საარტილერიო დანადგარებიც არ გამოუტანიათ, საარტილერიო ბრიგადის ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ამაყად ჩაიარეს უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე, მათ საამაყო ნამდვილად ჰქონდათ, რადგან ერთი თვის წინ წარმატებულად ჩაატარეს ფართომასშტაბიანი საარტილერიო სწავლებები ორფოლოს პოლიგონზე.

კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადა, ისევე როგორც საგურამოს ცალკეული აერომობილური ბატალიონი, სულ რამდენიმე „კოლოფით“ (თითო „კოლოფში“ 49-52 სამხედროა) გამოჩნდნენ ალლუმზე. თუმცა მათი შესაძლებლობები არა რაოდენობით, არამედ მომზადების დონით განისაზღვრება, რადგან მათ განსაკუთრებული საბრძოლო დავალებების შესრულება ევალებათ.

სამხედრო ალლუმზე ასევე ჩაიარეს ქუთაისის მეორე ბრიგადის (ყოფილი 21-ე ბრიგადა) და ეროვნული გვარდიის პირადმა შემადგენლობებმა. სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს ალლუმზე მხოლოდ თითო-თითო „კოლოფი“ ჰყავდათ წარმოდგენილი. თუმცა მათმა ლამაზმა დროშებმა და ფორმებმა დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

3000 რეზერვისტის ჩატარება 100 ახალნაყიდი „კამაზით“, ალლუმის უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი გახლდათ, რაც განსაკუთრებით აღნიშნა ტრიბუნაზე მდგარმა პრეზიდენტმა. მან ალლუმი ორიოდ წუთით შეწყვიტა კიდეც, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. ისე, პრეზიდენტი სააკაშვილი საათზე მეტხანს უქუდო თავთან მხედრული სალმით ხვდებოდა ტრიბუნის წინ მიმავალ სამხედროებს.

ალლუმის ბოლოს გამოჩენილმა 15 ერთეულმა БТР-80 ტიპის ჯავშანტრანსპორტიორმა ცოტათი გაახალისა ალლუმი, თუმცა გამოცოცხლება მაშინ გენახათ, როდესაც რუსთაველის გამზირს ერთმანეთის მიყოლებით საბრძოლო ავიაციამ გადაუფრინა.

ცაში ჯერ 150-180 მ-ის სიმაღლეზე მფრინავი ოთხი ამერიკული UH-1H „იროკეზის“ ტიპის შვეულმფრენი გამოჩნდა, რომელთაც კუდში ექვსი Ми-8 ტიპის შვეულმფრენი და ამდენივე საბრძოლო Ми-24 მოჰყვა.

ოთხმა მოიერიშე Су-25-მა 4000 მ-ის სიმაღლეზე დაახლოებით 450 კმ/სთ სიჩქარით გამაყრუებელი ხმით ორჯერ გადაუფრინა ტრიბუნას. ბოლო ორი მოიერიშე ჰაერში სითბური დამიზნების რაკეტების „ხაფანგებს“ უშვებდა, რაც საკმაოდ ლამაზი სანახავი იყო.

2005 წლის 26 მაისის სამხედრო ალლუმმა საზოგადოებას დაანახა, რომ ჯარი, ძირითადად, ჩაცმულია და აღჭურვილია საშტატო იარაღით, რაც თავისთავად უკვე ბევრს ნიშნავს. ამიერიდან, ჯერი არმიის სათანადო საბრძოლო გაწვრთნასა და მომზადებაზე დგება, რადგან ერთია დედაქალაქის ახალდაგებულ ასფალტზე გავლა და მეორე — საბრძოლო მოქმედებების წარმოება გაუთვალისწინებელ პირობებში.

*ირაკლი ალადაშვილი*



უმაღლესი მთავარსარდალი მთელი საათის განმავლობაში სამხედრო სალამს აძლევდა ალლუმის მონაწილეებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ერაყში ქართველი სამხედრო დაიჭრა

ერაყში რამდენიმე დღის წინ მომხდარი ინციდენტისას ქართველი სამხედრო დაიჭრა. ავტომანქანა, რომელშიც შერეული სამხედრო კონტიგენტი იმყოფებოდა, ბაღდადიდან ბაკუბაში მიმავალ გზაზე დამონტაჟებულ ნაღმზე აფეთქდა. აფეთქებისას მანქანაში მჯდომი 4 ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა. შავნაბადას ბატალიონის წევრი მიხეილ ქუთათელაძე (რომელიც საჩხერის ბატალიონის ყოფილი მეთაურის, ბესო ქუთათელაძის ძმისშვილია) კი მძიმედ დაიჭრა. მიხეილ ქუთათელაძე ერაყში პირველი ბრიგადის სამხედროებთან ერთად თებერვალში გაემგზავრა. ბოლო ინფორმაციით, ქუთათელაძეს მარჯვენა ხელის მტევნის ამპუტაცია ერაყშივე გაუკეთდა, ამის შემდეგ ის გერმანიის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს...

## პარლამენტმა თადარიგში დათხოვნილ სამხედროებზეც იზრუნა

პარლამენტმა განიხილა კანონპროექტი „სამხედრო და შს ორგანოებიდან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“. ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის გიგი წერეთლის განაცხადებით, ცვლილებების თანახმად ჩამოთვლილი კატეგორიები პენსიას – 45 ლარს მიიღებენ. ამავე რაოდენობის პენსიას მიიღებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაინვალიდებული პირები და მარჩენალდაკარგული ოჯახები.

## NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმა წარმატებით სრულდება

საქართველოში აკრედიტებული NATO-ს წევრი ქვეყნების ელჩების შეფასებით, NATO-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმას საქართველო წარმატებით ასრულებს.

NATO-ს ქვეყნების ელჩებთან გამართული შეხვედრის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: ქართული მხარის მიერ ჩატარებული სამუშაოებით NATO-ში კმაყოფილნი არიან და იმედოვნებენ, რომ უკვე წლის ბოლოსთვის საქართველო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების ახალ სამოქმედო გეგმაზე დაიწყებს მუშაობას. სალომე ზურაბიშვილის ოპტიმიზმს ირაკლი ოქრუაშვილიც იზიარებს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბრიუსელში NATO-ს შტაბბინაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საბჭოს, 26+1 ფორმატით გამართულ სხდომაზე, საქართველოს თავდაცვის მინისტრს კონკრეტული შენიშვნებიც მისცეს. ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, ამ შენიშვნების ნაწილს იზიარებს, ხოლო ნაწილი კი არამართებულად მიაჩნია.

„სამხედრო უწყებამ შენიშვნები თავდაცვის სამინისტროსა და გენერალურ შტაბში კადრების ხშირ ცვლასთან დაკავშირებით მიიღო. ჩვენ განვმარტეთ, რომ ეს ობიექტური მიზეზებით იყო განპირობებული და მომავალში რადიკალური ცვლილებები აღარ იგეგმება“, – განაცხადა ოქრუაშვილმა.

ოქრუაშვილის თქმით, ალიანსის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი და იმ ფონდების საქმიანობა, რომელიც თავდაცვის სამინისტროს მატერიალურ და ფინანსურ უზრუნველყოფაში იღებენ მონაწილეობას, უფრო გამჭვირვალე უნდა იყოს.

ოქრუაშვილის მოსაზრებით, ამ შენიშვნებზე რეაგირება პრობლემას არ წარმოადგენს და თავდაცვის სამინისტრო შესაბამის ზომებს ახლო მომავალში მიიღებს. „ჯერ ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ მჯერა, რომ 2006 წლის შემოდგომაზე საქართველო NATO-ს წევრობის კანდიდატობისთვის მზად იქნება“, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

## ბუშმა ქართველ ჯარისკაცებს მადლობა გადაუხადა

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა თავისუფლების მოედანზე წარმოთქმულ სიტყვაში მნიშვნელოვანი ადგილი ერაყსა და ავღანეთში მყოფ ქართველ ჯარისკაცებსაც დაუთმო. „თქვენ ეხმარებით სხვა ქვეყნებს თავისუფლებისთვის ბრძოლაში. როცა ავღანელმა ხალხმა ქვეყნის პირველ დემოკრატიულ საპრეზიდენტო არჩევნებში მიიღო მონაწილეობა, ქართველი ჯარისკაცები იქ წესრიგის დასაცავად იმყოფებოდნენ. როდესაც ერაყში ტერორისტული ძალადობა მძაფრდებოდა, საქართველომ აჩვენა თავისი გამბედაობა. თქვენ ერაყში ხუთმაგად გაზარდეთ ჯარისკაცების რიცხვი. ერაყელები, ამერიკელები და ჩვენი კოალიციის მოკავშირეები ამისთვის მადლობელნი არიან“, – განაცხადა ჯორჯ ბუშმა.

## აშშ-ის სენატი რუსეთს საქართველოდან ბაზების გაყვანას სთხოვს

სენატის რეზოლუციის ავტორები კონგრესის ზედა პალატის რესპუბლიკური უმრავლესობისა და დემოკრატიული უმცირესობის ლიდერები ბილ ფრისცი და ჰარი რიდი არიან. „საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან განვლილი ათწლეულის შემდეგაც კი ვერ დააღწია თავი ქვეყანაში რუსული სამხედრო ძალის არსებობას, – რუსეთმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. დადგა მათი ბაზების გაყვანის დრო“, – აღნიშნულია რეზოლუციაში.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სენატის დადგენილება რამდენიმე საათით უსწრებდა რუსეთის სათათბიროს მიმართვას პრეზიდენტისა და მთავრობისადმი, რომელშიც სერიოზული შეშფოთება იყო გამოთქმული რუსული ბაზების მიმართ საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოებულ პოლიტიკასთან დაკავშირებით.

მოგვიანებით საქართველოში მოლაპარაკებებისთვის ჩამოსულმა რუსულმა მხარემ შედარებით მისაღები პირობები წამოაყენა, რაც ალბათ ქართული მხარის პრინციპულობასთან ერთად შტატების ჩარევის შედეგიც იყო.

## რუსების "უცნაური" გამოკითხვა

რუსეთის მოქალაქეთა ნახევარზე მეტი თვლის, რომ რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში საკუთარი სამხედრო ბაზები უნდა შეინარჩუნოს. სრულიად რუსეთის საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეთა 55 პროცენტს მიაჩნია, რომ ამ სამხედრო ბაზებმა რუსეთის საზღვრის მისადგომები უნდა დაიცვა.

გამოკითხვა რუსეთის 40 ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში ჩატარდა და მასში 1600-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

რუსული სამხედრო ბაზების სხვა ამოცანებს შორის რუსეთის მოქალაქეებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა დსთ-ის ქვეყნებში ეროვნული ინტერესების დაცვა (20 პროცენტი), იქ მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა (18 პროცენტი), ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აშშ-ის და NATO-ს სხვა ქვეყნების შეღწევის შეკავება (12 პროცენტი) დაასახელეს.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, მხოლოდ რესპონდენტთა 6 პროცენტი ვარაუდობს, რომ ამ ბაზების შენარჩუნების აუცილებლობა არ არსებობს.

ამჟამად რუსული სამხედრო ბაზები საქართველოში, უკრაინაში, სომხეთში, მოლდოვასა და ტაჯიკეთში არსებობს.

გამოკითხულთა 42 პროცენტის აზრით, რუსეთის მიმართ არამეგობრულად განწყობილ დსთ-ის ქვეყნებთან არსებული სადავო პრობლემები დიპლომატიური გზით უნდა მოგვარდეს.

ამასთან ერთად, რუსეთის ყოველ მეორე მოქალაქეს მიაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ასეთ ქვეყნებზე ზეწოლა უნდა მოახდინოს. ეკონომიკური სანქციების, მათ შორის, ენერგომატარებლების მსოფლიო ფასებით გაყიდვის მომხრეა რესპონდენტთა 31 პროცენტი. გამოკითხულთა 9 პროცენტი კი უპირატესობას პოლიტიკურ სანქციებს – სავიზო რეჟიმის გამკაცრებას, ამ ქვეყნებიდან რუსეთში მიგრაციის შეზღუდვას და ა.შ. ანიჭებს.

რუსეთის ინტერესების ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, სამხედრო ძალის გამოყენებით დაცვის აუცილებლობას გამოკითხულთა მხოლოდ 11 პროცენტი ეთანხმება.

## თურქეთის საჩუქარი კოჯრის ბრიგადისთვის

საქართველოს შეიარაღებული ძალების კოჯრის სპეციალური დანიშნულების ბრიგადას თურქეთის მთავრობამ მილიონ რვაასი ათასი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა გადასცა. საჩუქარი „ლენდ კრუიზერის" მარკის 36 ავტომანქანას, 4 საველე სამზარეულოს, კომპიუტერებს, ტანსაცმელსა და ბრიგადის კეთილმოწყობისთვის საჭირო ტექნიკას აერთიანებს. დახმარების გადაცემის ცერემონია კოჯრის ბრიგადის ტერიტორიაზე გაიმართა. ცერემონიას თურქეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ.

მოამზადა
იზო რიკაძემ



# „ჩვენ, სამხედროები უნდა ვემზადოთ ომისთვის. მისი დაწყება-არდაწყება კი პოლიტიკოსების საქმეა"

სამხედრო სექტორში მიმდინარე რეფორმების კომენტირება სამხედრო საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველს, ვახტანგ კაპანაძეს ვთხოვეთ. ამ ადამიანის სამხედრო წარსულს თუ გადავხედავთ, ეჭვგარეშეა, სამხედრო საქმეში მის სიტყვას ნამდვილად დაეჯერება. მისი სიტყვიერი პორტრეტის შესაქმნელად გეტყვით, რომ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, სადაც ორჯერ დაიჭრა. დაჯილდოებულია ღირსებისა და ბორბასლის III ხარისხის ორდენებით. გერმანიაში დაამთავრა მარშალის ცენტრის სტრატეგიული კვლევის კოლეჯი. გახლავთ სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული. ოქროს მედალზე აქვს დამთავრებული უკრაინის ეროვნული აკადემია. ამერიკაში დაამთავრა სახმელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეკავა გენერალური შტაბის უფროსის პოსტი.

## „მეთაურმა მაქსიმალურად უნდა იზრუნოს ქვეშევრდომების უსაფრთხოებაზე!"

*ვახტანგ კაპანაძე, პრეზიდენტის მრჩეველი სამხედრო საკითხებში:*

– მინდა გითხრათ, რომ სამხედრო საკითხებში პრეზიდენტის მრჩევლის გარდა, ამავდროულად ვარ უშიშროების საბჭოს წარმომადგენელიც, სადაც უშუალოდ სამხედრო საკითხებზე მიხდება მუშაობა. როდესაც საჭიროება მოითხოვს, მემორანდუმის სახით ჩემს მოსაზრებებს პირადად პრეზიდენტსაც ვუგზავნი. ეს მემორანდუმი უშიშროების საბჭოს მდივანსა და თავდაცვის მინისტრსაც ეგზავნება. ერთ-ერთი ასეთი მემორანდუმი სამხედრო სფეროში თურქული პროგრამების განვითარების საკითხს ეხებოდა.

**— ბატონო ვახტანგ, დღეს ჯარის აღმშენებლობა ქვეყანაში პრიორიტეტად არის მიჩნეული და გარკვეულწილად სამხედრო საქმის მოდერნიზაციაც მიმდინარეობს. თქვენც იზიარებთ იმ აზრს, რომ რუსულ ყაიდაზე აღზრდილი არმია ნაკლებად ეფექტური იყო?**

– მე უფრო ვიტყოდი, რომ ეს იყო საბჭოთა ყაიდის ჯარის ცუდი ვარიანტი. თავად რუსულმა ჯარმა დროთა გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა



მავლობაში გარკვეული დადებითი ცვლილებები განიცადა. ქართულ ჯარზე საუბრისას აუცილებლად უნდა მოვახდინოთ მისი ისტორიის პერიოდებად დაყოფა. თევზაძის გამინისტრების შემდეგ ნელ-ნელა დაიწყო NATO-ს სტანდარტებზე გადასვლა. ახლა ეს ცვლილებები დაჩქარებულად მიმდინარეობს. სულ სხვა საკითხია, რამდენად წარმატებით განვითარდება აღნიშნული პროცესები. შემიძლია გითხრათ, რომ ამ თვალსაზრისით გამიმართლა კიდეც, ანუ საბჭოთა ჯარის სტანდარტების სწავლაც მომიხდა და ამერიკული სტანდარტების ათვისებაც. საკუთარი გამოცდილება საბჭოთა ჯარზე ხელაღებით მხოლოდ ცუდის თქმის უფლებას არ მაძლევს. საბჭოთა ჯარის კონცეფცია მორგებული იყო ევროპაში გასამართი საომარი მოქმედებების გათვალისწინებით, შესაბამისი შეიარაღებით, სტრუქტურით, მომზადების დონითა და ა.შ. ყველაზე ცუდი, რაც ჩემი აზრით, საბჭოთა ჯარის კონცეფციაში იყო, გახლდათ ის, რომ მცირე ზომის ქვედანაყოფებს დამოუკიდებელი მოქმედება, ფაქტობრივად, არ შეეძლოთ. დასავლურ სტანდარტებში კი არის ის, რაც ძალიან მომგებიანი იქნება ჩვენნაირი ტიპის ქვეყნისთვის, ანუ ოცეულსაც და ათეულსაც შეეძლება დამოუკიდებლად მოქმედება და კონკრეტული ოპერაციების ჩატარება. თვითონ ათეულიც კი დაყოფილია საწესო ჯგუფებად, ჯგუფები კი საბრძოლო წყვილებად. ამგვარი მიდგომა მაქსიმალურად ზრდის თითოეული ჯარისკაცის ქმედითუნარიანობას. ამავე დროს მიმაჩნია, რომ საბჭოთა სამხედრო სასწავლებლის მომზადების სისტემა გარკვეულ დონემდე არ იყო ცუდი. მაგალითად, სამხედრო მომზადება ბატალიონის მეთაურის დონემდე საკმაოდ ინტენსიური, ტექნიკურად უზრუნველყოფილი და სკურპულოზული იყო. მაგრამ შემდეგ, როდესაც უკვე იქმნებოდა მეთაურის ფართო ხედვისა და დამოუკიდებელი აზროვნების საჭიროება, აქ უკვე დასავლური ტიპის სწავლების კონცეფცია სჯობს. დასავლეთში ასწავლიან, როგორ უნდა იფიქრო, ხოლო სსრკ-ში ასწავლიდნენ, რა უნდა ეფიქრათ. ყველაზე დიდი განსხვავება საბჭოურსა და დასავლურ სტანდარტებს შორის მეთაურების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და შტაბების მუშაობაში იგრძნობოდა. კერძოდ, საბჭოთა სისტემაში ნებისმიერი გადაწყვეტილება მეთაურისგან მოდიოდა და მეთაურის ჩანაფიქრის გარშემო ტრიალებდა. დასავლურ სისტემაში კი გუნდური მუშაობის პრინციპი მოქმედებს, ანუ მეთაურს უმზადებენ ჩანაფიქრს, გადაწყვეტილების ფორმირებაზე გუნდი მუშაობს. თუმცა ამას თავისი მინუსიც აქვს. ასეთ მუშაობას მეტი დრო მიაქვს.

— **ადამიანის პირველი შეხება ჯართან სავალდებულო სამხედრო სამსახურში ხდება. მართალია, ახლა დიდი პროპაგანდაა აგორებული იმისთვის, რომ ჯარში სამსახური იძულებითი კი არა, პატრიოტულ შემართებაზე იყოს დამყარებული. თუმცა ჯერ კიდევ ძალაშია ჯარისკაცების დასჯის საბჭოური მეთოდები, რასაც ქართველი კაცი მტკივნეულად აღიქვამს. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

— საბჭოთა ჯარში იყო ასეთი ტენდენცია, რომ ძველი ჯარისკაცი გარკვეული პრესის ქვეშ ზრდიდა ახალბედას, რასაც „დედოვშინას“ უწოდებდნენ. ჩემი ინფორმაციით, თანამედროვე ქართულ ჯარში მსგავსი მიდგომა მნიშვნელოვნად აღმოფხვრილია. ცივილიზებული ქვეყნების მაგალითს თუ გადავხედავთ, არსებობს ჯარი, სადაც ახალწვეულები ცალკე მსახურობენ. აბსოლუტურად სხვა მიდგომაა, როდესაც ახალწვეულს გარკვეული პროფესიული საწყისები აქვს მიღებული. დასავლურ ჯარში ეს ფაქტორი ძალიან დასაფასებელია. იმედი მაქვს, უახლოეს დროში „დედოვშინა“ ქართულ ჯარში საბოლოოდ მოისპობა.

— **რას გვეტყვით სამხედრო სფეროში მიმდინარე რეფორმების შესახებ. რამდენად სწორად მიგაჩნიათ შინაგანი ჯარის გადასვლა თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში. სამხედრო საზოგადოების ერთი ნაწილი თვლის, რომ ეს ნაბიჯი ნაადრევი იყო...**

— ამ რეფორმის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ საქართველოში აღარ არსებობს წმინდა საბჭოური გადმონაშთი შინაგანი ჯარის სახით, რომლის უშუალო ამოცანა იყო შიდა

**ბევრ შემთხვევაში ვიზუალურად უფრო ვცდილობთ დავუახლოვდეთ თანამედროვე სამხედრო სტანდარტებს: ახოტრილი კეფით და ჩაკეცილი ბერეტებით. რა თქმა უნდა ეს საკმარისი არ არის...**



ეროვნული ბიბლიოთეკა

არეულობების დარეგულირება ძალისმიერი მეთოდების გამოყენებით. მიმაჩნია, რომ მის მაგივრად უნდა შექმნილიყო შუალედური რგოლი, ამაზე მიდიოდა კიდეც მუშაობა — აღნიშნული ფუნქციები ჟანდარმერიას უნდა შეეთავსებინა. ახლა დროულად უნდა მოხდეს ფუნქციების გადახედვა და გადანაწილება სამხედროებსა და პოლიციას შორის, რათა შუალედური რგოლის არარსებობით გამოწვეული სიცარიელე შეივსოს. თუმცა მგონია, რომ ჟანდარმერიის ტიპის ქვედანაყოფი, რომელიც მრავალ ქვეყანაში წარმატებით მუშაობს, უფრო ეფექტური იქნებოდა.

**— როგორ ფიქრობთ, დასავლური სტანდარტების ქართული ჯარი შორეული პერსპექტივაა?**

— ეს მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნისა და ხალხის ნებაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულწილად მიახლოებულებიც ვართ ამ სტანდარტებთან. როდესაც NATO-ს სტანდარტებზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ არ არსებობს ერთი კონკრეტული სტანდარტი. მთავარი პირობა ის არის,რომ უნდა ვიყოთ NATO-ს ძალებთან შეთანხმებით მოქმედი ორგანიზაცია, თორემ როგორი სამწყობრო სიარული გექნება, როგორი მისალმება და საბრძოლო ტექნიკა, უკვე შენი გადასაწყვეტია. სამწუხაროა, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ვიზუალურად უფრო ვცდილობთ დავუახლოვდეთ თანამედროვე სამხედრო სტანდარტებს: ახოტრილი კეფით და ჩაკეცილი ბერეტებით. მიჭირს კონკრეტული ვადების დასახელება, ალბათ ყველაფერს დრო და გამოცდილება მოიტანს. თუმცა ამერიკის შეერთებული შტატების საჯარისო ნაწილებთან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა უკვე დიდი გამოცდილებაა.

**— რეფორმის ერთ-ერთი ნაწილი სამხედრო სექტორში სამოქალაქო პირების გამოჩენაა...**

— ამას პირადი შემადგენლობის მენეჯმენტი ჰქვია. ვინაიდან ჩვენ NATO-ს სტანდარტებზე გადავდივართ, უნდა გვქონდეს სამოქალაქო სამინისტრო და სამხედრო გენერალური შტაბი. ხშირად მსაყვედურობენ იმის გამო, რომ არ ვემხრობი ახალგაზრდა ოფიცრის დანიშვნას მაღალ სამხედრო თანამდებობაზე. მიმაჩნია, რომ სამხედროს ჩამოყალიბების სტიმული ის არის, როდესაც ზრდისა და განვითარების შანსს აძლევ. მეთაურმა ბრძოლის მართვა უნდა შეძლოს, როდესაც 25 წლის ბიჭს მაღალ სამხედრო პოსტს აძლევ, გამოუცდელობის გამო შესაძლოა საბედისწერო შეცდომა დაუშვას. საბრძოლო მოქმედებების დროს კი ასეთი ადამიანის სიტყვა მხოლოდ ცივ გონებასა და ზუსტ გათვლებს უნდა ემყარებოდეს. ჩვენი სამხედრო კონცეფცია უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს: ცენტრალიზებული მართვა — დეცენტრალიზებული შესრულება, რაც ქვედანაყოფების მეთაურების მიერ მაქსიმალური ინიციატივის გამომჟღავნებას გულისხმობს. ეს კი მისგან გამოცდილებასა და ცოდნის მაღალ დონეს მოითხოვს.



ვახტანგ კაპანაძე მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, სადაც ორჯერ დაიჭრა. დაჯილდოებულია ღირსებისა და გორგასლის III ხარისხის ორდენებით.

**— ანუ მხოლოდ მკაცრი მიდგომა პროფესიონალიზმის მიღწევაში ვერ დაგვეხმარება. ასე არ არის?**

— სიმკაცრე მხოლოდ ვიზუალურ ეფექტს არ ნიშნავს. არასწორი მიდგომაა, როდესაც მხოლოდ ბოხი ხმისა და მკაცრი გამოხედვის გამო ნიშნავ ვინმეს მეთაურად. მხოლოდ ერთი ხელის მოწერა შეიძლება იყოს სამხედროსთვის ისეთი მკაცრი სასჯელი, რომ ერთი საათი მეთაურის გინების ატანა ერჩივნოს. სამხედროებს ერთი ასეთი ხუმრობაც აქვთ: მოფუსფუსე პოლკოვნიკი მშვიდობის დროს სიცილს იწვევს, ომის დროს კი — პანიკასო. როგორც კი მეთაური ყვირილს იწყებს, ეს მის სისუსტეზე მიანიშნებს, ანუ მან ვერ შეძლო ნაწილის სწორად მართვა. კარგი მეთაურისთვის წარბის აწევაც საკმარისი უნდა იყოს.

**— ბოლო დროს საკმაოდ ხშირად ისმის ხმამაღალი განცხადებები მოსალოდნელი საბრძოლო მოქმედებების შესახებ, ვგულისხმობ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სურვილს. რამდენად მართებულია ასეთი რამის აფიშირება?**

— ჩვენ, სამხედროები უნდა ვემზადოთ ომისთვის. მისი დაწყება-არდაწყება პოლიტიკოსების საქმეა. ერთი კი ნიშანდობლივია — დაზვერვისთვის ყველაზე საგანგაშო მდგომარეობაა, როდესაც მოწინააღმდეგე მხარეს სიწყნარე და სიჩუმეა.

**— დაბოლოს, თქვენი, როგორც პროფესიონალის აზრით, რამდენად მართებულია ჯარისკაცის მაქსიმალური ფიზიკური დატვირთვა, — ზოგჯერ ისე, რომ მას გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სჭირდება.**

— მეთაურმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს სამხედრო მოსამსახურის ტრავმირება ვარჯიშის დროს. ასეთი ფაქტები მიუთითებენ მეთაურის მოუმზადებლობაზე. მან ისე უნდა დაგეგმოს ვარჯიში, რომ დაცული იყოს უსაფრთხოების, დაზღვევის წესები და სამედიცინო პერსონალიც მუდმივად მოვარჯიშეებთან იმყოფებოდეს. მაგალითად, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ექსტრემალური წვრთნის პროგრამა აშშ-ის საზღვაო ძალების სპეცდანიშნულების ნაწილებს აქვთ და მათი ჯარისკაცების გვერდზე მუდმივად არიან მედიკოსები და მაშველები. შედეგად ამ ნაწილებს მინიმუმამდე აქვთ დაყვანილი პირადი შემადგენლობის ტრავმირების ფაქტები.

*ეკა ტუხიაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი სპეცსამსახურების შეცდომები

**საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ შეუმცდარი არავინაა და ყველაზე ხშირად ცდება ის, ვინც მეტს მოქმედებს. სპეცსამსახურების საქმიანობას ის თავისებურება აქვს, რომ მათი წარმატებები ძნელი აღსაქმელია, ვინაიდან მათ საგულდაგულოდ მალავენ, ხოლო ჩავარდნები საყოველთაო განსჯის საგანი ხდება ხოლმე. ამჯერად მსოფლიოს სამი უძლიერესი სპეცსამსახურის (ისრაელის „მოსადის", საბჭოთა კავშირის „კგბ"-სა და აშშ-ის „ცსს"-ს) სამ დიდ შეცდომაზე მოგითხრობთ.**

## „მოსადის" გა...ბული აგენტები

ეს ამბავი ჩვეულებრივ დაიწყო, მაგრამ დიდი ტრაგედიითა და სკანდალით დასრულდა. 1973 წლის ივლისის დასაწყისი იყო და საკმაოდ ცხელოდა, მაგრამ ნორვეგიის ცნობილ ზამთრის კურორტსა და ოლიმპიურ ქალაქ ლილეჰამერს სტუმრები არ აკლდა. ამიტომ ევროპის სხვადასხვა ქალაქიდან კიდევ ათამდე ტურისტის ჩამოსვლა არავის გაჰკვირვებია. ამ სხვადასხვა ასაკის ქალსა და მამაკაცს საერთო ის ჰქონდათ, რომ ყველა ისრაელის დაზვერვის („მოსადის") ოპერატიული თანამშრომლები იყვნენ. ფუნქციები საკმაოდ მკაცრად იყო განაწილებული — ზოგს სასტუმროში ნომრის აღება და ავტომობილის დაქირავება ევალებოდა, ზოგს გარე თვალთვალი, ხოლო ზოგი ტერაქტების ოსტატი იყო. „ტურისტების" ამ ჯგუფს ხელმძღვანელობდა „მოსადის" გამოცდილი აგენტი მაიკ ხარარე, რომელსაც „სველი ოპერაციების" (ანუ ლიკვიდაციის) ჩატარების სანქცია თავის დროზე პირადად ისრაელის პრემიერ-მინისტრ გოლდა მეიერისგან ჰქონდა მიღებული. ლიკვიდაციის ობიექტი ცნობილი არაბი ტერორისტი, პალესტინური ტერორისტული ორგანიზაცია „შავი სექტემბრის" ერთ-ერთი ლიდერი ალი ჰასან სალამეჰი იყო. ისრაელის სპეცსამსახურების ინფორმაციით, ალი სალამეჰი პირადად ხელმძღვანელობდა 1972 წლის 5 სექტემბერს მიუნჰენის ოლიმპიური თამაშების დროს 11 ებრაელი სპორტსმენის მძევლად აყვანას და შემდგომ მათ ლიკვიდაციას. ამ მოტივით სალამეჰს და კიდევ 34 პალესტინელს (რომელთა სიაც ისრაელში მოქმედმა სრულიად საიდუმლო „კომიტეტმა X"-მა შეადგინა, ხოლო შემდეგ პრემიერ-მინისტრმა დაამტკიცა) სასიკვდილო განაჩენი ჰქონდათ გამოტანილი. „მოსადის" ინფორმაციით, ალი სალამეჰი ლილეჰამერში იმალებოდა და სკანდინაველ ლამაზმანებთან ატარებდა დროს. თითქმის ორკვირიანი მჭიდრო მეთვალყურეობის შემდეგ მაიკ ხარარეს ჯგუფმა დაადგინა, რომ ქალაქის ქუჩებში ქერათმიან ლამაზმანთან უშიშრად მოსეირნე არაბი, მართლა ცნობილი ტერორისტი და პლეიბოი სალამეჰი იყო. წინასწარ დაგეგმილ ოპერაციაში გადაუდებელი ოპერატიული აუცილებლობიდან გამომდინარე, რამდენიმე ცვლილება შეიტანეს და 1973 წლის 21 ივლისის საღამოს სალამეჰი პირდაპირ ქუჩაში, თანმხლები ახალგაზრდა ქალის თვალწინ ტყვიებით დაცხრილეს. ინსტრუქციიდან გამომდინარე, უშუალო შემსრულებლებმა ნორვეგია იმავე ღამეს დატოვეს, ხოლო დანარჩენები კონსპირაციულ ბინებზე გადანაწილდნენ და ებრაელი ხალხის კიდევ ერთი მტრის ლიკვიდაციის ოპერაციის წარატებით დასრულების აღნიშვნას დიდი მონდომებით შეუდგნენ... მაგრამ დილით, როცა ტელევიზიით გაიგეს, რომ მათი მსხვერპლი სულ სხვა, სრულიად უდანაშაულო ადამიანი — მაროკოელი ოფიციანტი აჰმედ ბუჩიკი იყო, სიხარული სასოწარკვეთილებამ შეცვალა. ამ საცოდავს მხოლოდ ის მსგავსება ჰქონდა ალი სალამეჰთან, რომ ისიც შავტუხა იყო და ულვაშებით თავს აწონებდა თავის ნორვეგიელ ცოლს. ამ ტრაგიკული შემთხვევის შესახებ ალბათ ვერავინ გაიგებდა (რამდენი ადამიანი იღუპება ბანდიტური გარჩევების დროს...), რომ არა შემდგომ განვითარებული მოვლენები და „მოსადის" აგენტთა გასაოცარი დოყლაპიობა. ნორვეგიის პოლიციას არ გასჭირვებია თვითმხილველთა ჩვენებებით იმ ავტომობილების ნომრების დადგენა, რომლებითაც ებრაელი აგენტები „სალამეჰს" დასდევდნენ. ერთ საათში პოლიციამ აეროპორტშივე დააკავა ორი აგენტი. აღმოჩნდა, რომ მათ ავტომობილები საკუთარ გვარზე დაიქირავეს და სასტუმროშიც ყოველგვარი ლეგენდის გარეშე ცხოვრობდნენ. აგენტებმა დაფქვეს, რომ ისრაელის სპეცსამსახურის თანამშრომლები იყვნენ და კონსპირაციული ბინის მისამართიც დაასახელეს. მათი ჩვენებების საფუძველზე ნორვეგიის პოლიციამ კიდევ სამი ბედოვლათი აგენტი დააკავა. მაიკ ხარარემ გაქცევა მოასწრო. დაკავებულმა „მოსადის" აგენტებმა „გუდას პირი მოხსნეს" და პარიზსა და რომში არსებული „იავკების" (აგენტთა შეხვედრის ბინების) მისამართებიც კი დაასახელეს. ნორვეგიის სასამართლომ მათ 2-დან 5 წლამდე პატიმრობა მიუსაჯა, მაგრამ ორ წელში შეიწყალა და გაათავისუფლა.



ასეთ დღეში ჩააგდეს ალი ჰასან სალამეჰის ავტომობილი „მოსადის" აგენტებმა 1979 წლის 22 იანვარს. მანამდე კი...

## „კგბ"-ს „კატათაგვობანა"

ამ ისტორიის გმირი საბჭოთა დაზვერვის („კგბ"-ს პირველი მთავარი სამმართველოს) ლეგალური რეზიდენტი ინგლისში, პოლკოვნიკი ოლეგ გორდიევსკია. სხვადასხვა მიზეზთა გამო ის 70-იანი წლების დასაწყისში ინგლისის დაზვერვის (MI 6) აგენტიც გახდა. 1985 წლის აპრილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოლეგ გორდიევსკი რონალდ რეიგანთან შეხვედრის დროს

ში, კი მოსკოვმა ის ლონდონის რეზიდენტურის ხელმძღვანელად დანიშნა. გორდიევსკის წინ ალბათ ბრწყინვალე კარიერა ელოდა, რომ არა ბედისწერა. ზუსტად იმ დღეებში ვაშინგტონში მდებარე საბჭოთა კავშირის საელჩოში გამოცხადდა აშშ-ის დაზვერვის (ცსს) მაღალჩინოსანი ოლდრიჩ ეიმსი და საიდუმლო ინფორმაციის გამხელის სანაცვლოდ 50 ათასი დოლარი მოითხოვა. თანხმობის მიღების შემდეგ ეიმსმა „კგბ"-ს გადასცა საბჭოთა სპეცსამსახურების იმ თანამშრომელთა სია, რომლებიც უცხო ქვეყნის დაზვერვებზე მუშაობდნენ. მათ შორის იყო ოლეგ გორდიევსკის გვარიც. ის სასწრაფოდ მოსკოვში გამოიძახეს და დაიწყო მისი დაკითხვების (რომლის დროსაც ფსიქოტროპულ საშუალებებსაც კი იყენებდნენ), ფარული მოსმენისა და თვალთვალის ხანგრძლივი პროცესი. გორდიევსკის სახლის ტელეფონი „კონტროლზე იდგა" (ანუ ისმინებოდა), ოთახები „ხოჭოებით" (ფარული მოსმენის აპარატურა) იყო სავსე, ქუჩაში „მეშვიდეს" (გარე თვალთვალის სამმართველო) გოგო-ბიჭები არ სცილდებოდნენ... „კგბ" გორდიევსკის დაჭერასა და დახვრეტას არ ჩქარობდა, რადგანაც სურდა მისი და MI 6-ის მოსკოვური კონტაქტები გამოევლინა. საბჭოთა მინისტრი დარწმუნებული იყო, რომ მის მეთვალყურეობას ვერავინ დაუსხლტებოდა და ორმაგ აგენტს კატათაგვობანას ეთამაშებოდა. ასეთი ჯოჯოხეთური წნეხის მიუხედავად, გორდიევსკიმ თითქმის არარეალური რამ — საბჭოთა კავშირიდან გაქცევა გადაწყვიტა და MI 6-ის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის განხორციელებას შეუდგა. ის მაღალი დონის პროფესიონალი იყო და თავისუფლად დაუსხლტა გარე თვალთვალის ბრიგადას და დიდი ბრიტანეთის საელჩოს თანამშრომლებს განგაშის პირობითი ნიშანი მისცა. ამის შემდეგ ის დღეში ორჯერ, სპორტულად ეკიპირებული სახლიდან სავარჯიშოდ გადიოდა. გაქცევის წინა დღეს ტელეფონით საუბრისას, მცდარ კვალზე დააყენა „კგბ" — ვითომდა ნათესავებთან მიდიოდა სტუმრად. ამგვარი ოპერატიული მანევრების შემდეგ საბჭოთა კონტრდაზვერვის ყურადღება მოდუნდა, რითაც ისარგებლა გორდიევსკიმ და 1985 წლის 20 ივლისს გაიქცა. მისი მარშრუტი და გადაადგილების საშუალებები რაღაცით წააგავს „ჯარისკაცის მამის" ფრონტის ხაზამდე მიღწევის ცნობილ ეპოპეას. ტრანსპორტის რამდენიმე სახეობის გამოცვლის შემდეგ 21 ივლისს გორდიევსკი დათქმულ ადგილზე, ვიბორგთან — ფინეთის საზღვართან მივიდა. ორსაათიანი ლოდინის შემდეგ გამოჩნდა ბრიტანელი დიპლომატების ორი მანქანა, აგენტი ერთ-ერთის საბარგულში დამალეს და დიდი სიჩქარით ფინეთის საზღვრისკენ გასწიეს. საბჭოთა მესაზღვრეებმა უპრობლემოდ გაატარეს დიპლომატები... გორდიევსკი მეორე დღეს უკვე ლონდონში იყო. „კგბ"-მ მხოლოდ 15 აგვისტოს შეიტყო, რომ „თაგვმა კატას აჯობა". არადა, „კგბ"-ს მსგავსი შეცდომა მანამდე არ დაუშვია და მისი საქმის გამგრძელებლები და გულშემატკივრები დღესაც მძიმედ იხსენებენ ამ მარცხს.

P.S. სამარცხვინო შემთხვევის მიუხედავად „კგბ"-ს არც ერთი ხელმძღვანელი არ დასჯილა.

## ყველაზე დიდი „თხუნელა" ამერიკის დაზვერვაში

ზემოთ ნახსენები ოლდრიჩ ეიმსი, აშშ-ის ცსს-ის კონტრდაზვერვის სამსახურის მაღალჩინოსანი, რომელსაც საბჭოთა სპეცსამსახურების წინააღმდეგ მუშაობა ევალებოდა, 1985 წელს თავად გახდა „კგბ"-ს აგენტი და ათი წლის მანძილზე ინფორმაციას აწვდიდა ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურებს. თვით ამერიკელების შეფასებით ამ „თხუნელას" (ანუ მოწინააღმდეგე სპეცსამსახურის ფარული აგენტის) მიერ მიყენებული ზიანი ამერიკის სპეცსამსახურების ისტორიაში ყველაზე კატასტროფული იყო (სათანადო საფასურის ნაცვლად მან „კგბ"-ს გადასცა ინფორმაცია 30 აგენტის, მათ შორის: გორდიევსკის, პოლიაკოვის, მარტინოვის, მოტორინის და სხვათა შესახებ. გარდა ამისა, „ჩაუკაკლა" 100-ზე მეტი საიდუმლო ოპერაციის ყველა ნიუანსი). ის 1991 წელს მოხვდა „ძფბ"-ს მიერ შედგენილ ეჭვმიტანილთა სიაში და მასზე მეთვალყურეობა დაწესდა. საოცრებაა, რომ ეიმსს ამ პერიოდშიც არ შეუწყვეტია რუს კურატორებთან კონტაქტები და აშშ-ის სპეცსამსახურების ცხვირწინ აგრძელებდა ინფორმაციის გადაცემას. მარტო 1993 წლის აგვისტო-სექტემბერში „ცსს"-სა და „ძფბ"-ს გაერთიანებულ გარე მეთვალყურეობის ბრიგადას, რომელიც დღედაღამ უთვალთვალებდა ეიმსის გადაადგილებას, სამჯერ(!!!) გაეპარა და დაუბრკოლებლად მოახერხა სამალავებთან მისვლა, ინფორმაციის დატოვება და ფულის ამოღება. ამერიკის სპეცსამსახურების სულ ახლახან დანიშნული ხელმძღვანელები — ჯეიმს ვულსი (ცსს-ის დირექტორი) და ლუის ფრი (ძფბ-ის დირექტორი) — „ცოფებს ყრიდნენ" და მართლებიც იყვნენ. უდიდესი ოპერატიული შესაძლებლობების სპეცსამსახურებს არ შეშვენოდათ ასეთი „ბავშვური" შეცდომების დაშვება და თანაც ამერიკის ტერიტორიაზე.

ეიმსის დაპატიმრება მხოლოდ 1994 წლის 21 თებერვალს შეძლეს. სასამართლომ მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა. ამ შეცდომების გამო ცსს-ის დირექტორი ჯეიმს ვულსი იძულებული იყო იმავე წლის მაისში თანამდებობიდან გადამდგარიყო.




„თხუნელებზე მონადირენი"

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეყოლება საქართველოს სამხედრო დაზვერვა?



თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გენშტაბის სადაზვერვო ქვედანაყოფებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განხორციელების უფლება 2003 წლის 7 მაისიდან მიენიჭათ, როდესაც პარლამენტმა შესაბამის კანონში ცვლილება შეიტანა. ეს გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, ახალი სპეცსამსახურის – ერთიანი სამხედრო დაზვერვის შექმნას ნიშნავდა, რაც ექსპერტთა შორის დიდი კამათის საგანი გახდა. სამხედრო დაზვერვის მნიშვნელობა დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში საკამათო არ არის, თუმცა მის ეფექტიანობას ფინანსური და საკადრო რესურსები განსაზღვრავს. როდესაც დაზვერვა რესურსების დეფიციტს განიცდის, მაშინ ის სახიფათო პოლიტიკურ „სათამაშოს“ ემსგავსება. საქართველოს სამხედრო დაზვერვის ძირითადი ფუნქციები, ბუნებრივია, დიდად არ განსხვავდება მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულისგან. კერძოდ:

1. სამხედრო, სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მოპოვება.
2. ინფორმაციის პირველადი დამუშავება და ანალიზი.
3. კონკრეტული რეკომენდაციების მომზადება ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობისათვის.

ინფორმაციის მოპოვება უნდა მოხდეს, ძირითადად, აგენტურული, ტექნიკური შეღწევის და „ღია“ (სამხედრო ატაშეების მეშვეობით) მეთოდებით. სამხედრო დაზვერვის ერთიანი სტრუქტურის შექმნა მაშინ მოგვცემს დადებით შედეგს, თუ უკვე არსებობს და გამართულად მოქმედებს შეიარაღებული ძალების ცალკეულ სახეობათა (სახმელეთო ჯარების, ავიაციის, საზღვაო ფლოტის და ა.შ.) დაზვერვის დანაყოფები. ერთიანმა სამხედრო დაზვერვამ სწორედ მათი ოპერატიული საქმიანობის კოორდინაცია (ინფორმაციის შეჯერება, ერთიანი სურათის შექმნა და სხვ.) უნდა მოახდინოს.

დღეისათვის მსოფლიოში სამი უძლიერესი სამხედრო დაზვერვა მოქმედებს: „გრუ“ (რუსეთი), „დია“ (აშშ) და „ამანი“ (ისრაელი).

„გრუ“ 1918 წლის 21 ოქტომბერს შეიქმნა. მისი ძირითადი ფუნქციებია: სტრატეგიული და ოპერატიული დაზვერვა; სამხედრო-ტექნიკური ინფორმაციის მოპოვება; კოსმოსური და ელექტრონული დაზვერვა და სხვ. საინტერესოა, რომ „გრუ“ „კგბ“-სა და „ფსბ“-სთან შედარებით უფრო საიმედო და შედეგიან უწყებად ითვლება – მის რიგებში ყოველთვის უფრო ნაკლები მოღალატე იყო და თანაც მისი სადაზვერვო „პროდუქცია“ უფრო მაღალი ხარისხითაც გამოირჩეოდა. „გრუ“ მონაწილეობდა საბჭოთა კავშირისა და შემდგომ რუსეთის მიერ განხორციელებულ ყველა ოფიციალურ შეიარაღებულ კონფლიქტსა და ფარულ სპეცოპერაციაში. ეს სპეცსამსახური განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილ და განხორციელებულ, როგორც „ღია“ ოპერაციებში (პრეზიდენტ გამსახურდიას დამხობა, სამაჩაბლოსა და აფხაზეთის სამხედრო კონფლიქტები), ასევე მრავალ, ჯერ კიდევ გაუხმაურებელ სპეცოპერაციაში.

აშშ-ის სამხედრო დაზვერვა („დია“) 1961 წლის 1 ოქტომბერს შეიქმნა. სტრუქტურულად ის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში შედის, მაგრამ მისი დირექტორი თანამდებობრივად აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორს ექვემდებარება. ეს უწყება ახორციელებს აშშ-ის შეიარაღებული ძალების ცალკეულ სახეობათა ჯარების დაზვერვის დანაყოფების კოორდინაციას. მისი თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ ვიეტნამის, ავღანეთის, ერაყის საომარ კამპანიებში.

„ამანი“ – ისრაელის სამხედრო დაზვერვის სამმართველო, 1948 წელს შეიქმნა და პირველივე დღიდან არაბულ ქვეყნებთან მიმდინარე საომარ დაპირისპირებაში ჩაერთო. შემდგომ პერიოდშიც ეს უწყება ყოველთვის საომარი კონფლიქტებისა თუ ფარული სპეცოპერაციების წინა ხაზზე იყო.

საქართველოში ახალი სპეცსამსახურის შექმნას იმ პერიოდში ბევრი ოპონენტი ჰყავდა. „მაშინ, როცა ქართული ჯარი რეალურად მშიერი და ჩაუცმელია, როცა სამხედრო ტექნიკის დიდი ნაწილი საწვავისა და მარაგნაწილების უქონლობის გამო ადგილზე გვიყანგდება, დაუფინანსებლობის გამო კი ახალ სამხედრო ტექნიკას ვერ ვიძენთ, როცა სამხედრო მზვერავი არა გვყავს, ხოლო ერთი საშუალო დონის მზვერავის მომზადებას 34 წელი და სულ მცირე 40-50 ათასი დოლარი სჭირდება, ეს ახალი სპეცსამსახური თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელების პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა. მათაც მოუნდათ აგენტურისა და სანდო პირების ოფიციალურად „დავერბოვკება“. ალბათ ექსპრეზიდენტმა გაითვალისწინა მათი ლტოლვა ამგვარი „ჟღარუნა და ბრჭყვიალა სათამაშოების“ მიმართ და „პატარა ვუავუა“ მათაც აჩუქა. რეალურად ამ დაფინანსების პირობებში და ამ კადრებით რა უნდა გააკეთონ? ვინმე „მისტერ რაგატკინს“ მტრის ზურგში (მოწინააღმდეგის გენშტაბში და სამხედრო ნაწილში), რომ ვერ შეგზავნიან (ან როგორ შეგზავნიან, როცა მზვერავი ჩვენ არა გვყავს და უცხოეთის მოქალაქის გადმოსაბირებლად 20 დოლარია გამოყოფილი?), ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ორომტრიალში ჩაერთვებიან და კოლეგებსა და პოლიტიკოსებზე კომპრომატების ქაჩვას დაიწყებენ. ეს ახალი სტრუქტურა იქნება „ფინანსური ბერმუდის სამკუთხედი“, სადაც ასიათასობით ლარი გაუჩინარდება“, – ასეთი იყო ორი წლის წინ ამ გადაწყვეტილების მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

მომხრენიც და ოპონენტებიც თავისებურად მართალნი იყვნენ და დარწმუნებულნი ვართ, მხოლოდ ჩვენი ქვეყნისა და მისი სპეცსამსახურების გაძლიერების სურვილი ამოძრავებდათ.

ორ წელიწადში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა. უპირველესად მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და კვების კუთხით. თუმცა კვლავ დიდ პრობლემად რჩება სამხედრო დაზვერვის კადრებით დაკომპლექტების საკითხი. თავდაცვის სამინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტროსა და გენშტაბის ახალმა ხელმძღვანელებმა შესაბამისი ეფექტიანი გადაწყვეტილებებით სამხედრო დაზვერვის, როგორც ახალი სპეცსამსახურის შექმნის მართებულლობა საქმით უნდა დაამტკიცონ და ოპონენტების არგუმენტები გააბათილონ. კონტრაბანდული საწვავისა და სიგარეტების დევნა საფინანსო პოლიციას უნდა დაუტოვონ და სამართალდამცავი სტრუქტურის მანტია არ უნდა მოირგონ. ამგვარი „დაფნის გვირგვინი“ ძალზე მძიმე იქნება. თუ მაინცდამაინც შიდაპოლიტიკური ინფორმაცია და ფაქტები ჩაუვარდათ „შემთხვევით“ ხელში, მაშინ ასჯერ გადამოწმებული მასალები პრეზიდენტს მიაწოდონ და კონკრეტული რეკომენდაციებიც მოუმზადონ, როგორც სხვა ქვეყნებშია მიღებული. როგორც ჭკვიან ხალხს უთქვამს, „პური მეპურემ უნდა აცხოსო...“, სხვანაირად „ნატოც“ გვერდზე დაგვრჩება და...

# მრავალმიზნობრივი საიდუმლო სპეცფონდი

რამდენიმე თვეა ჩვენს ქვეყანაში ძალზე აქტუალური გახდა „სპეცფონდების თემა“. ჭორი და მართალი ერთმანეთში აირია, რასაც იაფფასიან სენსაციებს გამოკიდებულმა ჟურნალისტებმაც შეუწყვეს ხელი. გადაუმოწმებელი ინფორმაციის ბურუსში ჩინოვნიკები და ერთ-ერთი უძველესი პროფესიის წარმომადგენლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, საქმე კი — ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ქართველი ბიზნესმენების მიერ თანხების ნებაყოფლობით ჩარიცხვა, საგრძნობლად შეფერხდა. ცოტა ხნის წინანდელი საყოველთაო კორუფციის შემდეგ ბევრს ჯერ კიდევ არ სჯერა, რომ რიგით ქართველს მაღალი ხელფასის პირობებში პატიოსნად მუშაობა შეუძლია.

არადა, საზოგადოებრივი ფონდების არსებობა მსოფლიოში მიღებული და გავრცელებული პრაქტიკაა. ჩვენც ერთ-ერთის შესახებ მოგითხრობთ.

საფრანგეთში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ყოველწლიურად ქვეყნის ბიუჯეტიდან გარკვეული თანხა პრემიერ-მინისტრის სპეციალურ ფულად ფონდში ირიცხება. ამ ფონდის მთავარი განმკარგულებელი და პასუხისმგებელი თანხების ხარჯვის მიზნობრიობაზე, ქვეყნის პრემიერია. ფულადი ფონდის მთავარი დანიშნულებაა ფრიად „დელიკატური“ სპეციალური ღონისძიებების, მათ შორის, სპეცსამსახურების განსაკუთრებით სასწრაფო და საიდუმლო ოპერაციების დაფინანსება. ფონდის მოცულობა ბიუჯეტის მოცულობაზეა დამოკიდებული. მაგალითად, 2000 წელს ფონდში 393 მლნ ფრანკი ჩაირიცხა. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ სპეცღონისძიებებისა და ოპერაციების ოპერატიულად დასაფინანსებლად ფონდში თანხები ნაღდი ფულის სახით ინახება, რაც მაქსიმალურად გამორიცხავს ფინანსთა სამინისტროსთან ბიუროკრატიულ მიმოწერას და საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებულ რუტინულ პროცედურებს.

სპეცსამსახურების გადაუდებელი საჭიროებისათვის 2000 წელს ფონდიდან 48 მლნ. ფრანკი გამოიყო, ხოლო დანარჩენი თანხა სხვა ქვეყნების პრეზიდენტებისა და მთავრობის მეთაურთა მიღება-გამასპინძლებაზე დაიხარჯა; მნიშვნელოვანი თანხები გადანაწილდა პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრისა და ცალკეული მინისტრების აპარატების „გაუთვალისწინებელი ადმინისტრაციული ხარჯების“ დასაფარად; აპარატის თანამშრომელთა მატერიალურ წახალისებაზე (ამ მიზნით დაშვებულია 25 ათასი ფრანკის ყოველთვიური დანამატის მიცემა იმ თანამშრომელთათვის, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვან, საიდუმლო ან სასწრაფო დავალებას ასრულებენ).

სპეცსამსახურის ხელმძღვანელები მარტო საქართველოში არ უჩივიან დაფინანსების ნაკლებობას, ასეა საფრანგეთშიც. ისინი პრემიერ-მინისტრის სპეცფონდიდან გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვან გაზრდას მოითხოვენ. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი ჟურნალისტების ანალოგიურად, საფრანგეთის მასმედიაც ამ ფონდის საქმიანობის მაქსიმალურ „გამჭვირვალობას“ მოითხოვს.

სპეცსამსახურების ოპერატიული საქმიანობისათვის ასეთი ფონდების არსებობა მართალაც აუცილებელი და მიზანშეწონილია. მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაშიც შეიქმნა ანალოგიური ფონდები, აღარაა სირბილი და ხვეწნა ფინანსთა სამინისტროსა და ხაზინაში „თქვენი ჭირიმე, სპეცოპერაცია გვივარდება, აგენტურისთვის სასწრაფოდ ფული გვჭირდება, საწვავი გვაკლდება, მივლინებებზე ფული არ გვყოფნის, თანამშრომელს სასწრაფო მკურნალობა სჭირდება და ა.შ.“ ერთი წლის მანძილზე ამგვარი სპეცფონდების არსებობამ გვიჩვენა, რომ მაქსიმალური კანონიერებისა და „გამჭვირვალობის“ პირობებში ისინი მობილურობასა და ოპერატიულობას სძენენ ჩვენს სპეცსამსახურებს. საზოგადოების მხრიდან კონტროლს კი მხოლოდ უნდა მიესალმონ ჩვენი „ძალოვანი“ მინისტრები, რადგანაც ეს მათ ინტერესშიც უნდა იყოს.

***რუბრიკა მოამზადა ბესიკ ალადაშვილმა***

# სამხედრო ლექსიკონი

მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირები რუსულ სამხედრო ტერმინოლოგიას იყენებენ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ ამ სიტყვების ქართული შესატყვისი არ იციან. ამ ხარვეზის გამოსასწორებლად „არსენალი“ აგრძელებს რუსული სამხედრო ტერმინების ქართული შესატყვისების გამოქვეყნებას.

Габарит – გაბარიტი
Гавань – ნავსადგური
Газ – გაზი
Газостойкий – აირმედეგი
Газоструйный – აირჭავლური
Галун – სირმა
Гарда – ჯვარედი, ვადა (ხმლის ან დანისა)
Гауптвахта – ჰაუპტვახტი
Гибкий – მოქნილი
Гильза – მასრა
Гильза патронная – ვაზნის მასრა
Гильза стреляная – ნასროლი მასრა
Главнокомандующий – მთავარსარდალი
Гладкоствольный – გლუვლულიანი
Глазомер – თვალზომა
Глубина – სიღრმე
Глубина минного поля – დანაღმული ველის სიღრმე
Глушитель – მაყუჩი
Гнездо – ბუდე
Голенище – ჩექმის ყელი
Головка – თავი
Головка акуетическая – აკუსტივური თავი
Головка боевая – საბრძოლო თავი
Головка ядерная – ბირთვული თავი
Головной – მეწინავე, მეთავე
Гондола – გონდოლა
Гонение – დევნა
Гонитель – მდევნელი
Горизонт – ჰორიზონტი
Горизонталь – თარაზულა, ჰორიზონტალი
Горн – ბუკი
Горнист – მებუკე
Горнопехотный – სამთო-ქვეითი
Горнострелковый – სამთომსროლელი
Горючее – საწვავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლე გითხრათ, ცოტა მერიდება კიდეც რომ გწერთ. შეიძლება ბავშვივით კითხვა გამომდის, მაგრამ გთხოვთ, ნუ დამძრახავთ. აგერ, მეექვსე ათწლეულს გადავაბიჯე, მაგრამ იარაღის სიყვარული მაინც ისევ ძლიერია ჩემში. არადა, თითქმის მთელი ცხოვრების ოცნება ვერ ავისრულე. ძალიან მინდოდა ამერიკული M-16-ის „საქმეში გამოცდა", მაგრამ, ალბათ უკვე ვეღარ მოვახერხებ. რუსულ „კალაშნიკოვს" რაც შეეხება, საკმაოდ დიდხანს მომიწია მისი „მოხმარება" და უკიდურესად საიმედო იარაღად ვთვლი. მე კი არა, ნახევარ მსოფლიოზე მეტი თვლის ასე. ძალიან მაინტერესებს მისი ამერიკელ კონკურენტთან შედარება. იქნებ თქვენ მაინც დამიკმაყოფილოთ ცნობისმოყვარეობა.

*გიორგი შარაძე, ყოფილი მილიციის მაიორი*

# „კალაშნიკოვი" თუ „შავი შაშხანა"

M16-ს „შავი შაშხანა" ფერის გამო არაოფიციალურად თავიდანვე დაერქვა, ამერიკულ არმიაში იგი ავტომატურ შაშხანად მოიხსენიება; თუმცა ჩვენი აზრით, ჩვეულებრივი ავტომატია.

კონსტრუქტორმა იუჯინ სტონერმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში შექმნა 7,62 მმ კალიბრის AR-10, მაგრამ მისი ნახელავით პენტაგონი არ დაინტერესდა.

სტონერს ხელი არ აუღია საყვარელ საქმეზე და 1957 წელსააწყო ავტომატური შაშხანის ახალი ნიმუში – AR-15. ახალ შაშხანას კალიბრიც ახალი – 5,56 მმ ჰქონდა. მისი ნასროლი ტყვია მიზანში უფრო ზუსტად ხვდებოდა და დამაზიანებელი ძალაც ძველზე მეტი გააჩნდა. პენტაგონი ძალზე უკმაყოფილო იყო ამერიკული არმიის შეიარაღებაში შემორჩენილი M14 ტიპის ავტომატური შაშხანებით, რომლებიც აშკარად მარცხდებოდნენ ჯუნგლებში ვიეტნამელი პარტიზანების საბჭოთა AKM-ებთან.

ამ და სხვა მიზეზების გამო, 1963 წელს პენტაგონმა შეიარაღებაში მიიღო იუჯინ სტონერის ავტომატური შაშხანა AR-15 და იმავე წელს 104 ათასი ეგზემპლარის დამზადებაც შეუკვეთა. სტონერის AR-15-ს ამერიკულ არმიაში სახელი შეუცვალეს და M16-ად მონათლეს.

თავდაპირველად, ვიეტნამში M16-ის ბევრი დადებითი მხარე დაინახეს ამერიკელმა რეინჯერებმა, მაგრამ მალე „შავი შაშხანის" ნაკლოვანებებიც გამოჩნდა. ხშირი სროლისას მასრა იჭედებოდა და მისი ექსტრაქცია მხოლოდ ხელით, შომპოლის დახმარებითღა იყო შესაძლებელი. ამ საქმით „გართულ" ამერიკელ ჯარისკაცებს არაერთხელ წადგომიან თავს „კალაშნიკოვიანი" ვიეტნამელი პარტიზანები.

გარდა ამისა, ვიეტნამის ჯუნგლების სინესტეში M16-ის ლითონის ნაწილები იჟანგებოდა და პენტაგონს სასწრაფოდ მოუხდა მათი დიდი პარტიის ქრომირება. ვიეტნამის პარტიზანულ ომში ამერიკელი ჯარისკაცები დიდი დისციპლინით არ გამოირჩეოდნენ, „შავ შაშხანებს" არც კი წმენდდნენ. ასე რომ, ზოგიერთის ლულაში ტყვია არც კი ეტეოდა. ასეთი მოუვლელობის გამო კი M16-ები მწყობრიდან გამოდიოდა.

1967 წელს ამერიკულ სამხედრო ნაწილებში დაიგზავნა „შავი შაშხანის" ახალი მოდიფიკაცია – M16A1, რომელშიც ბევრი ნაკლი გამოსწორებული იყო.

ამერიკული ავტომატური შაშხანის M16-ის ავტომატიკა დენთის აირების უკუცემის პრინციპით მუშაობს, თუმცა, „კალაშნიკოვისაგან" განსხვავებით, არ გააჩნია აირრეგულატორი და დგუში. ტყვიის გასროლის შემდეგ გამოყოფილი დენთის აირები ლულაში გაკეთებული გვერდითი ნახვრეტებიდან ხვდება მილაკში და მიემართება უკან, საკეტისკენ. აირების წნევის დაწოლით საკეტი უკან გადადის და აღებს ლულის არხს. ამ დროს გასროლილი ვაზნის მასრა გარეთ ვარდება, ხოლო თავად საკეტს ორიგინალური კონსტრუქციის ბუფერული მოწყობილობა (რომელსაც გარეთ და შიგნით ზამბარები აქვს) ამუხრუჭებს და საკეტს საწყის პოზიციაში აბრუნებს. თუმცა, მანამდე მჭიდიდან ახალი ვაზნა ასწრებს ლულის



რუსული 5.45 მმ კალიბრის AK-74M ტიპის ავტომატის სიგრძე 94 სმ-ია. წონა 3.5 კგ. ეფექტური სროლის სიშორე კი 1 კმ-ს აღწევს



ამერიკული „შავი შაშხანის" ბოლო მოდიფიკაცია 162-ი 30 ცალ 5.56 მმ კალიბრის ვაზნასთან ერთად 3.7 კგ-ს იწონის. მისი სიგრძე 1 მ-ია. წუთში 800 გასროლას ახდენს, ხოლო ეფექტური სროლის მანძილი 550 მ-ს აღწევს.

ჭრილში მოთავსებას. ხელის გადასატანი „შავ შაშხანას“, „კალაშნიკოვისგან“ განსხვავებით, მარჯვენა მხარეს კი არა აქვს, არამედ ზემოთ, შუაში, ამიტომ მისი მარჯვედ გამოყენება ცაციებსაც კი შეუძლიათ. „შავ შაშხანას“ ზემოთ დამონტაჟებული აქვს ერთგვარი სახელური, რომელიც მის გადატანასაც აადვილებს და თან სამიზნე მოწყობილობასაც წარმოადგენს. საჭიროების შემთხვევაში ამ სახელურზე სნაიპერული სამიზნე ან ღამის ხედვის აპარატურა მაგრდება. დამცველის გადართვით ხერხდება როგორც ერთჯერადი, ისე უწყვეტი სროლები. გასროლილი ვაზნების ექსტრაქციის „სარკმელი“ სპეციალური „ფარდით“ იფარება, რათა მასში ჭუჭყი და ტალახი არ მოხვდეს.

ერთი შეხედვით M16 „კალაშნიკოვზე“ უფრო დიდი და ტლანქი ჩანს. მისი სროლის ხმა სულ სხვანაირია, უცხოა. ამიტომაც ის ლეგენდა, თითქოსდა ვიეტნამის ომში ამერიკელი ჯარისკაცები თავიანთ M16-ებს ყრიდნენ და „კალაშნიკოვებს“ ირჩევდნენ, ნაკლებდასაჯერებელია და საბჭოთა KГБ-ს გავრცელებულ დეზინფორმაციას ჰგავს. შეიძლება რომელიმე ამერიკულ დივერსიულ ჯგუფს მართლაც „კალაშნიკოვები“ აერჩია, რათა ტყვია-წამლის მარაგი დახოცილი ვიეტნამელი პარტიზანების მარაგიდან შეევსო, მაგრამ რეგულარული ამერიკული ქვედანაყოფები „კალაშნიკოვებს“ არ გამოიყენებდნენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მათი სროლის ხმა მკვეთრად განსხვავდება „შავი შაშხანის“ ხმისგან, რაც ამერიკელთა რიგებში დეზორგანიზაციას შეიტანდა — ერთი ქვედანაყოფი იფიქრებდა, რომ გვერდით ვიეტნამელების „კალაშნიკოვები“ ისვრიანო და ცეცხლს გაუხსნიდნენ მათ.

სხვათა შორის, ეს ფაქტორი მომავალში გასათვალისწინებელი იქნება იმ სხვადასხვა ქართული სამხედრო დანაყოფებისთვის, რომლებსაც შეიძლება ერთად მოუწიოთ საბრძოლო ამოცანის შესრულება „კალაშნიკოვებითა“ და „შავი შაშხანებით“.

1982 წელს პენტაგონმა შეიარაღებაში „შავი შაშხანის“ მორიგი მოდიფიცირებული ვარიანტი M16A2 მიიღო. იგი ბელგიელი კონსტრუქტორების მიერ გაუმჯობესებულ 5,56 მმ კალიბრის ტყვიებს ისვრის და 100 მ-ში 3,5 მმ სისქის ფოლადის ფურცელს ხვრეტს.

M16-ის ბაზაზე შეიქმნა ათზე მეტი სხვადასხვა მოდიფიკაციის ავტომატური შაშხანა, სნაიპერული შაშხანა, კარაბინი და ხელის ტყვიამფრქვევი, რომლებიც აშშ-ის გარდა მსოფლიოს 30-მდე ქვეყნის არმიის შეიარაღებაშია — ლიცენზიით უშვებენ სინგაპურში, ტაივანში, ფილიპინებსა და სამხრეთ კორეაში.

„შავი შაშხანის“ ერთ-ერთი ყველაზე დიდი უპირატესობა „კალაშნიკოვთან“ შედარებით ის გახლავთ, რომ მისი ლულის ღერძი კონდახის ღერძს ემთხვევა და სროლისას უკუდარტყმის იმპულსი ერთ წრფეზე ვრცელდება, რასაც მსროლელის მხარი შედარებით ადვილად ანეიტრალებს. „შავი შაშხანა“ ავტომატური სროლისას „კალაშნიკოვივით“ ხელში არ ხტის. მისგან განსხვავებით, „კალაშნიკოვში“ ლულის გაგრძელებაზე კონდახი აღარ ძევს, ცოტა ქვემოთაა ჩამოწეული და ამიტომაც ავტომატით სროლისას უკუდარტყმის მნიშვნელოვანი იმპულსის მნიშვნელოვნად განეიტრალებას მსროლელი ველარ ახერხებს, რის გამოც „კალაშნიკოვის“ ლულის „ცხვირი“ თამაშობს და ტყვიებიც მიზანს სცილდება.

მიზანში სროლის სიზუსტეში „შავი შაშხანა“ „კალაშნიკოვს“ ჯობნის. მისი ბოლო მოდიფიკაცია M16A2 100 მ დისტანციიდან სროლისას ყველა ტყვიას 80 მმ-იან დიამეტრში არტყამს, „კალაშნიკოვის“ ტყვიები კი მხოლოდ 100 მმ-იან დიამეტრში „თავსდება“. თავად M16A2-ის 5,56 მმ კალიბრის ტყვიები რუსულ AK-74-ის 5,45 მმ კალიბრის ტყვიებზე უფრო აზიანებს სამიზნეს.

მაგრამ ამერიკულ M16-ს გარკვეული უარყოფითი კონსტრუქციული გადაწყვეტილებებიც გააჩნია. რახან მისი კონდახი მაღლაა განთავსებული, ამიტომ სამიზნე მოწყობილობაც მაღალ ფეხებზე არის დამონტაჟებული. მსროლელი დამიზნებისას იძულებულია, თავი და სხეულის ნაწილი სანგრიდან უფრო მაღლა ამოსწიოს, ამით კი მოწინააღმდეგისთვის ადვილი მისაწვდომი ხდება.

M16-ის კონდახში მოთავსებული სპეციალური ბუფერული მოწყობილობა ამცირებს უკუდარტყმის იმპულსს, მაგრამ, სამაგიეროდ, არ იძლევა საშუალებას, რომ „შავ შაშხანას“ დასაკეცი კონდახი დაუყენდეს, როგორც ეს „კალაშნიკოვის“ AKMC, AKC-74, AKC-74У მოდიფიკაციებს გააჩნიათ.

ამასთან, უშუალოდ ბრძოლების დროს „კალაშნიკოვი“ უფრო კარგად იტანს ჭუჭყსა და მტვერს, ვიდრე ამერიკული M16.

მოწინააღმდეგის ზურგში გადასროლილ ქართულ სწრაფი რეაგირების ჯგუფებს, თუკი ისინი ამერიკული ავტომატური შაშხანებით იქნებიან აღჭურვილნი, მოუწევთ საჭირო ვაზნების დიდი მარაგის წაღება, რადგან ამ კალიბრის ვაზნებს მოკლულ მტერს ვერ აართმევენ.

გამოადგება კი ქართულ არმიას ამერიკული „შავი შაშხანები“? წმინდა საბრძოლო თვალსაზრისით, შეიძლება მაინცდამაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს, სპეცოპერაციას რუსული „კალაშნიკოვებით“ ჩაატარებ თუ ამერიკული M16-ებით, მაგრამ მეორე მხრივ, ამერიკული „შავი შაშხანების“ ქართული არმიის შეიარაღებაში გამოჩენას უფრო მეტად სამხედრო-პოლიტიკური ელფერი ენიჭება და აჩქარებს NATO-ს სტანდარტებზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გადასვლის პროცესს. ■

„არსენალის“ წინა ნომერში გამოქვეყნდა მასალა იმის შესახებ, თუ რა კარგად მუშაობს ქვეყნის პირველ პირთა დაცვის სამსახურები. არადა, როგორც ცნობილია, ბევრი ქვეყნის მეთაური დაიღუპა ტერორისტების ხელით. იქნებ ამაზეც დაწეროთ...

*თემურ ტყეშელაშვილი*

# შემდგარი და უშედეგო ტერაქტები

სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები მუდამ თავდასხმის საფრთხის ქვეშ იმყოფებიან. ამ მხრივ საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი ნამდვილ რეკორდსმენად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ეს მძიმე ხვედრი ამერიკის პრეზიდენტებმაც გამოსცადეს. 1865 წელს მოკლეს აბრაამ ლინკოლნი, 1963 წელს ჯონ კენედი. 1981 წელს ტერორისტული აქტის შედეგად დაიჭრა რონალდ რეიგანი. 1993 წელს ერაყის სპეცსამსახურებმა მოამზადეს არშემდგარი თავდასხმა ჯორჯ ბუშ-უფროსზე. წელს, 10 მაისს კი ვიღაც გარეწარმა თბილისში, თავისუფლების მოედანზე კინაღამ ხელყუმბარა აამოქმედა...

ქვემოთ მოგვყავს უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მომხდარი ყველაზე ცნობილი პოლიტიკური მკვლელობების სია:

1982 წ. ლივანის პრეზიდენტად არჩეული ბაშირ ხმაილი, ბეირუთში ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა. მკვლელობის დამკვეთები უცნობნი არიან.

1984წ. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი დელიში მისმა ორმა პირადმა მცველმა მოკლა.

1986წ. შვეციის პრემიერ-მინისტრი ულოფ პალმე სტოკჰოლმის ქუჩაში მოკლეს.

1988წ. პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის სამხედრო ფრთის ლიდერი აბუ ჯიხადი (ნამდვილი სახელი ხალილ ვაზირი) ტუნისში ებრაელმა კომანდოსმა მოკლა.

1989წ. მოკლეს კოლუმბიის პრეზიდენტობის კანდიდატი კარლოს ჰალანა.

ამავე წელს ბომბის აფეთქების შედეგად დაიღუპა ლიბანის პრეზიდენტი რენე მოავადი.

1991წ. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი მადრასში ბომბის აფეთქების შედეგად გარდაიცვალა.

1992წ. მუხამედ ბოდიაფი, ალჟირის პრეზიდენტი ისლამისტებმა მოკლეს.

1993წ. შრილანკის პრეზიდენტი რანასინგე პრემადასა აფეთქების შედეგად დაიღუპა.

1994 წ. დაიღუპნენ ბურუნდის პრეზიდენტი კიპრიენ ნატრიამირა და რუანდის პრეზიდენტი ჯუველან ხაბიარიმანა. თვითმფრი-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავი, რომლითაც ისინი მგზავრობდენ, ჩამოაგდეს.

1995 წ. ისრაელის პრემიერ-მინისტრი იცხაკ რაბინი მოკლეს თელ-ავივში.

1996 წ. ბულგარეთის ყოფილი მინისტრი ანდრეი ლუკანოვი საკუთარ სახლთან მოკლეს.

1998 წ. გვატემალას კათოლიკე ეპისკოპოსი ხუან ჟერარდი გვატემალა-სითის ერთ-ერთ ქუჩაზე სასიკვდილოდ ნაცემი იპოვეს.

1999 წ. პარაგვაის ვიცე-პრეზიდენტი ლუის მარია არგანა გაიტაცეს და მოკლეს.

ამავე წელს სომხეთის პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი და შვიდი მაღალჩინოსანი სახელმწიფო მოღვაწე ერევანში, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ჩაცხრილეს.

2000 წ. სერბეთის მემარჯვენე ექსტრემისტული სამხედრო დაჯგუფების ლიდერი არკანი მოკლეს ბელგრადში.

2001 წ. კონგოს პრეზიდენტი ლორან კაბილა საკუთარმა მცველებმა პრეზიდენტის სასახლეში მოკლეს.

ამავე წელს ნეპალის მეფე ბირენდრა და მისი ოჯახის რვა წევრი დახოცეს სამეფო სასახლეში. მკვლელი აღმოჩნდა პრინცი დეპენდრა, რომელმაც დანაშაულის ჩადენისთანავე თავი მოიკლა.

ავღანეთის ჩრდილოეთის ალიანსის ლიდერი ახმად შახ მასუდი ორმა უცნობმა არაბმა მოკლა.

*ყველაზე მეტად გახმაურებული არშემდგარი ტერაქტები უკანასკნელი 20 წლის მანძილზე:*

1982 წელს პორტუგალიაში იოანე პავლე მეორის ვიზიტის დროს, ერთ-ერთმა დანით შეიარაღებულმა მოქალაქემ მისი მოკვლა სცადა.

1984 წელს ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც კონსერვატიული პარტიის კონფერენცია მიმდინარეობდა, აფეთქება მოხდა. აფეთქების შედეგად ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა კონტუზია მიიღო.

1986 წელს ავტომატით დაცხრილეს ჩილეს პრეზიდენტი ავგუსტო პინოჩეტი. იგი არ დაზარალებულა.

1990 წელს წითელ მოედანზე პარადის დროს ერთ-ერთმა დემონსტრანტმა სსრკ-ის პრეზიდენტის მიხაილ გორბაჩოვის მოკვლა სცადა.

1995 წელს ეგვიპტის პრეზიდენტის მუბარაქის კორტეჟი ეთიოპიის დედაქალაქში დაცხრილეს.

1997 წელს ქალაქ ხუჯენტში ტაჯიკეთის პრეზიდენტზე, იმომალი რახმანოვზე მოეწყო თავდასხმა. ის დაიჭრა.

1998 წელს თბილისში განხორციელდა თავდასხმა საქართველოს ყოფილ პრეზიდენტზე ედუარდ შევარდნაძეზე.

**ადრე, „კვირის პალიტრაში" წამიკითხავს, რომ ამერიკელები ამზადებენ „სტელსის" სისტემის შვეულმფრენს. რატომღაც ამ ბოლო დროს ამის შესახებ აღარაფერს წერენ. იქნებ თქვენ გამოაქვეყნოთ რაიმე ცნობები მის შესახებ?**

***მამუკა ასათიანი***

# უხილავი „მფრინავი ინდიელი"

## ანუ „კომანჩმა" „ომის ნაჯახი" ღრმად ჩამარხა



21-ე საუკუნის დასაწყისში ცაში ნამდვილად უნიკალური და ყოვლისშემძლე აპარატები აფრინდებიან, რომელთაც დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში მძიმე მეტეოროლოგიურ პირობებშიც შეეძლებათ უზუსტესი „წერტილოვანი" დარტყმები მიაყენონ მოწინააღმდეგის ყველაზე ეფექტურად დამალულ ობიექტებსაც კი.

სწორედ ასეთ ყოვლისშემძლე საბრძოლო საფრენოსნო აპარატად შეიძლებოდა ქცეულიყო ულტრათანამედროვე ამერიკული სადაზვერვო-დამრტყმელი შვეულმფრენი RAH-66 „კომანჩი".

„კომანჩი" მსოფლიოში პირველი შვეულმფრენია, რომელსაც შეუძლია უზუსტესად დაზვეროს მოწინააღმდეგის ობიექტი და საბრძოლო ავიაციის გამოუძახებლად თავადვე მიაყენოს გამანადგურებელი დარტყმა.

ეს შვეულმფრენი „ბოინგისა" და „სიკორსკის" საქვეყნოდ ცნობილი საავიაციო ფირმების გაერთიანებულმა ჯგუფმა შექმნა. მისი პროტოტიპის პირველი გაფრენა 1996 წლის 4 იანვარს განხორციელდა. პროგნოზების მიხედვით, პენტაგონს „კომანჩის" სერიული წარმოება 2005 წელს უნდა დაეწყო და აშშ-ის არმიისთვის სულ 1.292 შვეულმფრენი უნდა დაემზადებინა. უნდა დაემზადებინა, იმიტომ ვამბობთ, რომ პენტაგონმა ეს პროექტი დროებით შეაჩერა, მაგრამ ამაზე ქვემოთ...



ის, რაც „კომანჩს" 21-ე საუკუნის შვეულმფრენად აქცევს, დაკავშირებულია ძირითადად ამ შვეულმფრენის თანამედროვე რადიოელექტრონულ მოწყობილობებთან. ეს არის მეორე თაობის ინფრაწითელი და სატელევიზიო სისტემები, რომლებიც ეკიპაჟის ორივე წევრს თხევადკრისტალიან დისპლეებზე აძლევს ამომწურავ ინფორმაციას ფრენის მარშრუტზე, საფრენი აპარატის ადგილმდებარეობაზე, სამიზნეებზე და ა.შ. გარდა ამისა, ეკიპაჟის წევრების განკარგულებაშია ღამის ხედვის სისტემა, რაც „კომანჩის" უკუნ სიბნელეში პილოტირების საშუალებასაც იძლევა.

მაგრამ, რაც მთავარია, „კომანჩზე" დამონტაჟებულია მიზნის მაჩვენებელი და გამოსაცნობი ელექტროოპტიკური სისტემა, რომელსაც უკვე დამახსოვრებული აქვს შესაძლებელი მოწინააღმდეგის ტანკების, ჯავშანტრასპორტიორების, ქვეითთა საბრძოლო მანქანებისა და საბრძოლო ტექნიკის კონფიგურაციები. მარტივად რომ ვთქვათ, თუ „კომანჩმა" ბრძოლის ველზე აღმოაჩინა ამერიკული ტანკი MIAI „აბრამსი" და რუსული T-80У, ელექტროოპტიკური სისტემა მიზანში ავტომატურად რუსულ ტანკს ამოიღებს.

აქვე აღსანიშნავია, რომ „კომანჩის" საბორტე ელექტრონული მოწყობილობის 70% ასევე ამერიკული ულტრათანამედროვე გამანადგურებლის, F-22A-ს სისტემების იდენტურია, რაც პენტაგონისთვის დიდ ეკონომიკურ დანაზოგს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომანჩს“ გააჩნია სპეციალური მიმღები მთელ ფიუზელაჟზე, რომელიც ეკიპაჟს დაუყოვნებლივ ატყობინებს, თუ რომელი მიმართულებიდან ასხივებს შვეულმფრენს მოწინააღმდეგის რადიოლოკაციური ან ლაზერული სადგური. „კომანჩი“, ისევე როგორც F-22A, დამზადებულია „სტელსის“ პროგრამით, კომპოზიციური მასალების გამოყენებით. ეკიპაჟის კაბინის შუშები ოქროს მტვრითაა დაფარული, რათა გარეთ ვერ გამოაღწიოს კაბინის შიგნით განთავსებულმა რადიოელექტრონული სისტემების ელექტრომაგნიტურმა გამოსხივებამ.

„კომანჩის“ შასი ფიუზელაჟში იკეცება. ასევე სპეციალურ დახურულ შეიარაღების ნაკვეთურშია განთავსებული 4



ორადგილიანი, ორძრავიანი (თითოეული ძრავის სიმძლავრეა 1.340 ც.ძ.), 14 მეტრის სიგრძის სადაზვერვო-დამრტყმელი შვეულმფრენის მაქსიმალური წონაა 7,8 ტ. ფრენის სიჩქარე 330 კმ/სთ-ს აღწევს, ხოლო ფრენის „ჭერი“ კი 4,5 კმ-ს. მისი ფრენის სიშორე არც ისე დიდია და სულ 485 კმ-ს უტოლდება.



მართვადი ტანკსაწინააღმდეგო კუმულატიური რაკეტა „ჰელფაიერი“ და ორი „ჰაერი-ჰაერი“ ტიპის რაკეტა „სტინგერი“. საჭიროების შემთხვევაში, უშუალოდ ბრძოლის ველზე, „კომანჩს“ 15 წუთში უყენდება ორი პატარა ფრთა, რომლებზეც დამატებით შეიძლება კიდევ 10 „ჰელფაიერის“ ჩამოკიდება. ფიუზელაჟის წინა ნაწილში განთავსებულია 20 მმ-იანი სამლულიანი საავიაციო ქვემეხი, რომლის ჭურვების რაოდენობა 500 ცალამდეა.

სითბური დამიზნების, „მიწა-ჰაერის“ ტიპის საზენიტო რაკეტებისგან („სტინგერი“, „სტრელა“, „იგლა“, „ბლუპაიპი“ და სხვ.), რომლებიც შვეულმფრენის ძრავების საქშენებიდან გამონადენ კვამლის სიმხურვალეს მიჰყვებიან, თავდასაცავად ამერიკელმა ინჟინრებმა ერთი ეშმაკური ხერხი მოიფიქრეს — ძრავების საქშენები შვეულმფრენის ფიუზელაჟის გვერდებზე კი არ არის განთავსებული, არამედ კუდის ნაწილის თავზე. აქედან გამოსულ მაღალი ტემპერატურის აირებს საჰაერო ხრახნი ცივ ჰაერს ურევს და ცაში ფანტავს.

სამხედრო ექსპერტები აუცილებლად აღნიშნავენ „კომანჩის“ ულტრათანამედროვე რადიოელექტრონულ და ოპტიკურ მოწყობილობებს, რომლებსაც შეუძლიათ ეს შვეულმფრენი მსოფლიოში საუკეთესოდ აქციონ (თუმცა სწორედ ელექტრონული სისტემები განსაზღვრავენ მთლიანად „კომანჩის“ ღირებულების 60%-ს). ასევე თანამედროვე „სტელსის“ კონცეფციის, სპეციალური ფორმების, ასაკეცი შასისა და შეიარაღების დახურულ ნაკვეთურში მოთავსებამ და შეღებვის განსაკუთრებულმა ხერხმა „კომანჩი“ ჰაერში ძნელად აღმოსაჩენი გახადა. თუმცა უნდა აღინიშნოს ამ შვეულმფრენის სუსტი შეჯავშნაც — ის, რასაც ვერ გააკეთებს „სტრელა“, შეიძლება შეძლოს 10-მდე „კალაშნიკოვის“ ზუსტმა სროლამ.

მოსალოდნელი იყო, რომ „კომანჩი“ აშშ-ის არმიაში შეცვლიდა სადაზვერვო OH-6 „კეიუსს“, OH-58 „კიაოვსა“ და AH-1 „კობრა“ დამრტყმელ შვეულმფრენებს და 21-ე საუკუნეში AH-64A „აპაჩთან“ ერთად გადააბიჯებდა, სადაც შეიძლებოდა ბრძოლის ველზე უშუალოდ შეხვედროდა თანამედროვე რუსულ საბრძოლო შვეულმფრენებს Ka-50 „შავ ზვიგენს“, Ka-52 „ალიგატორს“ ან Ми-28-ს. თუმცა ასეთი საჰაერო ორთაბრძოლა დღესდღეობით მხოლოდ ტრენაჟორზე თუ შეიძლება გაიმართოს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ პენტაგონმა პროექტის მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე, დროებით(?!) უარი თქვა „კომანჩების“ შესყიდვაზე და აქცენტს AH-64 „აპაჩების“ მოდერნიზებაზე აკეთებს. მათი აზრით, საჭირო არ არის ისეთი ვერტმფრენის დამზადება, რომლის ანალოგიც მსოფლიოში ჯერ არავის მოეპოვება და განახლებული „აპაჩებითაც“ იოლად გავლენ. მართალია რუსული „შავი ზვიგენი“ და „ალიგატორი“ თავიანთი საფრენოსნო მაჩვენებლებით ნამდვილად არ ჩამოუვარდებიან ამერიკულ „აპაჩსა“ და „კომანჩს“, თუმცა ამერიკელების უპირატესობა ულტრათანამედროვე რადიოელექტრონულ მოწყობილობებშია. ისტორიულად დასავლეთი რადიოელექტრონიკაში ყოველთვის ჯაბნიდა საბჭოთა კავშირს და მის სამართალმემკვიდრე რუსეთს. სწორედ ამის იმედი აქვს პენტაგონს...



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ყველა ქართველ მამაკაცს საამაყოდ უნდა მიაჩნდეს სამშობლოს წინაშე მხედრული ვალის მოხდა"

**ყოფილი სამხედრო კომისარიატების გაუქმების შემდეგ უკვე წელიწადზე მეტია გასული. წვევამდელთა ჯარში გაწვევის ორგანიზება ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს დაევალათ. გამწვევი კომისიის თავმჯდომარე და პასუხისმგებელი პირი კი უშუალოდ თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი გახდა. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა ჯარში გაწვეულთა რაოდენობა და აქტიურობის დონეც. თუმცა გარკვეული ბარიერები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლავაც არსებობს. დღესაც გადაუჭრელი რჩება ისეთი საკითხები, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის მრავალეთნიკურ შემადგენლობასთან და განსხვავებულ რელიგიურ მრწამსთან, სამხედრო-სავალდებულო მოვალეობისგან თავის არიდებასთან და ა.შ. იმაზე სასაუბროდ, თუ რა შეიცვალა ბოლო პერიოდში და რა სტატისტიკური ტენდენციები შეინიშნება გაწვეულთა რაოდენობის თვალსაზრისით, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მთავარ მრჩეველს, ბატონ ჯაბა ცომაიას ვეწვიეთ.**

— **ბატონო ჯაბა, ქართულ ჯარში სოციალური მდგომარეობა ბევრად გაუმჯობესებულია, გაწვევასთან დაკავშირებით რა ცვლილებები გამოიწვია ამ ფაქტორმა?**

– 2004 წლიდან მოყოლებული, უკვე მესამე გაწვევას ვატარებთ და არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ გაწვევის გადავადების თანხის ოდენობა არ შეცვლილა. თუ წინა წლებში ჯარში წასვლა აუტანელ პირობებთან ასოცირდებოდა, დღეს ნაკლებად თუ ვინმე არიდებს თავს სამხედრო-სავალდებულო სამსახურს. მიმდინარე გაწვევას მაისში, წარმატებულად ვამთავრებთ. თავიდან განსაზღვრული იყო 4500 კაცის გაწვევა, რეალურად კი 5000-ზე მეტი გავიწვიეთ.

— **როგორ ადგენთ აღნიშნულ გეგმებს, რა მეთოდით ხდება წვევამდელთა ჯარში გამოძახება?**

– როდესაც გაწვევა იწყება, პირველ რიგში, ვიძახებთ უფროსი ასაკის წვევამდელებს, შემდეგ მათ, ვისაც ახალი შესრულებული აქვს 18 წელი. გასაწვევთა ოდენობის განსასაზღვრად უამრავი ფაქტორია შემუშავებული და გათვალისწინებული. მოგეხსენებათ, გამოსწორებული სიტუაციის მიუხედავად ბევრი მაინც არიდებს თავს სავალდებულო სამსახურს. ზოგიერთი გადავადების მოსაკრებელს იხდის, ზოგს სხვადასხვა სახის შეღავათი ეძლევა და ა.შ. ჩვენ აღნიშნულ ინფორმაციას გულდასმით ვამუშავებთ და ვადგენთ გასაწვევთა საშუალო რეალურ ციფრს. 2003 წელს გაწვევის გეგმა არასრულად შესრულდა, 2004 წელს 100 პროცენტით შევასრულეთ. წელს კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, დაგეგმილზე მეტის გაწვევა მოგვიწია. მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა, პრობლემად კვლავაც რჩება გარკვეულ რეგიონში გადავადების მოსაკრებლის გადახდის მაღალი მაჩვენებელი. შეგვიძლია განვიხილოთ რეგიონული სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც 2004 წელს თბილისიდან გაწვეულ იქნა 754 კაცი, კახეთიდან – 730, მცხეთა-მთიანეთიდან – 261, შიდა ქართლიდან – 668, ქვემო ქართლიდან – 671, სამცხრე-ჯავახეთიდან – 325, იმერეთიდან – 1329, სამეგრელო-ზემო სვანეთიდან – 874, გურიიდან – 269, რაჭა-ლეჩხუმიდან – 263, აფხაზეთიდან – 300 და აჭარიდან 809 წვევამდელი.

აღნიშნულ სტატისტიკასთან ერთად მნიშვნელოვანია განვიხილოთ გადავადების მოსაკრებლის გადახდის აქტივობაც რეგიონულ ჭრილში. მაგალითად: მარტო თბილისიდან მოსაკრებელი გადაიხადა 1800 კაცმა, იმერეთში – 1500-მა, სამეგრელოში – 500-მა, ქვემო ქართლში – 800 კაცმა და ა.შ. აღნიშნულ რეგიონებში განსაკუთრებით მაღალია მოსაკრებლის გადახდის აქტივობა, რაც ჯერ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ჯარისთვის ყველა ადამიანი არ არის მზად. აუცილებელია თითოეულმა ქართველმა კარგად გაითავისოს, რომ მათ მიერ გაწეული სამხედრო სამსახური დიდად წაადგება ქვეყანას.

მოსაკრებლები ვახსენე და აქვე შევეხები კიდევ ერთ თემას. ჯერჯერობით ერთი წლით გაწვევის გადავადებისთვის მოსაკრებელი თანხის ოდენობა ძველებურად 200 ლარს შეადგენს. ლაპარაკია იმაზე, რომ მოსაკრებლის ოდენობა 1500 ლარამდე გაიზარდოს, თუმცა მე ამის წინააღმდეგი ვარ. ნებისმიერ პიროვნებას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი გზა თავად აირჩიოს, როდის წავა ჯარში: სწავლამდე თუ სწავლის დამთავრების შემდეგ. შეიძლება კაცს რაღაც პერიოდში მართლაც ეშლებოდეს ხელი ჯარში წასვლით. სწორედ ამ მიზნით არსებობს გადავადების მოსაკრებელი თანხა, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნებამ ბოლომდე თავი აარიდოს სამხედრო-სავალდებულო სამსახურს.

აქვე მინდა ვახსენო უმაღლესი სასწავლებლების თემაც. მოგეხსენებათ, დღეისთვის არსებობს 110-მდე უმაღლესი სასწავლებელი, რომლებიც სწავლის პერიოდში პიროვნებას სამხედრო სამსახურიდან ათავისუფლებს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში პირს აღარ მოუწევს გადავადების მოსაკრებელი თანხის გადახდა.

— **ბატონო ჯაბა, უკვე წელიწადზე მეტია, რაც წვევამდელთა ჯარში გაწვევის ორგანიზება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს დაევალათ. რა დადებითი ეფექტი მოგვცა ამ ცვლილებამ?**

– ადრე, როდესაც წვევამდელებს სამხედრო კომისარიატები იძახებდნენ, ადგილობრივი თვითმმართველობები მხოლოდ დამხმარე ფუნქციას ასრულებდნენ. დღეს კი გამწვევი კომისიის თავმჯდომარედ უშუალოდ თვითმმართველობის ხელმძღვანელი ითვლება და თავადვეა პასუხისმგებელი გაწვევის სამართლიანობაზე. მოგეხსენებათ, რაიონის გამგებელი ყველაზე უკეთ იცნობს თავის რაიონს, დასახლებასა და მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას. ამდენად, მას უფრო მეტად ძალუძს ეფექტიანად აწარმოოს გაწვევა, რადგან ჰყავს საკუთარ დაქვემდებარებაში მყოფი პოლიცია და რაიონის სხვადასხვა უწყება. ასეთ შემთხვევაში გაწვევის ადმინისტრირება უფრო იოლდება.

— **ჩვენ ვსაუბრობდით გაწვევის გეგმებზე და მათ შესრულებაზე, რა მოხდება ისეთ შემთხვევაში,**

თუ აღმოჩნდა, რომ რეალურად გასაწვევი რესურსი ბევრად აღემატება გეგმაში მითითებულს, ასეთ შემთხვევაში, ხომ არ მოხდება კორუფციული გარიგება წვევამდელებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელებს შორის?

— ასეთი რამ გამორიცხულია. თუ აღმოჩნდა, რომ წამსვლელ წვევამდელთა რიცხვი მოჭარბებულია, მათ არავინ ეტყვის უარს ჯარში წაყვანაზე. რეალურად 1000 კაციც რომ იყოს ჭარბი რესურსი, ყველას გავიწვევთ. ისეთი შემთხვევა, რომ წვევამდელს გაურიგდნენ და არ გაიწვიონ, გამორიცხულია. ჩვენ კარგად ვაკონტროლებთ სიტუაციას და ვერავინ წავა კორუფციულ გარიგებაზე. საერთოდ, ჭარბი რესურსი იშვიათია, იმიტომ, რომ ჩვენ მაქსიმალურად ზუსტად ვადგენთ რეალურად წამსვლელ წვევამდელთა რაოდენობას.

**— ამბობენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის სამხედრო განყოფილების ხელმძღვანელები ხშირად მალავენ რაიონის რეალურ რესურს, რათა გეგმის შეუსრულებლობისგან თავი დაიძვრინონ.**

— ეს ასე არ არის. არ გამოვრიცხავ, რომ ვინმეს მართლა უნდოდეს ამის გაკეთება, თუმცა ასეთ ქმედებას აზრი არა აქვს. ჩვენ მათ არასოდეს ვაძლევთ გაბერილსა და შეუსრულებელ გეგმებს იმიტომ, რომ რაიონის რესურსის შესახებ ჩვენც გაგვაჩნია საკუთარი ინფორმაცია. რაიონის გამწვევ კომისიას გეგმა შემდეგნაირად ეძლევა: ვთქვათ რაიონის რესურსი 100 კაცს შეადგენს. აქედან კი მხოლოდ 50 კაცი ექვემდებარება ჯარში გაწვევას. შესაბამისად რაიონს ეძლევა 50%-იანი გეგმა. იმ შემთხვევაში, თუ ის დამალავს ინფორმაციას და იტყვის, რომ მთლიანი რესურსი 50 კაცს შეადგენს, შესაბამისად მივცემთ 100 პროცენტიან გეგმას. ვიმეორებ, რომ ჩვენც გვაქვს საჭირო ინფორმაცია და რაიმეს დამალვა ფაქტობრივად შეუძლებელია. საერთოდ, მიმაჩნია, რომ წვევამდელთა ჯარში გაწვევის ადმინისტრირება უფრო და უფრო გაიოლდება. ამის თქმის უფლებას მაძლევს უკანასკნელ პერიოდში შექმნილი ტენდენცია. ყველა ხედავს, რომ ჯარში მდგომარეობა გამოსწორებულია, არის ნორმალური კვება, ჩაცმა-დახურვა და ა.შ. თვით ფსიქოლოგიაც შეცვლილია. ყველა ქართველ მამაკაცს სამაყოდ უნდა მიაჩნდეს, რომ სამშობლოს წინაშე მხედრული ვალი მოიხადა.

*თემურ კაციაშვილი*

# კვალიფიციური რჩევები

**„არსენალი" აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე.**

**კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება", რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80**

**1. სარგებლობენ თუ არა სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები უფასო სამედიცინო მომსახურებით?**

— სამხედრო მოსამსახურეებს, შეიარაღებული ძალების პენსიონერებსა და მათი ოჯახის წევრებს (მეუღლე, შვილები) უფლება ეძლევათ, ისარგებლონ უფასო სამედიცინო მომსახურებით სამხედრო-სამედიცინო დაწესებულებაში და დასვენების შეღავათიანი პირობებით სამხედრო სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში.

**2. სამხედრო მოსამსახურეებს ბინის დაქირავების შემთხვევაში ეძლევათ თუ არა რაიმე თანხა?**

— სამხედრო მოსამსახურეებს ბინის დაქირავების შემთხვევაში ოჯახის თითოეულ წევრზე (მეუღლე, შვილი, შრომისუუნარო მშობლები) ეძლევათ ბინის ქირა დღე-ღამეში შემდეგი ოდენობით:

ა) ქალაქ თბილისში – 2,0 ლარი;

ბ) სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში – 1,5 ლარი;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტებში – 1,0 ლარი.

**3. სამხედრო მოსამსახურეებს ეძლევათ თუ არა ბინა ან საცხოვრებელი ფართი?**

— სამხედრო მოსამსახურეებს საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფს სახელმწიფო, რომლის წესი განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული შესაბამისი დებულებით. სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს საცხოვრებელი ბინის მიღებამდე ეძლევათ დროებითი საცხოვრებელი სასამსახურო შენობები ან ოთახები საერთო საცხოვრებელში.

**4. გააჩნიათ თუ არა სამხედრო მოსამსახურეებს გარკვეული შეღავათები საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას?**

— სამხედრო მოსამსახურეებს უფლება აქვთ საქართველოს ტერიტორიაზე უფასოდ იმგზავრონ საზოგადოებრივი ტრანსპორტით – ავტობუსით, ტროლეიბუსით, ტრამვაით, მეტროპოლიტენითა და საგარეუბნო რკინიგზის ტრანსპორტით სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის აღნიშნული მიზნით გამოყოფილი ასიგნებებიდან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯები გათვალისწინებული არ არის).

**5. რა შეღავათებით სარგებლობენ სამხედრო მოსამსახურეები საბინაო-საყოფაცხოვრებო გადასახადების დროს?**

— სამხედრო მოსამსახურეები (გარდა სამხედრო სავალდებულო სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებისა) და მათი ოჯახის წევრები იხდიან ბინის ქირის, ტელეფონის დადგმისა და სააბონენტო გადასახადის, გაზის, გათბობის, საბინაო-საყოფაცხოვრებო მომსახურების, ცივი და ცხელი წყლისა და სხვა კომუნალური ღირებულების 50 პროცენტს, ხოლო დანარჩენი 50 პროცენტი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის აღნიშნული მიზნით გამოყოფილი ასიგნებით (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 2005 წლის ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებაში საბინაო-საყოფაცხოვრებო გადასახადების ხარჯები გათვალისწინებული არ არის).

**6. ტრავმის მიღების შემთხვევაში რა დახმარებას იღებს სამხედრო მოსამსახურე?**

სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის მიღების შემთხვევაში მიეცემა ერთჯერადი დახმარება ფულადი სარგოების შემდეგი ოდენობით:

ა) დაინვალიდებისას – 5 წლის;

ბ) მძიმე ჭრილობისას – 10 თვის;

გ) მსუბუქი ჭრილობისას – 5 თვის.

ტრავმის სიმძიმის ხარისხს შესაბამისი სამხედრო-სამედიცინო კომისია განსაზღვრავს.










# „ფრან კოტი“ ბელადისათვის

***1899 წლის 6 აპრილს სოფელ შუშენსკოეში, გადასახლებაში პოლიციის გაძლიერებული ზედამხედველობის ქვეშ მყოფმა ვლადიმერ ულიანოვმა ამანათი მიიღო. ყუთში ფაქიზად შეფუთული ლიეჟის ფაბრიკის ნახელავი „ავგუსტ ფრანკოტის“ 12-კალიბრიანი, ორლულიანი სანადირო თოფი იდო.***



დღეისთვის ძნელია იმ მიზეზების დადგენა, თუ რამ აიძულა რუსეთის პროლეტარიატის მომავალი ბელადი, ციმბირის ულრანებში, მაინცდამაინც ამ ფირმის, ყველაზე იაფი (ორმოცდაათმანეთიანი) თოფი შეეძინა, მაგრამ ვლადიმერ ილიჩის შორსმჭვრეტელობა შესაშურია, რადგან მე-19 საუკუნეში არსებულ, იარაღის 300 ფაბრიკა-სახელოსნოდან, XXI-ე საუკუნეში, ძველი, დამსახურებული დიდებით, მხოლოდ „ავგუსტ-ფრანკოტის“ ფირმამ გადმოაღწია. მართალია დღეისათვის „ავგუსტ ფრანკოტი“ მხოლოდ ნახევრად კუსტარული სახელოსნოა, მაგრამ მასში თორმეტიოდე მაღალი რანგის ხელოსნის მიერ დღესაც იქმნება საიარაღო ხელოვნების შედევრები. ესაა გლუვლულიანი და ხრახნილლულიანი სანადირო თოფები, რომელთაც „ედსონ და დილის“ ან დისკოიანი საკეტები აქვთ.

ფირმა მჭიდიან კარაბინებსაც უშვებს, რომლებიც „მაუზერ-98“-ის ჩამკეტებით არიან აღჭურვილი. ამზადებენ 12, 16, 20 და 28 კალიბრის გლუვლულიან თოფებს ორსასხლეტიანი კავებით, სხვადასხვა სიგრძისა და მოწყობილობის ლულებით. გლუვლულიან ფრანკოტებს დამცემი მექანიზმი ჩვეულებრივ გვერდითა დისკოზე აქვს მოთავსებული. შტუცერებზე კი, ყუთისებრ საკეტებს აყენებენ.

ზემოთ ჩამოთვლილი კალიბრის თოფების გარდა, ლიეჟის ფაბრიკა ორლულიან, 410 კალიბრის, სათამაშო ვაზნებიან თოფებსაც ამზადებს. ყოფილ სსრკ-ში ამ ვაზნებმა უდიდესი პოპულარობა მოიპოვა ბაზარზე თვითდამტენი შაშხანის — „საიგა 410“-ის განუსაზღვრელი რაოდენობით გამოსვლის წყალობით (შევახსენებთ, ეს უკანასკნელი „კალაშნიკოვის“ ავტომატის ბაზაზეა შექმნილი).

ბელგიელები კი, რომლებიც მხოლოდ თავიანთი დამკვეთების ინტერესებიდან გამოდიან და საკუთარი იმიჯის შენარჩუნებას ცდილობენ, 410 კალიბრის ვაზნების მოყვარულთ შეახსენებენ, რომ





ეროვნული ბიბლიოთეკა

მოცემული ვაზნები სანადიროდ არ უნდა გამოიყენონ. ბროშურებში, რომლებიც ასეთ თოფებს ახლავს, გვირჩევენ, რომ მოცემული უჩახმახო 410 კალიბრის „ფრანკოტი“ იმ ახალგაზრდებისა და ქალბატონებისადმი მისაძღვნელ ძვირფას საჩუქრად გამოვიყენოთ, რომლებიც ნადირობის დაწყებას ან სპორტული სასტენდო სროლის სწავლას აპირებენ.

თანამედროვე ბოკფლინტებს შორის არის ისეთი, რომელსაც „ავგუსტ ფრანკოტის“ გარდა მსოფლიოში არც ერთი ფირმა არ უშვებს, ესაა ვერტიკალურლულიანი „სუპერბაზიტი“, რომელსაც მისი გამომგონებლის (1931) – თეოფილ ბრიტის სახელი ჰქვია. ამ თოფს ვერტიკალურ სახსრიანი ჭანჭიკი აქვს და როცა მის დატენვას დავაპირებთ, ლულები მარჯვნივ, გვერდზე უნდა გადავაბრუნოთ. ამ გამორჩეულად ელეგანტურ ორლულიან თოფს, ვერტიკალურ ლულიან იარაღთა შორის ყველაზე დაბალი დამცემ-დამრტყმელი ყუთი აქვს. ბოკფლინტი აღჭურვილია გამორთვადი ეჟექტორებით. 12 კალიბრის Superbritte უმსუბუქესი საველე თოფების ჯგუფს განეკუთვნება, რომლებიც მდევარი ძაღლებით ნადირობისას შეუდარებელია. იგი საუკეთესოდ არის დაბალანსებული, მოხერხებულია მხრიდან გადმოხსნისა და დამიზნებისას. თუკი დამკვეთი მოისურვებს, თოფის გაკეთების პროცესში შეუძლია ნებისმიერი კორექტივები (როგორც კონსტრუქციული, ასევე ფინანსურიც) შეიტანოს.

„ავგუსტ ფრანკოტის“ ფირმის მთელი პროდუქცია, საიარაღო ოსტატობის უმაღლეს კლასს განეკუთვნება, ამიტომ თოფების გარეგნული გაფორმება, მათი მოსევადება-გრავირება არავითარ ზედმეტ დეტალს არ შეიცავს, „უპირველეს ყოვლისა, შინაარსი განსაზღვრავს ფორმასა და ფუნქციონალიზმს“, – ასეთია მათი დევიზი. მიუხედავად ამისა, იარაღის დეკორატიულ გაფორმებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შესაფერისი გრავიურა თუ ჩუქურთმა, ფრანკოტის თანამდეროვე, ასკეტური სტილის აღქმას უწყობს ხელს.

დღესდღეობით დიდი მოთხოვნილებაა ძველ, ნახმარ „ფრანკოტებზე“, მათი შეძენა მხოლოდ შემთხვევით თუ შეიძლება, ამჟამად ასეთი შემთხვევები საკმაოდ იშვიათია. არადა იყო დრო, როცა მთელი აღმოსავლეთ ევროპა და რუსეთის იმპერია, სავსე იყო ამ ფირმის ნაირნაირი თოფებით.

ფრანკოტი განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩეოდა, ამ თოფებით ათასობით მონადირე ნადირობდა. პირველად ფრანკოტი XIX საუკუნის 70-იან წლებში გამოჩნდა, კატალოგების მიხედვით, მათი ყველაზე დიდი რაოდენობა 1910-1914 წლებში გაიყიდა.



ძველი სამონადირეო მაღაზიების პრეისკურანტებს თუ გადავშლით, რომლებიც მოსკოვში, პრაღაში, ვარშავაში, პეტროგრადსა და მაშინ პროვინციულ ტიფლისსა და ეკატერინბურგში გამოდიოდა, დავინახავთ, რომ „ავგუსტ ფრანკოტი“ იმ დროის მონადირეებს და სპორტსმენებს სხვადასხვა ტიპისა და მოდელის სამ ათეულზე მეტ თოფს სთავაზობდა. დაწყებული ყველაზე იაფით, ორმოცდაათი მანეთიდან, ათასებად ღირებულ შედევრებამდე. ლიეჟის ფაბრიკის პოპულარობა წლიდან წლამდე მატულობდა.

სადა გარეგნული გაფორმების მიუხედავად ფრანკოტი – ძვირად ღირებულ დასაკვეთ იარაღად ითვლება.

1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, საბჭოთა რუსეთის მთავრობამ ბელგიიდან იარაღის იმპორტი გაურკვეველი მოტივებით შეწყვიტა. სამამულო ომის დაწყების შემდეგ კი შინსახკომის ორგანოებმა სანადირო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანიზაციებში დარეგისტრირებული, სანადირო იარაღის 80 პროცენტი საერთოდ ამოიღეს მოსახლეობიდან. მილიონობით ლებო, მაცკი, გეიმი, პედრა, ზაუერი, ლეპაჟი, პიპერი და ფრანკოტი გადაადნეს მარტენის ღუმელებში. განსაკუთრებით „იაფ“ იარაღს არ გაუმართლა – მათ ადვილად ელეოდნენ პატრონები, ხოლო ძვირფას ინგლისურ და ბელგიურ იარაღს სასოებით მალავდნენ. საქართველოში სანადირო თოფების მსგავსი „დროებითი“ ექსპროპრიაცია 80-იანი წლების ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა გორგოძის ხელმძღვანელობით ჩატარდა ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი მთელ დასავლეთ საქართველოში, შედეგად აფხაზეთის რეგიონში ჩამორთმეული თოფები სეპარატისტებს ჩაუგდეს ხელში. დასავლეთ საქართველოში ჩამორთმეული საუკეთესო სანადირო თოფების უმრავლესობა კი, დღესაც შინაგან საქმეთა სამინიტროს მაშინდელ მაღალჩინოსანთა პირად კოლექციებს ამშვენებს.

მე-19 საუკუნის ბოლომდე „ფრანკოტი“ უპირატესობას ჩახმახიანი ორლულიანი თოფების ნაირსახეობის გამოშვებას ანიჭებდა, მე-20 საუკუნის დასაწყისში კი თანდათან უჩახმახო თოფებმა იმძლავრეს. პირველ მსოფლიო ომამდე ფირმა რიგით უჩახმახო 20, 16, 12 კალიბრის თოფებს ამზადებდა, რომელთა წონაც 2,5-3,2 კილოგრამამდე მერყეობდა. თოფებს „ედსონ და დილის“ სამმაგი საკეტები ეყენათ (პერდეს ჩარჩო და გრინერის ქანჩი). აკეთებდნენ ეჟექტორებიან და ექსტრაქტორებიან მოდელებსაც.

ფასის მიუხედავად, თითქმის ყველა „ფრანკოტს“ თავისებურად გაჩარხული ლულები ჰქონდა. ლულებს ერთობ გრძელი შევიწროება გააჩნდათ (10-12მმ), ამასთან ერთად, ლულების დაბოლოებასთან მეორე, უფრო სუსტი შევიწროება უკეთდებოდა. ასე რომ, ჩოკი ორსაფეხურიანი გამოდიოდა. ლულათა შევიწროების აბსოლუტური სიდიდის 1,0-1,2მმ. შემთხვევაში ორლულიანი ჩოკები მსხვილი საფანტის („სამი ნომრიდან“ დაწყებული) შორ მანძილზე გროვად მიტანასა და მკვეთრი ჭრის სასურველ კოეფიციენტს უზრუნველყოფდნენ. თუმცა, ასეთი თოფებიდან სროლა ჩვეულებრივთან შედარებით ოდნავ შემცირებული დოზის დენთითა და საფანტით ხდებოდა. თოფებს საკმაოდ საგრძნობი უკუდარტყმა ჰქონდა, რასაც უპირველეს ყოვლისა, საფანტის დეფორმაცია და მისი გროვად მიტანისა და მკვეთრი ჭრის მაჩვენებლის შემცირება მოჰყვებოდა ხოლმე. მაგრამ ამის მიუხედავად, შორ მანძილზე სროლაში, ომამდელ ფრანკოტებთან გაჯიბრება მხოლოდ „ლიეჟის მანუფაქტურის“ თოფებსა და შვედური ფირმა „გუსკვარნის“ სანადირო თოფებს შეეძლოთ.

საშუალო ზომის უჩახმახო სანადირო თოფებთან ერთად „ავგუსტ ფრანკოტის“ ფირმა, უმაღლესი კლასის 12-კალიბრიან იარაღსაც უშვებდა, ასეთ თოფებს საკეტები გვერდითა დაფაზე ჰქონდათ და 3,1-3,3 კილოგრამს იწონიდნენ. მათი ლულების ჩამოსასხმელად ძვირფას ინგლისურ, ჯოზეფ ვიტვორტის ფოლადს იყენებდნენ. ასეთი თოფები ტიფლისში 320-440 ოქროს მანეთად იყიდებოდა. უფრო ძვირი ღირდა თოფები, რომლებსაც მდიდრული სიუჟეტური გრავირება და სევადა ჰქონდა. შეწყვილებული სამტრედე თოფები, რა თქმა უნდა, ორჯერ მეტი ღირდა.

1930-იანი წლებიდან და განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ფირმის როლი სანადირო თოფების წარმოებაში შეიცვალა. თანდათან შემცირდა იაფი პროდუქციის გამოშვება, საწარმომ ყურადღება ძვირფასი, შეკვეთილი იარაღის წარმოებაზე გაამახვილა.

ზოგიერთ კატალოგში ფირმა ფრანკოტის დაარსების თარიღად 1810 წელია მითითებული. შესაძლებელია ეს იმან გამოიწვია, რომ ამ წელს ფირმის სახელოსნოში, პირველი სანადირო შტუცერების წარმოება დაიწყეს. სინამდვილეში ფრანკოტების საგვარეულო ხელობას სათავე XVIII საუკუნის მიწურულს, უფრო ზუსტად 1799-1805 წელს დაედო. ამიტომ ფირმის დაარსების ოფიციალურ წლად ეს თარიღი ითვლება. თავიდან ჟოზეფ ფრანკოტი აქტიურად ჩაება სამხედრო იარაღის დამუშავებისა და დამზადების საქმეში. ამ დროისათვის ევროპას ნაპოლეონის ავისმომასწავებელი ჩრდილი გადაეფარა, რომლის არმიების შესაიარაღებლადაც ფრანკოტისთან ერთად ასეულობით ფრანგული და ბელგიური ფირმა მუშაობდა. მაგრამ ომი ომად, ნადირობა კი, სულ სხვაა. ფრანკოტის ოჯახმა სახელი ორლულიანი შტუცერებით გაითქვა, ხოლო გლუვლულიანი სანადირო თოფების წარმოებას საფუძველი მხოლოდ 1870 წელს ჩაეყარა. იგი დაკავშირებულია მაშინდელი ბელგიური წარმოების გასაოცარ წარმატებებთან. „ავგუსტ ფრანკოტიმ“ საგანგებოდ შეკვეთილი თოფების (რომლებიც თითო ეგზემპლარად მზადდებოდა) ხარისხი ე.წ. სერიულ ნაწარმზეც გადაიტანა. სწორედ ამ წლებში მიიღო ფირმამ „ავგუსტ ფრანკოტის“ სახელწოდება, რომელიც უმნიშვნელო ორთოგრაფიული ცვლილებების შემდეგ დღემდე 130 წელი მყარად არსებობს.

სახელგანთქმული მეიარაღეთა დინასტიის მრავალ წარმომადგენელს ერქვა სახელად ავგუსტი. უკანასკნელი ავგუსტ ფრანკოტი (1901-1984) საქმეში 1926 წელს ჩაერთო და წარმოებას 1944-1972 წლებში ხელმძღვანელობდა. იგი ერთობ განათლებული პიროვნება იყო, თანაბრად კარგად ერკვეოდა როგორც საიარაღო საქმეში, ასევე ლიტერატურაში, ბალისტიკასა და ბოტანიკაში, კომერციასა და ენტომოლოგიაში. მისი პირადი ნაცნობობისა და დიპლომატიური ნიჭის წყალობით, ფირმამ დიდი დეპრესიის პერიოდი წარმატებით გადალახა.

XX საუკუნის სამოციან წლებში ბელგიელებმა მოულოდნელი სიურპრიზები შემოგვთავაზეს, სამასი საიარაღო ფაბრიკის ნაცვლად 1970-იანი წლების ბოლოს თითზე ჩამოსათვლელი ფირმაღა დარჩა. „ავგუსტ ფრანკოტის“ ბაზრის კონიუნქტურის არაჩვეულებრივი წინათგრძნობა აღმოაჩნდა, იგი წარმატებით ჩაჯდა ახალი დროის მოთხოვნათა ჩარჩოში და, ამასთან ერთად, შეინარჩუნა თავისი ნაწარმის ტრადიციული სახე, რომელსაც დედამიწის ყველა კუთხეში იცნობენ და უყვართ.

ბელგიელი მეიარაღეები არასოდეს ითვლებოდნენ სანადირო იარაღის მეცნიერულ-ტექნიკური აზრის განმავითარებლებად და გზამკვლევებად. მათი წარმატების მიზეზი სხვა იყო. ისინი წამიერად ითვისებდნენ სხვა ქვეყნების მეიარაღეთა და გამომგონებელთა სიახლეებს და სწრაფადვე ნერგავდნენ საკუთარ წარმოებაში. ამასთან ერთად, ნებისმიერი მოდელის იარაღს, მიუხედავად ტირაჟისა, ზედმიწევნით მაღალი ხარისხისას აკეთებდნენ და, რაც მთავარია, მათ ეს უფრო იაფი უჯდებოდათ, ვიდრე თვით გამომგონებლებს.

თავისი ორსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში ფრანკოტის ფირმამ არაერთი წარმატება, დაცემა და უძრაობის პერიოდი განიცადა, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად ახერხებდა წინააღმდეგობის გადალახვას. მის მიერ გამოშვებულ იარაღს არასოდეს გაუმტყუნებია შემკვეთების მოლოდინი, „ავგუსტ ფრანკოტის“ გამოშვებული სანადირო თოფები დღესაც ერთგულად ემსახურებიან მონადირეებს.

თამაზ ჟორჟოლიანი

# როგორ „ნადირობდა“ „ჟირაფი“ საბჭოთა იარაღზე






1990 წელს საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა შეთანხმებას უკვე გაერთიანებული გერმანიიდან თავისი სამხედრო ნაწილების გაყვანის შესახებ.

ამ დროისთვის გერმანიაში დისლოცირებული საბჭოთა ჯარების დასავლეთის ჯგუფი თითქმის 339 კაცს, აგრეთვე ათასობით ტანკსა და ასობით თვითმფრინავს ითვლიდა. ხელშეკრულების თანახმად, 4 წელში საბჭოთა სამხედრო დანაყოფებს გერმანია უნდა დაეტოვებინათ, მაგრამ საბჭოთა კავშირს მანამდე სიცოცხლე არ დასცალდა.

ხელშეკრულების შესრულება რუსეთმა იკისრა.

1998 წლისთვის დასავლეთის ჯგუფის ჯარები, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა არმია, თითქმის მთლიანად დემორალიზებული იყო. ოფიცრებმა და ზემდეგებმა იცოდნენ, რომ კავშირში მათ არავინ ელოდებოდათ და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გარეშე დარჩებოდნენ, ხოლო ჯარისკაცებს ერთი სული ჰქონდათ, საერთოდ მიეტოვებინათ არმია.

ამიტომაც ბუნებრივი გახდა საბჭოთა ოფიცრების ზრუნვა მომავალზე — სანამ აყვავებულ გერმანიას დატოვებდნენ, ხელი რაიმეთი მოეთბოთ, მაგრამ ღატაკ საბჭოთა ოფიცერს რა ჰქონდა გასაყიდი, გარდა სამხედრო საიდუმლოებებისა.

სწორედ ამ საბჭოთა სამხედრო საიდუმლოებებზე დაიწყეს ნადირობა დასავლეთის, კერძოდ, გერმანიისა და აშშ-ის სადაზვერვო სამსახურებმა.

დასავლეთისთვის ძალზე რეალური გახდა, რომ რამდენიმე ასეულ მარკად დემორალიზებული საბჭოთა სამხედროებისგან ხელში ჩაეგდო ის სუპერსაიდუმლო ცნობები და რუკები, რისთვისაც სხვა პირობებში მაღალპროფესიონალი მზვერავების მთელ ასეულს მრავალი წელი უნდა ემუშავა.

ამ მიზნების განსახორციელებლად დაიწყო გასაიდუმლოებული ოპერაცია სახელწოდებით „ჟირაფი“.

„ჟირაფი“ ითვალისწინებდა პატარა საშუამავლო სავაჭრო ფირმების შექმნას მთელ აღმოსავლეთ გერმანიაში. ფირმების საკონტაქტო ტელეფონები 24 საათის განმავლობაში მუშაობდა და ყველა მსურველს ყიდვა-გაყიდვაში დახმარებას ალუთქვამდა.

დასავლეთის დაზვერვას ჰქონდა ამომწურავი ინფორმაცია, თუ რომელი ნაწილი როდის ტოვებდა გერმანიის ტერიტორიას და რა სახის შეიარაღება გაჰქონდა.

არადა, შეიარაღებით დასავლეთის ჯგუფის ჯარები მთელ საბჭოთა არმიაში გამოირჩეოდა. პირველ რიგში, სწორედ აქ იგზავნებოდა თანამედროვე ტანკები, ქვემეხები თუ თვითმფრინავები. ამიტომაც გერმანიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა იმ დროისთვის უთანამედროვესი Т-80 ტიპის ტანკები და МиГ-29 გამანადგურებელი თვითმფრინავები. ეს ყველაფერი კი დასავლეთის დაზვერვისთვის ძალზე მსუყე ლუკმა გახლდათ.

საბჭოთა ოფიცრები, რომლებიც კავშირში ბრუნდებოდნენ, ნახმარი „ჟიგულის“ სანაცვლოდ თანახმანი იყვნენ, ყველაზე დიდი სამხედრო საიდუმლოებაც კი გაეცათ.

სწორედ ამიტომაც 3-4 წელში „ჟირაფმა“ ასობით განსაკუთრებით საიდუმლო დოკუმენტი მოიპოვა, მათ შორის, საბჭოთა კავშირის გენერალური შტაბის სტრატეგიული გათვლები, დასავლეთის ჯგუფის ჯარების გენერალიტეტისა და ოფიცრების კორპუსის შესახებ ამომწურავი ცნობები, ინფორმაციები ჯარებში საგანგებო შემთხვევების შესახებ.

რაც მთავარია, დასავლეთის დაზვერვას ხელში ჩაუვარდა უახლესი საბჭოთა იარაღის ტექნიკური მონაცემები და მათი საბრძოლო გამოყენების მეთოდიკა. „ჟირაფის“ ნადავლი გახდა გამანადგურებელი МиГ-29-ის საბორტო კომპიუტერი, საბრძოლო შვეულმფრენ Ми-24-ის ოპტიკური სამიზნეები და რადიოსისტემა — „ჩემიანი-სხვისიანი“, ლაზერული დამიზნების ტანკების სარაკეტო იარაღი და მრავალი სხვა.

ეს კი არადა, ერთმა რუსმა ოფიცერმა „ჟირაფის“ ხელმძღვანელებს Т-80 ტანკი მთლიანად შესთავაზა, მაგრამ იმის გამო, რომ მთელი ტანკის გადასატანი საშუალება არ გააჩნდათ, ამ უკანასკნელებმა Т-80 ნაწილ-ნაწილ იყიდეს.

უფრო მეტიც, როგორც დღეს ირკვევა, იყო მცდელობა, რომ რუსი სამხედრო მოსამსახურეებისგან ტაქტიკური რაკეტის ბირთვული ქობინიც კი ეყიდათ, თუმცა ეს გარიგება ბოლო წუთში ჩაიშალა.

ოპერაცია „ჟირაფის“ გვირგვინად იქცა რუსეთის არმიის შიფრული სვეტების კოდირების წიგნებისა და ადრეული გაფრთხილების სისტემის „პაროლის“ საიდუმლოებების მოპოვება. ამ დღიდან დასავლეთის დაზვერვისთვის რუსეთის არმიის ყველაზე საიდუმლო მიმოწერა და შეტყობინებები საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა.

როგორც ჩანს, ოპერაცია „ჟირაფმა“ ისეთი სერიოზული დარტყმა მიაყენა რუსეთის სამხედრო მანქანას, რასაც რამდენიმე ქვეყნის არმიაც კი ვერ შეძლებდა. ეს ყველაფერი კი სამხედრო მოსამსახურეთა სულიერმა გახრწნამ გამოიწვია, რომელიც თავის მხრივ, შემდგომი ცხოვრების გაურკვევლობამ და ფინანსურმა გაჭირვებამ განაპირობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2С3 „Акация“



# ქართული "ომის ღმერთი" ძლიერდება

„ომის ღმერთმა“ — არტილერიამ გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზეთის ომში.

1993 წლის იანვრისა და 16 მარტის სოხუმზე განხორციელებული შემოტევები სწორედ ქართულმა არტილერიამ ჩააზშო თავისი გამანადგურებელი ცეცხლით. შეგვიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, სოხუმზე ბოლო იერიშის დროს მოწინააღმდეგე ძალებს რომ ქართული არტილერიის ცეცხლი შეგებებოდა, შეტევა მოგერიებული იქნებოდა, მაგრამ ამ დროს ქართული არტილერია ფოთში, ქუთაისსა და თბილისში იყო გადმოტანილი, ხოლო ქვემეხებისა და ჰაუბიცების საკეტები 1993 წლის 27 ივლისს სოჭის ხელშეკრულების თანახმად, რუს სამხედროებს ჰქონდათ შენახული.

აფხაზეთის ომის დროს ქართული არტილერიის ძირითად დამრტყმელ ძალას 85 მმ-იანი Д-44 ქვემეხები, 100 მმ-იანი КС-19 საზენიტო ქვემეხები, 122 მმ-იანი Д-30 ჰაუბიცები და ამავე კალიბრის БМ-21 „Град“-ის ზალპური ცეცხლის რეაქტიური დანადგარები წარმოადგენდა.

სამხედრო დამკვირვებელთა აზრით, აფხაზეთის ომში ქართველ სამხედროებს შორის შედარებით უფრო პროფესიულად და ეფექტურად, სწორედ არტილერისტები მოქმედებდნენ, თუმცა ამას თავისი ობიექტური ახსნაც ჰქონდა — მათი უმრავლესობა თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო, ხოლო ТАУ საბჭოთა პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სასწავლებლად ითვლებოდა.

მაგრამ მიუხედავად ამ უპირატესობისა, ქართულ არტილერიას გააჩნდა თანამედროვე ლოკალური ბრძოლებისთვის დამახასიათებელი ერთი უდიდესი ნაკლი — ის უძრავი იყო (თუ არ ჩავთვლით „გრადებს“). ქვემეხების საცეცხლე პოზიციებზე განლაგებას საკმაოდ დიდი დრო და სახსრები სჭირდებოდა. არადა, თანამედროვე საარტილერიო დაზვერვის საშუალებების გამოყენებით მოწინააღმდეგეს სულ ორიოდე წუთში შეეძლო დაეფიქსირებინა ქართული ქვემეხებისა და ჰაუბიცების საცეცხლე წერტილები და მათ გასანადგურებლად საპასუხო ცეცხლი გაეხსნა.

ორ თვეზე მეტ ხანს იყო მოწყობილი Д-30 ჰაუბიცების საცეცხლე წერტილები კელასურში, ზღვის პირას, ფინური სახლების გასწვრივ. აქ ქართული არტილერიის პოზიცია მანამდე იყო განთავსებული, სანამ ბომბორას აეროდრომიდან რუსულმა Су-25 მოიერიშე თვითმფრინავებმა არ დაბომბეს მისი განლაგება. დაბომბვა კი მას შემდეგ განხორციელდა, როდესაც ზემო ეშერის რუსული საიდუმლო ლაბორატორიის ღობეს ამოფარებულმა აფხაზების ტანკმა ცეცხლი გაუხსნა სოხუმის საცხოვრებელ გარეუბნებს. ქართული არტილერიის საპასუხო ცეცხლის შემდეგ კი რამდენიმე ჭურვი ლაბორატორიის ეზოში აფეთქდა.

ქართველმა არტილერისტებმა სცადეს მობილური გაეხადათ თავიანთი საცეცხლე წერტილები, რისთვისაც რკინიგზის ღია პლატფორმებზე КС-19 და ЗУ-23-2 საზენიტო ქვემეხები მოათავსეს. ამ სამხედრო ეშმაკობამ მეტ-ნაკლებად გაამართლა, თუმცა რუსულმა Су-25-ებმა მაინც მოახერხეს ამ სარკინიგზო შემადგენლობის დაზიანება.

რაც შეეხება ნამდვილად მობილურ თვითმავალ საარტილერიო დანადგარს, ის ქართულ არმიას აფხაზეთის ომში არ გამოუყენებია, გარდა ერთი ეპიზოდისა — ერთმა 152 მმ-იანმა თვითმავალმა საარტილერიო დანადგარმა 2С3 „Акация“-მ, რომელიც გვარდიამ ჩაიყვანა აფხაზეთში, მოწინააღმდეგის მიმართ რამდენიმე გასროლა განახორციელა, რის შემდეგაც მწყობრიდან გამოვიდა. მოგვიანებით, ეს თვითმავალი ჰაუბიცა გასარემონტებლად თბილისში დააბრუნეს, მაგრამ უმეთვალყურეობის გამო გაიძარცვა და აფხაზეთის ომში დაბრუნება უკვე ვეღარ მოასწრო.

ჯერ კიდევ სამი წლის წინ ქართული არმიის თვითმავალი საარტილერიო დანადგარებით დაკომპლექტება სავალალო მდგომარეობაში იყო, რადგან შეიარაღებაში მხოლოდ ერთი 152 მმ-იანი 2С3 „Акация“, ერთი 152 მმ-იანი 2С19 „МСТА-С“ და ერთიც 203 მმ-იანი 2С7 „Пион“-ი თვითმავალი საარტლერიო დანადგარი იმყოფებოდა. წლეულს თავდაცვის სამინისტრომ ორფოლოს პოლიგონზე გამართულ საარტილერიო სწავლებებში საკმაო რაოდენობით გამოიყვანა თვითმავალი საარტილე-

2С7 „Пион“



DANA



ეროვნული ბიბლიოთეკა

რიო დანადგარები, მათ შორის, 6 ცალი 2С3 „Акация“ და ორი ჩეხური წარმოების 152 მმ კალიბრიანი DANA. „არსენალის“ ინფორმაციით, ქართველი არტილერისტების შეიარაღებას „აკაციების“ მორიგი პარტია შეემატა.

მკითხველს რომ შედარებითი წარმოდგენა შეექმნას, მოვიყვანთ შემდეგ მონაცემებს – დღეისთვის აზერბაიჯანის არმიის შეიარაღებაშია არანაკლებ 14 ერთეული 122 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა 2С1 „Гвоздика“ და 28 ცალი 120 მმ-იანი თვითმავალი ნაღმსატყორცნი 2С9. რაც შეეხება სომხეთის შეიარაღებულ ძალებს, მათ განკარგულებაშია არანაკლებ შთამბეჭდავი რაოდენობის თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, დაახლოებით – 38 ერთეული, აქედან 10 ცალი 122 მმ-იანი 2С1 „Гвоздика“ და 28 ცალი 152 მმ-იანი 2С3 „Акация“.

არადა, სტალინის სიკვდილის შემდეგ „ომის ღმერთს“ – არტილერიას ნიკიტა ხრუშჩოვი ძალზე არ სწყალობდა და მარტო რაკეტების იმედზე იყო. მხოლოდ ბრეჟნევის სათავეში მოსვლის შემდეგ დაიწყო საბჭოთა კავშირმა თანამედროვე თვითმავალი საარტილერიო დანადგარების შეიარაღებაში მიღება.

1967 წლიდან საბჭოთა კავშირში ერთდროულად რამდენიმე სხვადასხვა კალიბრის თვითმავალი საარტილერიო დანადგარის კონსტრუირება დაიწყო.

ქართული არმიის შეიარაღებაში მყოფი თვითმავალი ჰაუბიცა 152 მმ-იანი 2С3 „Акация“-ს სერიული წარმოება ჯერ კიდევ 1970 წელს დაიწყო. 1973 წლის ფასების თანახმად, ამ ტიპის ერთი დანადგარი 203 ათასი საბჭოთა მანეთი ჯდებოდა. ფაქტობრივად, საბჭოთა კონსტრუქტორებმა ჩასაბმელი Д-20 ქვემეხი-ჰაუბიცა თვითმავალ საზენიტო სარაკეტო კომპლექსის „Круг“-ის მუხლუხიან შასსზე დაამონტაჟეს. ამ ჰიბრიდს ძალუძს 43,5 კგ წონის მსხვრევად-ფუგასური ჭურვი სრული მუხტის გამოყენებით 17 კმ-ის სიშორეზე სტყორცნოს, ხოლო 27 კგ-იანი კუმულატიური ჭურვი კი თითქმის 4 კმ-ზე.

სხვათა შორის, კუმულატიური ჭურვებისთვის ჯავშანგამტანობა არ არის დამოკიდებული სროლის სიშორეზე და შეუძლია მაქსიმუმ 250 მმ-ის ეკვივალენტი ჯავშანი გაამტვრიოს. „Акация“-ში განთავსებულია 42 მსხვრევად-ფუგასური და 4 კუმულატიური ჭურვი.

რაც შეეხება „МСТА-С“-სა და „Пион“-ს, ისინი ვარდიკო ნადიბაიძემ ფეოდორ რეუტს – ГРВЗ-ს მაშინდელ სარდალს, 1996 წელს „გამოსტყუა“, თუმცა მათ 1996 წლის 26 მაისის სამხედრო აღლუმში მონაწილეობა არ მიუღიათ. მაშინ აღლუმზე ნაჩვენები იქნა ამ თვითმავალ დანადგარებთან ერთად გადმოცემული ბუქსირებადი 3 ცალი 152 მმ-იანი ქვემეხი 2А36 „Гиацинт“-ის და 10 ერთეული ამავე კალიბრის 2А65 „МСТА-Б“ ჰაუბიცა.

„Пион“-ი ყველაზე მსხვილკალიბრიანი საარტილერიო დანადგარია მათ შორის, რომელიც სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოურ ქვეყნებს გააჩნია. ალბათ ამას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ეს „Пион“-ი თბილისის საარტილერიო სასწავლებლის თვალსაჩინო ნიმუში იყო. საბჭოთა პერიოდში „Пион“-ები 70-იანი წლების ბოლოს მიიღეს განსაკუთრებული სიმძლავრის საარტილერიო ბრიგადების შეიარაღებაში. ისინი განკუთვნილნი იყვნენ ატომური, ბირთვლი და ნეიტრონული ჭურვების სასროლად. ქართულ არმიას ატომური ჭურვები, რა თქმა უნდა, არ გააჩნია, ჩვეულებრივ 110 კგ-იან მსხვრევად-ფუგასურ ჭურვს კი „Пион“-ი 37,5 კმ-ზე ისვრის (რაც ქართულ არმიაში ყველაზე შორს მსროლელადაა მიჩნეული), ხოლო აქტიურ-რეაქტიულს კი – 47,5 კმ-მდე.

მეორე თვითმავალი საარტილერიო დანადგარი 152 მმ-იანი 2С195 „МСТА-С“, ფაქტობრივად, Т-72 ტანკის ბაზაზე დაყენებული ჰაუბიცა „МСТА-Б“-ა. ის, შეიძლება ითქვას, ყველაზე თანამედროვე მძიმე საბრძოლო ტექნიკაა საქართველოს სამხედრო ძალებში, რადგან თავად საბჭოთა არმიის შეიარაღებაში მხოლოდ 1989 გამოჩნდა. მას აქვს ნახევრად ავტომატური დატენვის მექანიზმი, რაც საშუალებას აძლევს წუთში 7-8 გასროლა მოახდინოს, ეს მაშინ, როდესაც „Акация“ წუთში 4 გასროლასაც ვერ ასწრებს, ხოლო „Пион“-ს სამი გასროლისთვის მთელი ორი წუთი სჭირდება. „МСТА-С“ აღჭურვილია თანამედროვე დამიზნებისა და დისტანციური მართვის ელექტრონული ხელსაწყოებით. იგი 43 კგ-იანი მსხვრევად-ფუგასურ ჭურვებს 28,9 კმ-ზე ისვრის. ეს ერთ-ერთი საუკეთესო თვითმავალი ჰაუბიცაა მსოფლიოში. მას რუსეთის ფედერალური ნაწილების არტილერია ფართოდ იყენებდა ჩეჩნეთში.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების შეიარაღებაში 21-ე საუკუნეში, ძირითადად, მხოლოდ მობილური, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები დარჩება. ბუქსირებადი არტილერიის მომავალი უპერსპექტივოა, რადგან პირველი გასროლიდან საცეცხლე პოზიციის დატოვებამდე, მოწინააღმდეგის დაზვერვა თანამედროვე ხელსაწყოებით ასწრებს მისი ზუსტი ადგილსამყოფელის დაფიქსირებას და საპასუხო ცეცხლით განადგურებას. თვითმავალ „МСТА-С“-ს კი ძალუძს ერთი წუთის განმავლობაში მოწინააღმდეგის მხარეს 7 ჭურვი გაუშვას, დაუყოვნებლივ დატოვოს პოზიცია და ცეცხლის გასახსნელად მოშორებით, სხვა ადგილი შეარჩიოს.

*ირაკლი ალადაშვილი*



2С19 „МСТА-С“



2С1 „Гвоздика“

არსენალი

# 2С3 "Акация"

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჰასკი







1925 წლის იანვარში აშშ-ის ჩრდილოეთში, ალასკის შტატში მდებარე ქალაქ ნომში დიფტერიის ეპიდემიამ იფეთქა. ბავშვების 80%-ზე მეტი დაავადდა. მათი გადარჩენა სათუო იყო, რადგან ექიმებს საჭირო მედიკამენტები არ გააჩნდათ. ერთადერთი ვაქცინა, რომლითაც ეპიდემიის ჩაცხრობას შეძლებდნენ, ქალაქიდან 1000 მილის დაშორებით იყო. თვითმფრინავი, რომლითაც მედიკამენტების მოწოდება ხდებოდა, გაფუჭებული იყო. ამ ყველაფერს თან განსაკუთრებულად სუსხიანი ზამთარიც ემატებოდა. სხვა გზა რომ ვერ მოინახა, პრობლემის გადასაჭრელად ქალაქის მესვეურებმა წამლების ტრანსპორტირება ძაღლებიანი მარხილებით გადაწყვიტეს. ამ ძნელი დავალების შესრულებაში ოცამდე მარხილმა მიიღო მონაწილეობა. ძლიერი ქარბუქისა და 40-გრადუსიანი ყინვის მიუხედავად, 6 დღი-




არსენალი
ჰასკი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანი რბოლის შემდეგ, 1925 წლის 2 თებერვალს, ქალაქში საჭირო მედიკამენტებით დატვირთული ერთი მარხილი დაბრუნდა... რეპორტიორები მთელ მსოფლიოს აცნობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ გადაარჩინეს ძაღლებმა ბავშვები დაღუპვას. ამ მარხილის წინამძღოლი ჰასკის ჯიშის ძაღლი — ბოლტო იყო. მისმა თოვლივით ქათქათა დრუნჩის ფოტომ მთელი მსოფლიოს გაზეთები შემოიარა. მას შემდეგ მხოლოდ გმირ ძაღლად მოიხსენიებდნენ და ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში მისი ქანდაკებაც კი დადგეს.

1995 წელს, მსოფლიო ეკრანებზე ზემოხსენებულ მოვლენებზე დაყრდნობით გადაღებული მულტფილმი გამოვიდა, რომელმაც გმირ ძაღლს კიდევ უფრო მეტი პოპულარობა შესძინა. ბოლტოს სიკვდილის შემდეგ 1933 წელს მისი ნეშტი შესანახად კლივლენდის მუზეუმს გადასცეს.

როგორც უკვე მიხვდით, ამჯერად ჩვენ სწორედ ჰასკის ჯიშის ძაღლებზე გვექნება საუბარი. ეს ჯიში დაახლოებით 3000 წლის წინათ გამოიყვანეს ჩუქჩებმა და მათმა მონათესავე ტომებმა. ამ ძაღლმა დიდი როლი ითამაშა ჩრდილოელი ხალხების ცხოვრებაში. მის სამშობლოდ ჩუკოტკა და დასავლეთ ციმბირი ითვლება. ისეთ კლიმატში, სადაც ზამთარში ყინვა მინუს 60 გრადუსს ქვემოთ ჩამოდის, ძაღლები გადარჩენის ერთადერთ საშუალებად იქცნენ. მათ მარხილებში აბამდნენ და ისე გადაადგილდებოდნენ. აქტიურად იყენებდნენ როგორც სანადიროდ, ასევე თავდაცვისთვისაც.



1908 წელს ბეწვეულით მოვაჭრემ გვარად ჰუსაკმა ციმბირული ჰასკების მარხილი შეიძინა და 1909 წელს ბერინგის სრუტის გავლით ძაღლები ალასკაზე გადაიყვანა, რათა შეჯიბრებაში „All Alaska Sweepstakes" მიეღოთ მონაწილეობა, რისთვისაც მათ 408 მილის გავლა მოუხდათ. ჰასკები სხვა ძაღლებთან შედარებით ცოტანი იყვნენ. შეჯიბრებაში მონაწილენი მათ „ციმბირულ ვირთხებს" უწოდებდნენ. ჰუსაკმა შეძლო დაერწმუნებინა ცნობილი მემარხილე, მისი მარხილისთვის ეხელმძღვანელა. 1909 წლის აპრილის სუსხიან დილას ყველაფერი მზად იყო შეჯიბრების დასაწყებად. ქალაქ ნომიდან სხვა მარხილებთან ერთად გამოვიდა ჰასკების მარხილიც, რომელსაც მანამდე არასდროს არ მიუღია შეჯიბრებაში მონაწილეობა... ფინიშს მესამე ნომრად მიაღწიეს, რაც ყველასთვის დიდი მოულოდნელობა იყო. ჰასკების წარმატებამ აღფრთოვანებაში მოიყვანა ახალგაზრდა შოტლანდიელი ფოქს რემსეი, რომელმაც მოგვიანებით 70 ციმბირული ჰასკი შეიძინა. მან ძაღლები სამ ჯგუფად დაყო და შეჯიბრებაში 1910 წელს გამოიყვანა, სადაც ჰასკების მარხილებმა შესაბამისად პირველი, მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ ჰასკების წინაპრები ციმბირსა და ჩუკოტკაზე ცხოვრობდნენ, როგორც ჯიში, ეს ძაღლები ამერიკელებმა დაარეგისტრირეს. ამიტომ ჯიშის წარმოშობის ქვეყნად ამერიკა ითვლება. სწორედ შეერთებული შტატებისა და კანადის ძაღლსაშენებში გამოყვანილი ჰასკები ითვლებიან საუკეთესო ჯიშებად. მეოცე საუკუნის შუაწლებიდან ჰასკები ევროპის ქვეყნებშიც მოხვდნენ. ჰასკებმა ევროპა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დაიპყრეს, როცა პირველი ძაღლები ევროპულ ალპებში მიიყვანეს, სადაც მათ სამხედრო ტვირთის გადასაზიდად იყენებდნენ. ძაღლებმა მოგვიანებით ომშიც გამოიჩინეს თავი — როგორც სამძებრო-სამაშველო სამსახურის ფასდაუდებელმა თანამშრომლებმა.

თავად ჰასკების ბუნება ძალიან ორიგინალური და შეიძლება ითქვას, უნიკალურიც კია. ისინი დაბადებიდან ადამიანის სამსახურში არიან და მთავარ მიზნად საკუთარი პატრონის დახმარებას ისახავენ. უსაზღვროდ ამტანი ჰასკები კარგი მემარხილეები და წარმატებული მონადირეები არიან. ამასთან, არაჩვეულებრივად ფხიზლად დარაჯობენ და იცავენ მინდობილ „ობიექტებს". მათ ბევრად ძლიერ მხეცთან ბრძოლაც არ აშინებთ, რაც ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც უჯდებათ. ეს ძაღლი ყველას აკვირვებს უნივერსალურობით, ჭკუითა და მიხვედრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა





ლობით. ძაღლისთვის ამის სწავლება ჯერჯერობით შეუძლებელია, ამიტომ თვლიან, რომ ეს თვისებები მას თავად ბუნებამ მიანიჭა. ჰასკი ძალიან ერთგულია. იმდენად უყვარს ადამიანები, რომ ძველი ჩუქჩები ჰასკისა და ადამიანს ერთმანეთის ნათესავ არსებებად მიიჩნევდნენ. ეს ძაღლი არ არის მომთხოვნი და შედარებით ადვილი შესანახია. გარეგნულად კი ლამაზ მგელს მოგაგონებთ.

ციმბირული ჰასკი საშუალო სიმაღლის, ძლიერი, სიცოცხლისმოყვარე, მოძრავი ძაღლია. აქვს მსუბუქი და თავისუფალი მოძრაობა. გამოირჩევა აცქვეტილი ყურებით, ტანი და განსაკუთრებით კუდი სქელი ბალნით აქვს დაფარული. საშუალო ზომის თავი აქვს, ტანთან პროპორციული. არც უხეში, არც ნაზი, ზემოდან ოდნავ მომრგვალებული. დრუნჩის ფერი განსაზღვრულია თვითონ ტანის ფერის მიხედვით. მაგ: თუ შავი ფერისაა, აქვს მონაცრისფრო, წითურ-სპილენძისფერს კი — მოყავისფერო-მოწითალო. სრულიად თეთრს კი შეიძლება დრუნჩიც თეთრი ჰქონდეს.

თვალები ყავისფერი ან მონაცრისფრო-მოცისფრო აქვს. ცისფერთვალება ჰასკები ყველაზე ძვირად ფასობენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს რომ დანარჩენები რამით ჩამოუვარდებიან. თვითონ ძაღლის შეფერილობა მრავალფეროვანია, შეიძლება შეგხვდეთ შავი-მონაცრისფრო, მონაცრისფრო-მოვერცხლისფრო და ღია ყვითელი, თეთრი ლაქებით დაფარული. ხვადის სიმაღლეა 53-60 სმ, ძუსი — 51-56 სმ. ხვადის წონაა — 21-27 კგ, ძუსი — 16-23 კგ. ისინი ადვილად იტანენ ძლიერ ყინვებს (-60$^0$-მდე).

მსუბუქი წონისა და განვითარებული მუსკულატურის წყალობით ჰასკები ძალზე სწრაფად დარბიან, ამიტომაც მათ მარხილში შესაბმელად იყენებენ.

*სალომე გოგოხია*
*მაკა ქობალია*



# სახალისო სტატისტიკა

- ჩვ. წ. აღ. მეორე ათასწლეულის დასაწყისში (1000 წ.) დედამიწის მცხოვრებთა რიცხვი 400 მილიონს უახლოვდებოდა. მის დამლევს (1999) კი 6 მილიარდს გადასცდა.
- XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში არსებობდა 360 დიდი ქალაქი (100.000-ზე მეტი მოსახლით), რომელთა მოსახლეობაც დედამიწის მოსახლეობის 5%-ს არ აღემატებოდა. იმავე საუკუნის ბოლოსთვის ასეთი ქალაქების რიცხვი 2500-მდე გაიზარდა და ისინი მსოფლიო მოსახლეობის 33%-ს აჭარბებენ.
- შუა საუკუნეებში ადამიანები დედამიწის წიაღიდან მხოლოდ 18 ქიმიურ ელემენტსა და მინარევს მოიპოვებდნენ. XVII ს-ში — 25-ს; XVIII ს-ში — 29-ს; XIX ს-ში — 47-ს; XX ს-ის დასაწყისში 54-ს, ხოლო მეორე ნახევრის ბოლოს 80 ელემენტზე მეტს.
- მსოფლიოს მოსახლეობიდან მამაკაცების 10% და ქალების 8% ცაციები არიან.
- ამერიკელ ფილატელისტთა 53%-ს ქალბატონები შეადგენენ.
- ქერათმიანებს თავზე საშუალოდ 150 ათასი ღერი თმა აქვთ, წაბლისფერთმიანებს კი 100 ათასზე ოდნავ მეტი.
- მსოფლიოს დიდი ქალაქების მცხოვრებლები საკუთარი სიცოცხლის დაახლოებით 6 თვეს შუქნიშნის მწვანე შუქის მოლოდინში კარგავენ.
- ინგლისელმა სტატისტიკოსებმა გამოთვალეს, რომ ადამიანი ცხოვრების მანძილზე ფეხით საშუალოდ 100 ათას კილომეტრს გადის.
- ტელევიზორის წინ ყურყუტის მოყვარულთა რეკორდი იაპონელებს ეკუთვნით. ამ ერის წარმომადგენლები ცისფერ ეკრანთან დღე-ღამეში 9 საათზე მეტს ატარებენ.
- აშშ-ში 2.400.000-მდე მოსახლე ატარებს გვარს — სმიტი.
- ჩინეთში უფრო მეტი ადამიანი ლაპარაკობს ინგლისურ ენაზე, ვიდრე აშშ-ში.
- ამერიკელთა მხოლოდ 55%-მა იცის, რომ მზე ვარსკვლავია.
- ინდოეთში ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში ქაღალდის მოხმარება 1.5 კგ-ს შეადგენს; ავღანეთსა და მალიში — 0.1 კგ-ს; საშუალოდ დედამიწაზე — 45 კგ-ს; ფინეთში კი — 1400(!) კგ-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენთვის გაუგებარი საჭმელი



ალბათ ხშირად აღმოჩენილხართ ისეთ სიტუაციაში, როდესაც დიასახლისი რაიმე უცნაურ კერძს გთავაზობთ და გთხოვთ, ამოიცნოთ, რისგან არის ის დამზადებული. საბედნიეროდ, საქართველოში ტრადიციულ ინგრედიენტებს იყენებენ და თუ კერძის „არსი" ვერ ამოიცანით, არაფერია, მთავარია მისი გემო მოგეწონოთ და დიასახლისი შეაქოთ... სულ სხვაგვარადაა საქმე უცხოეთში — იქ ჩვენი თვალისა და გონებისთვის აბსოლუტურად მიუღებელ რამერუმეებს მიირთმევენ. ამდენად სიფრთხილე გმართებთ, რომ რომელიმე ბუზანკალი არ შემოგაპარონ და თან ამ წამებაში ასტრონომიული თანხა არ გადაგახდევინონ. ამ სტატიაში შევეცდებით ზერელედ გადავხედოთ მსოფლიოს კულინარიულ მიდრეკილებებს და ჩვენთვის მეტნაკლებად მისაღები ნაირსახეობით დავიწყებთ...

## შიგნეული

თუ რეალობას თვალს გავუსწორებთ, დავინახავთ, რომ ადამიანები შიგნეულს საკვებად მთელ მსოფლიოში იყენებენ. ზოგიერთში შიგნეული ზიზღს აღძრავს, რადგან მათი აზრით, აყროლებული და დასანახადაც არაესთეტიკურია. ზოგის აზრით კი, პირიქით...

საყურადღებოა, რომ ზოგი ხალხი კერძებს შიგნეულისგან უკეთესად ამზადებს, ვიდრე ხორცისგან. მაგალითად, შოტლანდიაში ისტორიულად ასეთი ტრადიცია ჩამოყალიბდა:

მეზობელი ინგლისელებისგან დათრგუნვილი საბრალო შოტლანდიელი გლეხები ხორცს საჭმელად იშვიათად თუ მოიხელთებდნენ. მათ ფერმებში ათობით ცხვარი და ბატკანი დახტოდა, იდილია მაშინ მთავრდებოდა, როცა მათი დაკვლის დრო მოაწევდა, ინგლისელ ბატონებს ხორცი სათავისოდ მიჰქონდათ, გლეხებს კი თავ-ფეხს, ტყავსა და შიგნეულს უტოვებდნენ. შოტლანდიელ ფერმერებსაც შემოქმედების უნარის გამოჩენის მეტი რაღა დარჩენოდათ. ასე შეიქმნა შოტლანდიის ეროვნული კერძი ხაგისი: დაფქვილი შიგნეული, ჭვავისა და შვრიის მარცვლებში არეული გულ-ღვიძლი, რომელსაც ცხვრის კუჭში ათავსებენ და მდუღარე წყალში ხარშავენ. ხაგისს მოხარშულ თალგამთან და კარტოფილის პიურესთან ერთად მიირთმევენ. უარს ნუ იტყვით, თუ ამ კერძს რესტორანში შემოგთავაზებენ და ნუ დაუჯერებთ ოფიციანტს, რომ ხაგისი პატარა, სამფეხა ცხოველია, რომელიც შოტლანდიის მაღალ მთებში ბინადრობს.

იმავე შოტლანდიაში შეხვდებით შიგნეულისგან დამზადებულ, ამჯერად უგემურ კერძს, მაგალითად ხორცითა და ფილტვით დამზადებულ ფენოვან ღვეზელს. რა თქმა უნდა, ღვეზელიდან ხორცის ნამცეცების ამოჩიჩქვნა და ფილტვის დატოვება არ გაგიჭირდებათ, მაგრამ ისეთი საწებლის გამოყენების შემთხვევაში, როგორიც გრევია (შოტლანდიელები თითქმის ყველაფერს ზედ ასხამენ), რაიმეს გარკვევა უთუოდ გაგიჭირდებათ. საბერძნეთში ყველაზე პოპულარულ შიგნეულის კერძს კოკორეცის უწოდებენ. ეს გახლავთ შიგნეულის დაგორგოლებული ბურთულები, შეგიძლიათ ბატკნის კვერცხებიც შეუკვეთოთ, რომელსაც შამფურზე ბრაწავენ. ეს კერძი იმდენად სპეციფიკურია, რომ ევროკავშირის ჰიგიენისტებმა ერთხმად აკრძალეს, მაგრამ ბერძნულ სოფლებში ამ კერძს ყოველგვარი აღელვებისა და წინააღმდეგობის გარეშე დღესაც ამზადებენ. პერუში შიგნეულის ჭამა ჯერჯერობით არავის აუკრძალავს, მით უმეტეს, რომ ერთ-ერთი კლასიკური, ეროვნული კერძი — ბადეზე შემწვარი ძროხის გულია. საერთოდ, საქონლის გული სამხრეთის რეგიონებში ერთობ პოპულარულია.

ჩრდილოეთის ქვეყნებში იმავე შოტლანდიასა და ნორვეგიაში — საკმაოდ გავრცელებულია შემწვარი სისხლი. მისგან ამზადებენ პუდინგებსა და ძეხვებს. ეს უკანასკნელი საჭმელად საკმაოდ მძიმეა, თითქოს რაღაც ცოცხალის შენთქმა გიწევთ...

ლათინურ ამერიკაში ყველაფერი პირიქითაა, იქ მამაკაცები არა მარტო ცხვრის ხორცს მიირთმევენ არამედ მათ კვერცხებსაც გეახლებიან. და თანაც ამას არა მხოლოდ გურმანული თვისებებით ამართლებენ, არამედ თვლიან, რომ ცხოველის ამ ნაწილის საკვებად მოხმარება მამაკაცურ პოტენციალს ამაღლებს. მსგავსი აზრი იყო გავრცელებული საქართველოშიც, გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისში საგანგებო სასაუზმე-რესტორანიც არსებობდა, რომელიც თავისი მოდერნისტულ-არქიტექტურული ფორმით პეპელას წააგავდა, არაოფიციალურად კი შინაარსიდან გამომდინარე, სხვა სახელი ერქვა. ამ სასაუზმე-რესტორანში ნებისმიერ დროს შეგიძლოთ შეეკვეთათ ნებისმიერი შინაური ცხოველის შემწვარ-მოხრაკული თუ მოთუშულ-მოხარშული კვერცხები. ამ უცნაურ დაწესებულებას მუშტარი თავზესაყრელად ჰყავდა, ზოგი მამაკაცური პოტენციალის ამაღლების მსურველი იყო და ზოგიც მარაქაში გარეული უბრალო ცნობისმოყვარე. 1972 წელს, როცა



რას იზამ, სტუმართმოყვარეობა ყველას თავისებურად ესმის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევარდნაძემ ვ. მჟავანაძის ხელისუფლება დაამხო, პოლიტიკური მოტივით, პირადი ბრძანებით დაახურინა ე.წ. „ყ...ბი“ რადგან თურმე იგი ნეგატიური მოვლენა იყო და თავისი ამორალური შინაარსით კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის, კერძოდ კი მუშათა კლასის იდეურ, მორალურ, ესთეტიკურ და ეთიკურ სახეს შეურაცხყოფდა.

ცხოველის ორგანიზმის ამ ნაწილში მართლაც ჭარბადაა მამაკაცის სასქესო ჰორმონი ტესტოსტერონი, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მისმა გადამეტებულმა მოხმარებამ შესაძლებელია გამელოტება გამოიწვიოს.

კვერცხები საკმაოდ პოპულარულია მრავალ ეროვნულ სამზარეულოში. მაგალითად, ესპანეთში ხარის კვერცხებს ღვეზელის საჩურთავად იყენებენ (არ შეიძლება არ გაგახსენდეთ ერთი ძველი ანეკდოტი: მადრიდში რესტორან „კორიდაში“ შესულმა ტურისტმა უცნაური დასახელების კერძი მოითხოვა, მისდა გასაკვირად, ხარის ორი უზარმაზარი შემწვარი კვერცხი მიუტანეს. ტურისტმა გასინჯა და მოეწონა. მეორე დღეს, როცა იმავე რესტორანში იგივე კერძი შეუკვეთა და წინანდელთან შედარებით ათჯერ უფრო პატარა კვერცხები მიართვეს, ოფიციანტს შეეკითხა, რაშია საქმე. გუშინ, ჩემო ბატონო, მატადორმა მოკლა ხარი, დღეს კი პირიქით, ხარმა მოკლა მატადორიო, უპასუხა ოფიციანტმა).

საფრანგეთში პოპულარულია ნაღებში მოთუშული ღორის კვერცხები. გერმანელები ხარის კვერცხებს გამოწურავენ და მისგან დამზადებულ ლიქიორს სექსშოპებში ჰყიდიან.

ადამიანის მიერ საკვებად მოხმარებულ, ცხოველის სხვადასხვა ორგანოებზე მსჯელობა შეიძლება დავამთავროთ ფრანგული ეროვნული კერძით, რომელსაც „ხბოს თვალები“ ჰქვია. ბატონებო! თუ ვინმეს გიგემიათ ეს კერძი, მოგვიყევით, გაგვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილებანი...

**ჩვენში ამათ „დიქლოფოსით“ დასდევენ, „იქ“ კი „ზავტრაკ ტურისტას“ ეძახიან...**

## ხორციჭამიობა

შესაძლებელია, ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ხორცისკენ გახედვა აღარც მოგინდეთ და ვეგეტარიანელი გახდეთ, მაგრამ ზოგიერთს, რომელსაც ცხელი გული, ცივი გონება და მშრალი ხელები გააჩნია და საკუთარ თავს ნებისმიერ სიტუაციაში გასაძლებად ამზადებს, ჩვენი ინფორმაცია აუცილებლად გამოადგება.

ბატონებო! ძაღლებს მარტო კორეელები არ ჭამენ. ადამიანის მიერ საკუთარი ოთხფეხა მეგობრების ხორცით პირის ჩატკბარუნების გეოგრაფია გაცილებით ვრცელია. ინდონეზიელები ძაღლს ქოქოსის ნალების მარინადის სახით მოგართმევენ სუფრაზე. აზიელებთან ერთად აფრიკელებიც მიირთმევენ კატის ხორცს. განელების ეროვნულ კერძად მოთუშული კატა ითვლება. შეიცოდეთ თქვენი ფისუნია და ამ სტატიას მისი თანდასწრებით ნუ წაიკითხავთ.

კიდევ ერთი დელიკატესი — შემწვარი ვირთხა. რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ვირთხას საჭმელად მოშიმშილე აფრიკის განვითარების დაბალ დონეზე მყოფი ტომების წარმომადგენლები კი არა, ცივილიზებული ფრანგები იყენებენ. მეტი რა გვეთქმის — ყოჩაღ, ფრანგებო! თქვენს კულინარულ ფანტაზიებს საზღვარი არ ჰქონია. თუმცა ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ფრანგებზე გადამწყვეტი ზეგავლენა კოლონიებმაც იქონია.



რაც შეეხება ცხენის ხორცის კერძებს, მათი დაგემოვნება-გასინჯვა არა მარტო იაპონიაში, მონღოლეთში, შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შეიძლება, არამედ ყველა იმ ქალაქში, სადაც უზბეკური ან ყაზახური რესტორანი არსებობს. ცხენის ხორცი ცხვრისას მოგაგონებთ, რომელსაც დამატებით კიდევ რაღაც ამოუცნობი გემო ახლავს.

## მწერიჭამიობა

მწერიჭამიობის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახე — საკვებად შემწვარი მუხლუხოების გამოყენებაა. ჩვეულებრივ ამ საქმისთვის კულტივირებულ

**ამ ფოტოების შემხედვარე, იმედი გვაქვს, უკვე აღარ გაგიკვირდებათ გამოთქმები: „გემრიელი ჩაკატული“ და „ძაღლის შეწვა შეშის თონეში, ფასი — 25 იუანი“**





ეროვნული ბიბლიოთეკა





მუხლუხოებს იყენებენ, რომლებიც ხელოვნურ პირობებში მრავლად გამოჰყავთ. ჩინეთში შემწვარი აბრეშუმის ჭიის კერძი ერთობ ჩვეულებრივი მოვლენაა. შეგიძლიათ თქვენ თვითონ მოამზადოთ. აიღეთ რამდენიმე პეშვი აბრეშუმის ჭია, კარგად გარეცხეთ და გახურებულ ტაფაზე დაყარეთ. კერძი მაშინ არის მზად, როცა ჭიები ტაფაზე ხტომას შეწყვეტენ. ამის შემდეგ შეგიძლიათ გემოვნების მიხედვით პილპილით, მარილით, უცხო სუნელით, ხმელი ქინძით, ხახვით, ნივრით, ნიგვზით, ქონდრითა და სხვა სანელებლებით შეკაზმოთ.

მუხლუხოების გარდა ჩინელები საკვებად კალიებსაც იყენებენ. შემწვარი კალიები კარგი საკნატუნოა. მათი გასინჯვა ჩინეთის გარდა ტაილანდშიც შეგიძლიათ. ამ ქვეყანაში შემწვარ კალიებს მოვაჭრეები ჩვენებური ფენოვანივით, ქუჩა-ქუჩა დაატარებენ. ჩინეთსა და ტაილანდში კალიები და შემწვარი ტარაკნები ლუდზე მისაყოლებლად საუკეთესო „ზაკუსკად“ ითვლება. როგორი წარმოსადგენია, ვინმემ რომ შემოგთავაზოთ: ლუდი შენ იკისრე, მსუ-

**ფქვილში ამოვლებული, ზეთში შებრაწული კალიები ძალიან ნოყიერი რამ ყოფილა...**

**თურმე ვირთხებს მარტო ბლოკადისდროინდელ ლენინგრადში კი არა, დღევანდელ პარიზშიც სიამოვნებით(?!) მიირთმევენ**

ქან-მსუქანი ტარაკნები კი ჩემზე იყოსო...

საკვებად ვარგისია აგრეთვე ათასნაირი ჭუპრი. იაპონიაში ჭუპრებს შემწვარს მიირთმევენ, ჩინეთში კი ახმობენ და მარილში გამოჰყავთ. აზიელების აზრით, ორივე მშვენივრად ესადაგება ლუდს.

ალბათ ბევრ თქვენგანს ახსოვს ჭიანჭველის მომჟავო გემო, რომელიც გაურეცხავი ხილის ჭამის დროს ჩაგყოლიათ და უსიამოვნო გრძნობა გამოუწვევია. ზანზიბარელმა ზანგებმა კი ჩვენთვის უჩვეულო საკვები თავიანთ ეროვნულ კერძში გამოიყენეს და ევროპელ ტურისტებს სიამაყით სთავაზობენ ჭიანჭველებიან ლვეზელს. ჩვეულებრივ ეს კერძი ისევე გამოიყურება, როგორც ქიშმიშიანი ნამცხვარი, ოღონდ დამჭკნარი ყურძნის ტკბილი მარცვლის მაგიერ მჟავე და მსხვრევადი ჭიანჭველის გაკვნეტა მოგიწევთ. თუ, რა თქმა უნდა, ზანზიბარული ღვეზლის გასინჯვას ინებებთ, ნება თქვენია, გინდ გასინჯეთ, გინდ თითსაც ნუ დააკარებთ. საქმე სხვაგვარადაა, როცა გაიძულებენ ზანზიბარული ღვეზლის მსგავსი, ჩვენთვის ამაზრზენი საკვების ჭამას, თანაც არა ერთხელ და ორჯერ, არამედ წლების განმავლობაში. გაიხსენეთ შევარდნაძის ხელისუფლების დროინდელმა სახელმწიფო მოღვაწეებმა როგორ შემოიტანეს ქვეყანაში ბაღლინჯოებით შეზავებული ფქვილი, რომელსაც თავმოყვარე ადამიანი პირუტყვსაც არ აჭმევდა. როგორ გვმოძღვრავდნენ, რომ ამ ფქვილისგან გამომცხვარი პური ჯანმრთელობისთვის სახიფათო არ იყო და თვითონაც სიამოვნებით მიირთმევდნენ. გაიხსენეთ ასეთი პურის გაჭრისას როგორ აღმოვაჩენდით ხოლმე პატარა ქიშმიშის მსგავს ყავისფერ წერტილს, რომელიც მარდად ამოცოცდებოდა პურის ნაჭრიდან და ამოძრავდებოდა, დიახ! ეს არსება ცოცხალი იყო. საზიზღრობაა, ცინიზმია, ამაზრზენია, მაგრამ ხალხი იძულებული იყო ეჭამა, რადგან სხვა არჩევანი არ ჰქონდა და შიმშილით ხომ არ დაიხოცებოდნენ. ბეწვზე გადავრჩით, რომ ეს პური ეროვნულ კერძად არ გვაღიარებინეს, თორემ ასე გულახდილად ველარ მიირტყამდა მისტერ ბუში სტომაქზე ხელს და ნამდვილად არ იტყოდა მშვენიერი კერძები გაქვთ. ასე რომ, ჩემო კარგებო, ზანზიბარული ღვეზელი თავისი ჭიანჭველებით სულაც არ ყოფილა გასაკვირი.

## დასლრიჯინობდა, დახტოდა, სლრიჯინობელა პატარა...

კარგად იცით, რასაც წააგავს ხამანწკა. მას საგანგებოდ ჩაღრმავებული ფსკერის მქონე თეფშით მოგართმევენ ისე, რომ ყოველი ნიჟარა თავის ბუდეში დევს. მათი ნაზი შიგთავსის მირთმევა ნებისმიერი კოვზით, ჩანგლით ან დანით შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, როგორმე მოიხელთებთ მის ლორწოსებრ მასას. მაგრამ ნამდვილი გურმანი სხვანაირად იქცევა. ნამდვილი გურმანი მთლიანად ეძლევა ხამანწკების შთანთქმის ეროტიკულ საქმეს. იგი ნიჟარას საგანგებო პატარა დანით ხსნის, რომელიც



რატომღაც გინეკოლოგიური კაბინეტის ასოციაციას ქმნის. დანა ნიჟარებს შორის უნდა მოათავსოთ, ოდნავ შეატრიალოთ და ფრთხილი მოძრაობით გადაჭრათ ძარღვი, რომლითაც ხამანწკა ნიჟარაზეა მიმაგრებული. ბრტყელ ევროპულ ხამანწკებს ეს ძარღვი ნიჟარის ფუძესთან აქვთ, ხოლო ღრმა წყლის, ანუ იაპონურ ხამანწკებს — ნიჟარის შუაგულში.

გადახსნილ ხამანწკას გურმანი ლიმონის წვენს დააწურავს, რის შემდეგაც ავხორცული ნეტარებით ჩაისუნთქავს ზღვის სურნელს და ერთი მძლავრი და ხარბი შესრუტვით ამოხვრეპს ნიჟარას. აი, რას ჰქვია — ნეტარება!

მოსახლეობის გაუთვითცნობიერებელი ფენები თვლიან, რომ ხამანწკა შეხვრეპისას წივის, ზოგი კი ამ აზრს კატეგორიულად არ ეთანხმება, მაგრამ როცა ნიჟარას გადახსნით და სრიალა და მოთიმთიმე ხამანწკას შეხვრეპას დაუპირებთ, გახსოვდეთ, რომ ეს საბრალო არსებები ცოცხლები არიან. ისინი სუფრაზე ცოცხლად მოაქვთ. და თუ ეს გეცოდინებათ, შესაძლებელია, არა მარტო წივილის ხმა მოგესმათ, არამედ მათი სიკვდილისწინა აგონიაც შეიგრძნოთ. ლოკოკინებიც ხამანწკებივით ჩაღრმავებული თეფშებით მოაქვთ სუფრაზე. თითო ლოკოკინა თავის ბუდეში დევს. კერძს თან უნდა ახლდეს ჩანგლის მსგავსი საჩიჩქნელი არასტანდარტული კბილის სამკურნალო ინსტრუმენტის ფორმისა, რომლითაც ნიჟარიდან ლოკოკინა უნდა ამოიჩიჩქნოს. საჩიჩქნელის გარდა, მოგართმევენ ლითონის საგანგებო კოვზს, რომელსაც მარყუჟისებური დაბოლოება აქვს (კვლავ გინეკოლოგიური ასოციაციები...). ამ მარყუჟში ფრთხილად უნდა მოათავსოთ ლოკოკინა, ჩაასხათ ნიჟარაში მცირეოდენი ნივრის წვენი და შეუდგეთ ამოჩიჩქვნას. მიგთავსს ნაზი რეზინის კონსისტენცია და ენით აუწერელი გემო აქვს.

ცალკე უნდა ითქვას წყალმცენარეების შესახებ. მათ ჩვეულებრივ, ხამანწკებსა და ლოკოკინებთან ერთად მიირთმევენ ხოლმე. მორუხო, ჭუჭყისფრის გასაკეთილშობილებლად, წყალმცენარეებს მარილიან წყალში ხარშავენ, რის შედეგადაც ისინი მკვეთრი მწვანე ფერისანი ხდებიან. ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ წყალმცენარეები ერთობ მარგებელია, რადგან ისინი დიდი რაოდენობით იოდს შეიცავენ, ეს უკანასკნელი კი საუკეთესო სტიმულატორია გონებრივი მუშაობისთვის.

რაც შეეხება ბაყაყებს, მათი ნუ შეგეშინდებათ. მით უმეტეს, რომ ყველა ნორმალური ფრანგი მათ არა მთლიანად, არამედ მხოლოდ უკანა თათების ხორციან ნაწილს მიირთმევს, რომელიც რაღაცით ქათმის ხორცს მოგაგონებთ. ბაყაყის თათებს ჩვეულებრივი დანა-ჩანგლით მიირთმევენ. კერძი კი, საკმაოდ მაწიერი და ადვილი მოსანელებელია. რასაც ვერ ვიტყვით ზვიგენის შესახებ, რომლის ხორციც გარეგნულად ერთობ მშვენივრად გამოიყურება — თეთრი ან მოვარდისფროა, გემო კი სპეციფიკური მომწარო-მოტკბო აქვს. გარდა ამისა, ზვიგენის ხორცი შეიცავს ამიაკს, რაც მის ხორცს განსაკუთრებულ სუნს აძლევს. ამიტომ, როცა ზვიგენის ხორცის გასინჯვის საშუალება მოგეცემათ, ცხვირზე თითები მოიჭირეთ, წინასწარ პილპილის საკმაო რაოდენობა მიირთვით და როცა გემოვნების რეცეპტორებს სხვა რამეზე რეაგირება აღარ შეეძლებათ, ზვიგენის ხორცის ღეჭვას შეუდექით.



ხამანწკები მთლად უცხო არ უნდა იყოს საქართველოს სანაპიროსთვის, ლიმონიც იქვე იზრდება. ასე რომ, ნამდვილ გურმანებს ფართო შესაძლებლობები ეძლევათ...

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდეგ, შესაძლებელია გაგიჩნდეთ აზრი, რომ ამქვეყნად ყველაფრის შეჭმა შეიძლება, მთავარია მონდომება. მაგალითად, ამას წინათ ეთიოპიაში აღმოჩნდა კაცი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში ლურსმნებს ჭამდა. ეს ადგილობრივმა მედიკოსებმა შემთხვევით შეიტყვეს. საავადმყოფოში მივიდა პიროვნება, რომელიც მუცლის ტკივილს უჩიოდა, რენტგენზე გაშუქების შემდეგ ამ უკანასკნელის მუცელში ჯართის მთელი საწყობი აღმოაჩინეს, იგი სასწრაფოდ წამოაწვინეს საოპერაციო მაგიდაზე და კუჭიდან ლითონის 222 ნივთი ამოუღეს, რომელთა საერთო წონა 700 გრამს აღწევდა. „საწყობი“, ძირითადად, ლურსმნების, მონეტებისა და გასაღებებისგან შედგებოდა. ასეთი რაოდენობის რკინის ნივთებით პირის ჩასატკბარუნებლად თურმე დიდი დროა საჭირო. მეცნიერებმა გამოითვალეს, რომ ეთიოპიელი ფულს, გასაღებებსა და ლურსმნებს ოცი წლის განმავლობაში ჭამდა. ექიმების შეკითხვაზე, თუ რატომ აკეთებდა ამას, პაციენტმა დუმილით უპასუხა. მართლაც რომ ბევრი რამ არის ამქვეყნად ჰორაციო, ამოუცნობი და გაუგებარი, მათ შორის საჭმელიც.

P.S. ვისაც არ გაშინებთ მცოცავ-მხოხავი არსებებით პირის ჩატკბარუნება, „არსენალის“ 48-ე გვერდზე შეგიძლიათ ზოგიერთი მათგანის კერძის რეცეპტს გაეცნოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინდა



**მამაკაცის ყველაზე შეუმჩნეველ აქსესუარს – წინდას, მიუხედავად მისი უბრალოებისა, დიდი ხნის ისტორია აქვს. წინდა ჯერ კიდევ ეგვიპტელებმა გამოიგონეს, ადრეულ შუა საუკუნეებში და დღემდე ის ნებისმიერი კოსტიუმის განუყრელი და აუცილებელი ატრიბუტია.**

ძველად, ქალებსაც და მამაკაცებსაც შინნაკერი, ხავერდის, აბრეშუმის, მაუდის და თქვენ წარმოიდგინეთ, ბეწვის წინდები ეცვათ.

საზოგადოდ, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, წინდები მხოლოდ მე-19 საუკუნეში, გრძელ შარვლებთან ერთად შემოვიდა მოდაში. მას შემდეგ წინდა სტილის ნამდვილი საზომი გახდა.

კარგი კოსტიუმი და უზადო ფეხსაცმელი გარშემო მყოფთ თქვენს შეძლებაზე, ძვირფასი ჰალსტუხი და საათი-ბრენდი კი, თქვენს გემოვნებასა და მოდის მიმდევრობაზე შეუქმნის შთაბეჭდილებას...

კარგი წინდა არ უნდა „ყვიროდეს". ეს მოთხოვნა ერთი შეხედვით იოლი მოგეჩვენებათ. ბევრმა მამაკაცმა იცის, რომ არსებობს წესების მთელი წყება, რაც წინდის ტარებას გვასწავლის. ბუნებრივია, ყველა ეს წესი ოფიციალური ღონისძიებებისთვის არის გათვალისწინებული.

**პირველი** – თუ ფეხზე დგახართ, წინდებს შარვლის ტოტები სავსებით უნდა ფარავდეს. თუ ზიხართ – ყველას სამსჯავროზე ნუ გამოიტანთ თქვენს გაბანჯგვლულ წვივებს. სწორედ ამიტომ შემოვიდა ბოლო დროს მოდაში მამაკაცის გრძელი გოლფები. დაიმახსოვრეთ, წინდა ან გოლფი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნაოჭდებოდეს ან იჩაჩებოდეს!

**მეორე** – ნამდვილი ჯენტლმენი კოსტიუმზე მუქი წინდის ჩაცმას არჩევს – აუცილებელია, წინდა ფეხსაცმლისა და ჰალსტუხის ფერს ეხამებოდეს. მკაცრი, საქმიანი ერთტონიანი კოსტიუმი ასევე ერთტონიან წინდას მოითხოვს. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში არის დასაშვები – წინდაზე წვრილი ხაზები ან რესპექტაბელური მოდის სახლების ლოგოტიპები.

**მესამე** – წინდას არასოდეს იცვამენ სანდლებზე.

**მეოთხე** – წინდა აუცილებლად ნატურალური ბოჭკოსგან უნდა იყოს (სინთეტიკურები მხოლოდ სპორტული თამაშებისას გამოგადგებათ).

ბუნებრივია, წინდის მოსაქსოვი უმთავრესი მასალა ბამბაა, ამასთან, ჩვეულებრივი კი არა, მერსერიზებული. მეორე გავრცელებული მასალა – ეკოლოგიურად სუფთა ცხვრის მატყლია. ასეთი მოდელები აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას და არც კანს აღიზიანებს.

აბრეშუმის წინდები მხოლოდ და მხოლოდ სმოკინგსა და ლაკირებულ ფეხსაცმელზე უნდა ჩაიცვათ.

კარგი, ხარისხიანი წინდა არცთუ ისე იაფი ღირს. თუ შეგიძლიათ წყვილში 20-60 დოლარი გადაიხადოთ, მაშინ ძველებური (1819წ.) ცნობილი ფრანგული ბრენდის, **DORE-DORE**-ს აბრეშუმის ან ინგლისის სამეფო კარის ოფიციალური მომმარაგებლის **CHURCH'S**-ის შალის ან აბრეშუმის წინდები იყიდეთ.

ზემოჩამოთვლილს არაფრით ჩამოუვარდება **HUGO BOSS**-ის კლასიკური წინდები პირისფერ, მუქ ლურჯ ან შავ ფონზე ამოქარგული ან დაბეჭდილი ლეიბლით. დაახლოებით იმავე ფასად შეგიძლიათ შეიძინოთ **LAGERFELD**-ის, **CERRUTI**-ს, ან წინდის მრეწველობის მსოფლიო ლიდერის, კომპანია **WOLFORD**-ის მოდელები.

**P.S.** თუ ქართულ ჯარში მსახურობთ და თქვენი „დიზაინერი" ქართული ჯარის მომარაგების სამსახურია, მაშასადამე – სახაზინო წინდებს ატარებთ. მართალია, ჩვენს ჯარში უკვე აღარ არის ისეთი სიტუაცია, როდესაც ერთი წყვილი წინდა ცხრა რიგითმა გაიყო... მაგრამ გვეეჭვება რომელიმე ზემოხსენებული ლეიბლის მქონე წინდები შემოგთავაზონ. ამის მიუხედავად, გაითვალისწინეთ, რომ რამდენიც უნდა ღირდეს თქვენი წინდა და რომელი ფირმისაც უნდა იყოს – ერთი რამ მტკიცედ დაიმახსოვრეთ – წინდა მუდამ სუფთა უნდა იყოს... და აუცილებლად ყოველდღე უნდა გამოიცვალოთ! ■

# ნალდი ჯენტლმენები



**ამ ბოლო დროს კარგი მანერების დეფიციტს განვიცდით. სადღაა ე.წ. „ინგლისური კლუბებისთვის" დამახასიათებელი ჯენტლმენურობა, როდესაც მწოლიარეს აღარ ურტყამდნენ და ქალბატონის თანდასწრებით მამაკაცს აუგს არ ჰკადრებდნენ... მოკლედ, ჯენტლმენები ჩვენთან „ხოდში" არ არიან, და ალბათ ბევრმაც არ იცის, რომ ინგლისელი ჯენტლმენის მოარული სახე მხოლოდ და მხოლოდ მითია...**

სიტყვა JENTLEMAN ფრანგულიდან არის ნასესხები. ფრანგული სიტყვა GENTILHOMME ნიშნავს კეთილშობილი გვარის წარმომადგენელს. ეს სიტყვა ბრიტანეთში ვილჰემ დამპყრობელთან ერთად შევიდა, რომელმაც კუნძულები 1066 წელს დაიპყრო და ეს მიწები თავის ფეოდალებს დაურიგა. შუა საუკუნეების დაუბანელ ბარონებს, რომლებიც თავიანთ პირქუშ და მიუკარებელ ციხე-დარბაზებში ისხდნენ, საკუთარი ჯარისკაცების ეშინოდათ და ყველანაირად ცდილობდნენ მათ წახალისებას. მათ შორის ყველაზე თავზეხელაღებულებსა და ძლიერებს რაინდებად აკურთხებდნენ ხოლმე. ამ ტიტულს ამაგრებდა საგვარეულო გერბი, რომლითაც რაინდულ შეჯიბრებებში გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ. ერთხელ მინიჭებული გერბი სამუდამოდ საგვარეულო ხდებოდა და მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობებს. თავად რაინდობა კი მემკვიდრეობითი არ იყო. ინგლისის კანონის თანახმად, რაინდთა უფროსი ვაჟები, შემდეგ მათი უფროსი ვაჟები და ა.შ. ხდებოდნენ სკვაირები ან ესკვაირები, ე.ი. არატიტულოვანი, მაგრამ მაინც არისტოკრატები. დანარჩენ ვაჟებს კი, რომელთაც არაფერი გააჩნდათ გარდა საგვარეულო გერბისა, ჯენტლმენები ეწოდებოდათ. „უებსტერის" ლექსიკონის თანახმად სკვაირი არის წოდება, რომელიც რაინდზე დაბლა და ჯენტლმენზე მაღლა დგას. შორეულ წარსულში ჯენტლმენები ცალკე სოციალურ ფენას შეადგენდნენ და ხმლის ტარების უფლება ჰქონდათ.

უკვე შექსპირის პერიოდში მიიჩნეოდა, რომ წინაპრების დამსახურებები აღარ წარმოადგენდა საკმარის მოტივაციას იმისათვის, რომ პიროვნება კეთილშობილად ჩაეთვალათ. ამ პერიოდში უმაღლესი წოდების განმსაზღვრელად, პირველ რიგში, მატერიალური კატეგორია ითვლებოდა. ამ დროს უკვე შესაძლებელი იყო საგვარეულო გერბი ფულის საშუალებით მოგეპოვებინა (ითვლებოდა, რომ თანხას გერბის რეგისტრაციისათვის იხდიდნენ). მეფეები ამგვარ გერბებს ნებისმიერ ადამიანს ანიჭებდნენ. სწორედ ასე გახდა vagabond-i Seqspori ჯენტლმენი. ჯენტლმენობის მიღება მხოლოდ ვაჭარს არ შეეძლო. XVIII საუკუნის ბოლოსათვის ჯენტლმენებს უწოდებდნენ ყველა „სუფთა" გვარის წარმომადგენელს. ისინი თავს ელიტის წევრებად მიიჩნევდნენ და მხოლოდ საკუთარ წრესთან ურთიერთობდენ. აქედან გაჩნდა მოჩვენებითი თუ ნამდვილი სიამაყე და განსაკუთრებული ტრფობა დახურული კლუბებისადმი. საინტერესოა, რომ სწორედ ჯენტლმენებმა შეცვალეს ინგლისი როგორც სახელმწიფო და ღატაკი ქვეყანა მსოფლიო წარმოების ლიდერად აქციეს. შექმნეს ინგლისური ცხოვრების განსაკუთრებული სტილი, რომელიც მრავალი უცხოელისათვის მეტად თვალწარმტაცი გახდა. ჯენტლმენები დროულად მოეკიდნენ სოციალურ პრობლემებს და ამ სფეროში რეფორმატორების სახელიც დაიმკვიდრეს. პარლამენტარიზმი, სიტყვის თავისუფლება, მაღალი კლასების სოციალური პასუხისმგებლობა – ყველაფერი ეს ჭეშმარიტი ჯენტლმენის მოფიქრებულია.

უწინდელ დროში რთული საქმე არ იყო მდიდარი ღარიბისაგან გამოგერჩიათ. თავაზიანობას ჩვეული უბრალო ხალხი, ყველას, ვისაც კი მაღალი წრის წარმომადგენლის იერსახე ჰქონდა, ბატონობით მიმართავდა. დღეს, როცა ყველა იმას იცვამს, რაც მოესურვება, ჯენტლმენებს გარეგნობით უკვე ველარ ამოიცნობთ. არისტოკრატულობაზე მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული დახვეწილი მანერები და მეტყველება მიუთითებს.

საერთოდ, ინგლისელები აცხადებენ, რომ ჯენტლმენების ფენა აღარ არსებობს, თავად ეს სიტყვა კი მხოლოდ განათლებული, ზნეობრივად უმწიკვლო, დახვეწილი მანერების მქონე ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენება. წარმომავლობა აქ არანაირ როლს აღარ ასრულებს. თუმცა, ინგლისელთა თქმით, ასეთი ადამიანი უბრალოდ შეუძლებელია არ იყოს კეთილშობილი წარმომავლობის.

სიტყვა „ჯენტლმენმა" გარკვეული დევალვაცია განიცადა. დღეს მამაკაცთა ნებისმიერ ჯგუფს „ჯენტლმენებს" უწოდებენ. ეს სიტყვა ამკობს მამაკაცთა საპირფარეშოს კარსაც, თუმცა ნაჩქარევ დასკვნებს ნუ გააკეთებთ. ნუ დაუჯერებთ იმ ენთუზიასტებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ინგლისელებმა თავიანთი „შუასაუკუნეობრივი ბალასტი" შორს, წარსულში მოიტოვეს. აი, ამის დამადასტურებელი ერთი ფაქტი. ერთ-ერთმა კინორეჟისორმა, ინგლისის ჩრდილოეთით საინტერესო ნანგრევები აღმოაჩინა, რომელიც მის მიერ ჩაფიქრებული ფილმის გადასაღებად იდეალურ ადგილს წარმოადგენდა. აღმოჩნდა, რომ ამ ტერიტორიის მფლობელი ახალგაზრდა ბარონესა იყო, რომელიც ისტორიული ძეგლის აღდგენას აპირებდა. რეჟისორი ქალბატონს ტელეფონით მიზეზთა გამო ვერ დაუკავშირდა და გადაწყვიტა წერილი მიეწერა, რამაც გარკვეულ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა. საქმე ის გახლავთ, რომ წერილზე მიმართვა შემდეგნაირად უნდა გაფორმებულიყო The Ruight Honourable the Baroness (მის უდიდებულესობა ბარონესას). რეჟისორმა კი ამის შესახებ არაფერი იცოდა, არც ისე დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, კონვერტს უბრალოდ მიაწერა: „ქალბატონ ბარონესას", ხოლო თავად წერილში „მადამ"-ის ნაცვლად „ძვირფასო ბარონესა" იხმარა და მშვენიერი ქალბატონის რისხვა გამოიწვია... ამ, თითქოსდა უაზრო ოფიციალურობას ინგლისელები ვერაფრით თმობენ. ეს მთელი მეცნიერებაა, რომელიც მხოლოდ მათ ესმით, ვისაც იგი ეხება.

თუმცა დროს მაინც თავისი გააქვს. გასულ წელს ე.წ. ქვეყნის მთავარ ჯენტლმენებს, კონკრეტულად კი ექვსას ლორდს, ბრიტანეთის პარლამენტის უმაღლეს პალატაში ხმის მიცემის მემკვიდრეობით მიღებული უფლება ჩამოერთვათ. საინტერესოა, რომ ეს გადაწყვეტილება საზოგადოებამ ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე მიიღო. ისევე, როგორც თავის დროზე უინსტონ ჩერჩილს „უკანონოდ" მიანიჭეს ეს უფლება. ასე რომ, ინგლისელები მრისხანედ იცავენ ტრადიციებს, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აწყობთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბისმარკზე ნადირობა





**64 წლის წინ ინგლისელებმა ატლანტის ოკეანეში ნაცისტური გერმანიის სახაზო გემი „ბისმარკი" ჩაძირეს. მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ამერიკელმა მეცნიერებმა თანამედროვე ტექნიკის მეშვეობით ოკეანის ფსკერზე ჩაძირული ხომალდი, უფრო სწორად, მისი ნარჩენები აღმოაჩინეს.**

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ატლანტის ოკეანეში ფარულად გავიდნენ გერმანული საბრძოლო ხომალდები, მათ შორის ე. წ. „ჯიბის სახაზო გემები". ეს ის საბრძოლო ხომალდები არიან, რომლებიც 20-იან წლებში, პირველი მსოფლიო ომის დროს „კრეისერული ოპერაციების" გამოცდილების გათვალისწინებით დაპროექტდა. 1914-18 წლებში გერმანულმა საოკეანო რეიდერებმა ინგლისელთა და მოკავშირეთა ნაოსნობას დიდი ზიანი მიაყენეს.

ამ ტაქტიკამ ახლაც გაამართლა. მართალია, საბრძოლო ხომალდი „ადმირალი გრაფი შპეე" 1939 წლის დეკემბერში ბრიტანულ კრეისერებთან ბრძოლის შემდეგ სამხრეთ ამერიკის სანაპიროსთან საკუთარმა ეკიპაჟმა ააფეთქა, მაგრამ მანამდე მან 9 გემი და ხომალდი (საერთო წყალწყვით 50 ათასი ტონა) ჩაძირა. სხვა რეიდერებმა 100-ზე მეტი გემი (საერთო წყალწყვით 600 ათასი ტონა) გაანადგურეს. „სახაზო ხომალდებისა და კრეისერების წარმატებული მოქმედების შემდეგ, გერმანიის ფლოტის მეთაურობა ამ სახის საბრძოლო ოპერაციებისგან საკმაოდ ბევრს ელოდა", – წერდა გერმანელი ადმირალი რუგე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავისი გამარჯვებებისა და დამარცხებების შეფასებისას. ამიტომ გადაწყდა, 1941 წლის გაზაფხულზე აშშ-დან ინგლისში მიმავალი გემების ქარავანებზე ახალი თავდასხმების დაწყება. ამ გეგმის მიხედვით, სახაზო გემი „ბისმარკი" ქარავნების დაცვაში მყოფ მსხვილ საბრძოლო ხომალდებს დაესხმებოდა თავს, ხოლო კრეისერი „პრინცი ოიგენი" სატრანსპორტო გემებს გაანადგურებდა. საჭიროების შემთხვევაში, მათ დასახმარებლად გავიდოდნენ სახაზო ხომალდები „შარნჰორსტი" და „გნეიზენაუ", რომლებიც ფრანგულ პორტ ბრესტში იდგნენ. ოპერაციაში წყალქვეშა ნავების ჩართვაც იყო დაგეგმილი. საამისოდ „ბისმარკზე" წყალქვეშა ნავების შტაბის წარმომადგენელიც კი იყო მივლინებული.

ოპერაცია „სწავლებები რეინზე" („რეინუბურგი") საიდუმლოდ დაიგეგმა. გერმანელებმა ინგლისელთა ბაზებისა და ჩრდილოეთ ატლანტიკის დამატებითი ავიადაზვერვა ჩაატარეს, შექმნეს რამდენიმე ყალბი რადიოწერტილი, რომელთა ინტენსიური მუშაობა ინგლისელების რადიოდაზვერვას ხელს შეუშლიდა. ოპერაციას სათავეში ჩაუდგა ფლოტის მეთაური ადმირალი ლიუტიენსი, რომელმაც თავი გამოიჩინა ბრიტანულ კომუნიკაციებზე „შარნჰორსტისა" და „გნეიზენაუს" თავდასხმების დროს. ახლა მის განკარგულებაში იყო „ბისმარკი" – იმ დროისათვის მსოფლიოში თავისი კლასის უძლიერესი ხომალდი. სიდიდით „ბისმარკი" მხოლოდ მოძველებულ ინგლისურ სახაზო კრეისერ „ჰუდს" თუ ჩამოუვარდებოდა.

ოპერაციის დაწყების წინ ლიუტიენსს ერთ-ერთი თავისი მეგობრისთვის უთქვამს: „მხოლოდ იმას ვშიშობ, ინგლისურმა ტორპედომზიდებმა სახაზო გემის ან კრეისერის კიჩოში (უკანა ნაწილში) განლაგებული მართვის მექანიზმები არ დააზიანონ".

...როდესაც ამ ოპერაციის მსვლელობას ეცნობი, ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, თითქოს ერთ-ერთი დაპირისპირებული მხარე ყველანაირად ცდილობდა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩენილიყო, მაშინ, როცა მეორე ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე ხელიდან გაეშვა.

1941 წლის 18 მაისს „ბისმარკმა" და „პრინც ოიგენმა" გოტენჰაფენი დატოვეს და ბალტიის ყურისკენ გაემართნენ. იქ ორ გერმანულ ხომალდს ნეიტრალური შვედეთის კრეისერი „გოტლანდი" შეხვდა. შეხვედრა გერმანელებისთვის არცთუ სასიამოვნო გამოდგა – „გოტლანდის" მეთაურმა გერმანული შენაერთის შესახებ შტაბს აცნობა, იქიდან შეტყობინება საზღვაო დაზვერვის თანამშრომელს გადასცეს, მან კი საღამოს, არაოფიციალური შეხვედრისას, ინფორმაცია ინგლისის სამხედრო-საზღვაო ატაშეს, დანჰემს გაუზიარა, რომელმაც საუბრის შინაარსი ლონდონს გადასცა გრიფით – „ძალზე სასწრაფო".

21 მაისს ლიუტიენსის შენაერთი კორსფიორდში ჩავიდა. „პრინც ოიგენმა" საწვავის მარაგი შეივსო. იმავე დღეს ხომალდები ატლანტის ოკეანეში გავიდნენ, მეორე დღეს კი კორს-ფიორდს ინგლისის სადაზვერვო თვითმფრინავმა გადაუფრინა. პილოტის შეტყობინების მიღებისთანავე, ბრიტანეთის ფლოტის სარდლობა მიხვდა, რომ გერმანელები ოკეანეში გავიდნენ. ფლოტის სარდალმა, ადმირალმა ტოვიმ დაუყოვნებლივ უბრძანა კონტრადმირალ უეიკ-უოლკერის კრეისერებს („სუფოლკი" და „ნორფოლკი"), გაეძლიერებინათ თვალთვალი. ორი კრეისერი დანიის სრუტეში – გრენლანდიასა და ისლანდიას შორის პატრულირებდა. ოდნავ სამხრეთით ბრიტანელებმა მსუბუქი კრეისერები განალაგეს. სკაფა-ფლოუს ბაზიდან ვიცე-ადმირალ ჰოლანდის შენაერთი გამოვიდა. ჰოლანდი სახაზო კრეისერ „ჰუდზე" იმყოფებოდა. მას უკან მიჰყვებოდა ახალი სახაზო ხომალდი „პრინცი უელსელი" და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექვსი საესკადრო ნაღმოსანი. ჰოლანდს სამხრეთით დანიის სრუტიდან გასასვლელი უნდა ჩაეკეტა. ადმირალ ტოვის ძირითადი ძალები — სახაზო გემი „მეფე გეორგ V“, ავიამზიდი „ვიქტორიესი“, ოთხი კრეისერი და შვიდი საესკადრო ნაღმოსანი ისლანდიის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროსკენ გაემართნენ. მოგვიანებით მათ კიდევ ერთი სახაზო ხომალდი დაუმატეს. ინგლისელთა ხაფანგი დაგებული იყო.

გერმანელმა რადიომზვერავებმა 21 მაისის დილით ინგლისის ფლოტის სარდლობის ბრძანება გაშიფრეს, რომლის მიხედვით ინგლისის ხომალდებს დავალებული ჰქონდათ 2 გერმანული საბრძოლო გემის მოძებნა.

23 მაისს, 19სთ-სა 22 წთ-ზე „სუფოლკმა“ 7 მილის დაშორებით „ბისმარკი“ და „პრინცი ოიგენი“ შენიშნა. ინგლისელები ნისლს შეეფარნენ და მოწინააღმდეგეს რადიოლოკატორით უთვალთვალებდნენ. „სუფოლკი“ ტოვისა და ჰოლანდს გერმანელების კურსის, სიჩქარისა და მდებარეობის შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. მოგვიანებით გერმანელებს „ნორფოლკი“ მიუახლოვდა, მაგრამ „ბისმარკმა“ ცეცხლი გაუხსნა და კრეისერი მიიმალა, თუმცა ტოვის კიდევ ერთი უახლესი ინფორმაცია გადასცა. გასაკვირია, მაგრამ იგი პირველი აღმოჩნდა! „სუფოლკის“ ინფორმაცია საფლაგმანო ხომალდს არ მიუღია.

ახლა კრეისერები გერმანელებს უკან მიჰყვებოდნენ, თუმცა საკმაო დისტანციას იცავდნენ. ჰოლანდის ხომალდები ამ დროს დასავლეთისკენ მაქსიმალური სიჩქარით მიემართებოდნენ.

ის, რომ ინგლისელები გერმანულ ესკადრას კუდზე ასხდნენ, „პრინც ოიგენის“ მეთაურმა ბრინკმანმა საღამოს შეიტყო, როდესაც გერმანული რადიოდაზვერვის მონაცემები მიიღო. გერმანელები მიმალვას ვერ ახერხებდნენ. ისინი ხვდებოდნენ, რომ ინგლისელებს ჰქონდათ ისეთი მოწყობილობები, რომელთათვის ვერც ნისლი და ვერც სიბნელე ხელის შემშლელი ვერ იქნებოდა. მაშ, რატომ არ შეწყვიტა ლიუტიენსმა ოპერაცია და კორს-ფიორდში რატომ არ დაბრუნდა?

მისი წინამორბედი ადმირალი მარშალი იხსენებდა, თუ რა თქვა ლიუტიენსმა ზღვაში გასვლის წინ: „ფლოტის ორმა სარდალმა უკვე დატოვა თანამდებობა უმაღლეს სარდლობასთან აზრთა სხვადასხვაობის გამო. მე არ მსურს ვიყო მესამე! ზუსტად ვიცი, რა სურს ოპერატიული სარდლობის შტაბს და მის ბრძანებებს შევასრულებ“. მარშალის თქმით, წინასწარ შემუშავებული ოპერატიული გეგმების შეუსრულებლობის ნიადაგზე წარმოქმნილი უთანხმოების გათვალისწინებით, ადმირალი ლიუტიენსი იძულებული იყო, ბრძანება ნებისმიერი გზით შეესრულებინა.

24 მაისის შუაღამისას „სუფოლკმა“ გერმანელებთან რადიოლოკაციური კონტაქტი დაკარგა. ამ ინფორმაციის მიღებისთანავე ჰოლანდმა დაასკვნა, რომ „ბისმარკი“ უეიკ-უოლკერს მოსწყდა და უკან გაბრუნდა. ჰოლანდმა ჩრდილოეთით მოუხვია და გერმანელებს გაეკიდა. ბრძოლის გეგმა მან უკვე შეადგინა — „ჰუდი“ და „პრინცი უელსელი“ ცეცხლს კოორდინირებულად გაუხსნიდნენ „ბისმარკს“, კრეისერები კი — „პრინც ოიგენს“. თუმცა ჰოლანდმა ამის შესახებ უეიკ-უოლკერის კრეისერებს რატომღაც არ აცნობა. რადიოდუმილს ინარჩუნებდა? ვინ იცის...

ექსპერტების აზრით, ინგლისელ ადმირალს სროლა 6 მილის დისტანციიდან უნდა დაეწყო. მაშინ გერმანული ჭურვები დაბალი ტრაექტორიის გამო „ჰუდის“ დაჯავშნულ ფერდებს მოხვდებოდა, უფრო შორი დისტანციიდან მაღალი ტრაექტორიით გამოშვებული ჭურვები კი ამ ძველი ხომალდის ცუდად დაცულ გემბანს. მის ქვეშ კი ჭურვებისა და საბრძოლო მასალების საცავი იყო.

2 სთ-სა და 47 წუთზე „სუფოლკმა“ რადიოლოკატორით კვლავ აღმოაჩინა გერმანელები, რომლებიც ისევ სამხრეთ-დასავლეთისკენ მიდიოდნენ. ჰოლანდი ისევ შემოტრიალდა, მაქსიმალური სიჩქარე — 28 კვანძი განავითარა და ნაღმოსნებთან კავშირი დაკარგა. ისინი 30 მილით, ჩრდილოეთით ჩამორჩნენ და უეიკ-უოლკერის კრეისერების მსგავსად ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

5 სთ-სა და 30 წთ-ზე „ჰუდიდან“ გერმანული შენაერთი შენიშნეს და „პრინც უელსელს“ ბრძანება გადასცეს — ესროლა პირველი ხომალდისთვის, რომელიც „ბისმარკი“ ეგონათ. სინამდვილეში, სახაზო ხომალდი „პრინც ოიგენს“ მიჰყვებოდა უკან. 17 წუთში ინგლისელებმა საშიში დისტანციიდან (12 მილი) წინა ქვემეხებიდან ცეცხლი გახსნეს. ამ დროს ორივე გერმანული ხომალდი „ჰუდს“ ესროდა. მისი პირველი ზალპი კი „პრინც ოიგენს“ დიდი მანძილით ასცდა. გერმანულ სახაზო გემს „პრინც უელსელის“ მხოლოდ მეექვსე ზალპი მოხვდა. „ბისმარკის“ მეორე ზალპის შემდეგ კი „ჰუდზე“ ხანძარი გაჩნდა. დილის 6 საათზე, როდესაც მოწინააღმდეგეებს შორის მანძილი 7 მილით შემცირდა, ინგლისელებმა მარცხნივ გაუხვიეს, რათა კიჩოს ქვემეხებიც აემოქმედებინათ. სწორედ ამ დროს „ბისმარკის“ 380 მმ-იანი ჭურვები ინგლისის სახაზო კრეისერის გემბანს მოხვდა გამონაბოლქვის მეორე მილ-

ინგლისური სახაზო კრეისერი „ჰუდი“. მწყობრში ჩადგა 1920 წელს, მოდერნიზებულია 1930 წელს. 46200 ტონა, 32 კვანძი, რვა 381 მმ-იანი კალიბრის ქვემეხი, თორმეტი 140 მმ-იანი, ორი 120 მმ-იანი, ოთხი 102 მმ-იანი ზარბაზანი, ორი 40 მმ-იანი საზენიტო დანადგარი, 19 ტყვიამფრქვევი, ექვსი ტორპედოს აპარატი; ძრავის სიმძლავრე 157 ათასი ცხენის ძალა. ჯავშანი: ფერდი — 305 მმ, გემბანი — 95 მმ, ქვემეხები — 381 მმ. სიგრძე —262,3 მეტრი, სიგანე — 33.1 მ, წყალშიგი — 9,1 მ. ეკიპაჟი — 1314 კაცი.



გერმანული სახაზო გემი „ბისმარკი“. მწყობრში ჩადგა 1940 წლის აგვისტოში. 41700 ტონა, 30,8 კვანძი. რვა 380 მმ-იანი კალიბრის ქვემეხი, თორმეტი 150 მმ-იანი ზარბაზანი, ექვსი 105 მმ-იანი, ათი 37 მმ-იანი საზენიტო დანადგარი, თექვსმეტი 20-მმ-იანი ავტომატი, 6 თვითმფრინავი. ჯავშანი: ფერდი — 320 მმ, გემბანი — 170 მმ. ქვემეხები — 360 მმ, ძრავის სიმძლავრე 160 ათასი ცხენის ძალა. სიგრძე — 251 მ, სიგანე — 36 მ, წყალშიგი — 8,7 მ, ეკიპაჟი (საშტატო) 2300 კაცი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სა და გროტ-ანძას შორის. „ჰუდი“ აფეთქდა, მისი კორპუსი ორად გადატყდა და 4 წუთში ჩაიძირა. 1419 მეზღვაურიდან ბრიტანულმა საესკადრო ნაღმოსნებმა მხოლოდ 3 გადაარჩინეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ „ბისმარკის“ ჭურვები „ჰუდის“ საზენიტო ჭურვების საცავში აფეთქდა, რასაც შემდგომ კრეისერის მთელი საბრძოლო მასალების დეტონაცია მოჰყვა.

ამის შემდეგ „ბისმარკმა“ ცეცხლი „პრინც უელსელზე“ გადაიტანა. ძალზე მალე მას ოთხი 380 მმ-იანი და სამი 203 მმ-იანი ჭურვი მოხვდა. მწყობრიდან გამოვიდა ოთხქვემეხიანი მთავარი კალიბრის დანადგარი. 6 სთ-სა და 13 წთ-ზე ხომალდის კაპიტანმა ლიჩმა გადაწყვიტა ბრძოლის ველი დაეტოვებინა.

„ბისმარკს“ ორი ჭურვი მოხვდა. ერთი ცხვირში — ჯავშნის საფარის ქვემოთ — შეიქმნა დიფერენტი და სახაზო ხომალდის სიჩქარე 26 კვანძამდე შემცირდა. მეორემ მაზუთის ცისტერნა დააზიანა — ხომალდმა საწვავის ნაწილი დაკარგა. 7 სთ-სა და 27 წთ-ზე ლიუტიენსი შტაბს დაუკავშირდა, საიდანაც უბრძანეს, რომ „პრინცი ოიგენი“ ოკეანეში გაეშვა, ხოლო თვითონ საფრანგეთის ერთ-ერთ პორტში წასულიყო.

„ჰუდის“ დაღუპვის შემდეგ ბრიტანეთის ფლოტის სარდლობამ დასახმარებლად სახაზო ხომალდი „როდნეი“, ავიამზიდი „არკროიალი“ და კრეისერი „შეფილდი“ გამოიძახა. კიდევ ერთი სახაზო გემი და ოთხი საესკადრო ნაღმოსანი ქარავნების დაცვას მოხსნეს, მესამე ოკეანეში ჰალიფაქსიდან გააგზავნეს.

ლიუტიენსმა კი 18 საათზე უეცრად უეიკ-უოლკერის კრეისერებისკენ გაუხვია. ამ მანევრის შედეგად „პრინცი ოიგენი“ ბრიტანელებს უვნებლად გაექცა. თუმცა ბრიტანელებს გერმანული კრეისერი ნაკლებად აინტერესებდათ — მათი მთავარი სამიზნე „ბისმარკი“ იყო.

23 სთ-ზე ცხრა თვითმფრინავმა-ტორპედომზიდმა „სვორდფიშმა“ და ექვსმა ავიაგამანადგურებელმა „ფულმარმა“ „ბისმარკი“ აღმოაჩინეს და ერთი ტორპედო მოარტყეს. ის ძლიერ ჯავშანთან აფეთქდა და ხომალდი დიდად ვერ დააზიანა. სამაგიეროდ, გერმანელმა მეზენიტეებმა ორი „ფულმარი“ ჩამოაგდეს.

25 მაისს, დაახლოებით 3 სთ-ზე, „ნორფოლკმა“ და „სუფოლკმა“ სახაზო ხომალდთან კავშირი დაკარგეს და ბოლო რადიოლოკაციური კონტაქტის შემდეგ მის მოსაძებნად დასავლეთით გაემართნენ. „ბისმარკს“ ტოვის შენაერთიც მისდევდა, სახაზო ხომალდმა კი ამ შენაერთების კიჩოს მიღმა, 100 მილის დაშორებით გაიარა და სამხრეთ-დასავლეთით გაემართა.

მაშ, რატომ ეძებდნენ ინგლისელები მოწინააღმდეგეს საპირისპირო მიმართულებით? თურმე ბრიტანეთის ფლოტის სარდლობამ გერმანული ხომალდის რადიოგრამა დააფიქსირა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ტოვის აზრით „ბისმარკი“ ჩრდილო-აღმოსავლეთის კურსით მიდიოდა. ამიტომ სარდალმა კურსი შეცვალა და მისი შენაერთი ისლანდიის სანაპიროსკენ დიდი სიჩქარით გაემართა.

რა იღონა ლიუტიენსმა? ალბათ, იფიქრა, მაინც კუდში მომდევენო და რადიოდუმილი დაარღვია. 8 სთ-სა და 52 წუთზე „ბისმარკი“ ეთერში გავიდა და თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში გერმანულ სარდლობას ინფორმაციას გადასცემდა. ბრიტანელებმა ეს შეტყობინება დააფიქსირეს და „ბისმარკის“ კოორდინატებიც დაადგინეს. თუმცა ტოვის კოორდინატები შეცდომით გადასცეს. სხვაობა 200 კილომეტრი იყო. სწორედ ამიტომ გაემართა ტოვის შენაერთი ჩრდილოეთით.

იმავე დღეს მეორე შეცდომაც დაუშვეს, ოღონდ, ამჯერად, ინგლისელების სასარგებლოდ. 13 სთ-სა და 20 წთ-ზე ინგლისელებმა ატლანტის ოკეანიდან გამოგზავნილი გერმანელების რადიოგრამა დააფიქსირეს (რადიოგრამა გერმანულმა წყალქვეშა ნავმა გადასცა). ინგლისელებმა ტექსტი ვერ გაშიფრეს, მაგრამ იფიქრეს, რადიოგრამას „ბისმარკი“ გადასცემს, რომელიც საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროსკენ მიდისო. ცოტა ხანში კიდევ რამდენიმე რადიოკავშირი დაფიქსირდა, რამაც ინგლისელები თავიანთი მოსაზრების სისწორეში დაარწმუნა. მხოლოდ ახლა უბრძანეს ბრიტანელებმა ყველა შენაერთს სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით გადევნებოდნენ „ბისმარკს“, რომელმაც ინგლისურ შენაერთებს 160 მილით გაასწრო.

„ჰუდის“ ჩაძირვის შემდეგ ლიუტიენსს

**„ბისმარკი“ წყალზე ჩაშვების წინ და სახაზო გემის ეკიპაჟი მისი ჩაძირვის შემდეგ...**





ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი არჩევანი ჰქონდა — ან ნორვეგიის პორტ ტრონჰეიმში დაბრუნებულიყო, სადამდე მანძილი 1400 მილს შეადგენდა, ან ბერგენში (1150 მილი), ანდა ფრანგულ ბრესტში წასულიყო. საფრანგეთის სანაპირომდე 1700 მილი იყო. ლიუტიენსის აზრით, ნორვეგიამდე მარშრუტი ბრიტანულ ბაზებთან ძალზე ახლოს გადიოდა, ამასთან, იქ „ბისმარკს“ სახაზო გემი „პრინცი უელსელი“ ელოდებოდა. ის, რომ ბრიტანელების ხომალდი ძალზე დაზიანებული იყო, ლიუტიენსმა არ იცოდა. და კიდევ, ლიუტიენსს იმედი ჰქონდა, „შარნჰორსტი“ და „გნეიზენაუ“ მის დასახმარებლად წამოვიდოდნენ და ფრანგულ პორტში მისვლაში დაეხმარებოდნენ.

გერმანული სახაზო ხომალდი მხოლოდ მომდევნო დღეს, 10 სთ-სა და 20 წთ-ზე ინგლისური ჰიდროთვითმფრინავ „კატალინადან“ დააფიქსირეს. „ბისმარკი“ საფრანგეთის სანაპიროდან 690 მილში იმყოფებოდა. ბრიტანეთის ფლოტის სარდლობა მიხვდა, რომ ხომალდის დაწევა ძალზე გაძნელდებოდა. ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა — სიჩქარის დაგდება, ეს კი მხოლოდ „არკ-როიალის“ თვითმფრინავებს შეეძლოთ.

ამჯერად თავი „შეფილდმა“ გამოიჩინა — მოწინააღმდეგე რადარით აღმოაჩინა და ავიაციას კოორდინატები მიუთითა. ცუდი ამინდის მიუხედავად, 15-მა ტორპედომზიდმა ხომალდს სხვადასხვა მხრიდან შეუტია. გასაკვირი იყო, მაგრამ გემის საზენიტო არტილერია დუმდა, ხოლო ხომალდი ტორპედოების ასაცილებლად უცნაურად მანევრირებდა. ავიამზიდზე დაბრუნების შემდეგ მფრინავებმა შეიტყვეს, რომ საკუთარი კრეისერი „შეფილდი“ დაუბომბავთ.

დაახლოებით 21 სთ-ზე „სფორდფიშების“ მეორე ჯგუფმა „ბისმარკი“ აღმოაჩინა და 2 ტორპედო გაარტყა. ერთი ჯავშანთან აფეთქდა, ხოლო მეორემ კიჩოში მართვის მექანიზმები დააზიანა. ტორპედოების აცილებისას ხომალდის საჭე მოხვევის რეჟიმში იყო და ამავე მდგომარეობაში გაიჭედა. მოგვიანებით სპეციალისტები გამოითვლიან, რომ ზუსტად ამ დროსა და ამ ადგილას ტორპედოს მოხვედრის შანსი ერთ მესიათასედს შეადგენს. სახაზო ხომალდმა ცირკულაციით დაიწყო მოძრაობა, ხოლო შემდეგ სავსებით გაჩერდა. ლიუტიენსმა თითქოს თავისი ბედი წინასწარვე გათვალა.

ომის დამთავრების შემდეგ ადმირალი მარშალი იხსენებდა: „სწორედ ამ დროს ინგლისის ფლოტის სარდალმა „ბისმარკის“ დევნის შეწყვეტა გადაწყვიტა, რადგან მათ ხომალდებს საწვავი უთავდებოდათ, ხოლო ბრძოლა გერმანული ავიაციის მოქმედების რაიონს უახლოვდებოდა. მიუხედავად ამისა, ტორპედოს იღბლიანი აფეთქების შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. დაყ-


ადმირალი ლიუტიენსი

ოვნება აღარ შეიძლებოდა და ინგლისის ადმირალმა ბრძოლა გააგრძელა.

27 მაისს, 1 სთ-სა და 20 წთ-ზე, მინიმალური სიჩქარით მიმავალი „ბისმარკი“ პოლონეთის საესკადრო ნაღმოსანმა „პიორუნმა“ აღმოაჩინა. თითქმის ერთი საათის განმავლობაში ესროდა 120-მილიმეტრიანი ქვემეხებიდან 1000-ტონიანი გემი 40-ათასტონიან ხომალდს. „ბისმარკი“ დიდად ვერ დააზიანეს, მაგრამ „პიორუნმა“ სხვა ნაღმოსნები გამოიძახა. მათ ერთ-ნახევარი მილის დისტანციიდან ტორპედოები გამოუშვეს. ორი მიზანს მოხვდა. სახაზო გემი ისევ გაჩერდა. საფრანგეთამდე მხოლოდ 400 მილი რჩებოდა.

8 სთ-სა და 47 წუთზე „ბისმარკს“ სახაზო ხომალდები — „როდნეი და „მეფე გეორგ V“ მიუახლოვდნენ. ორივემ საპირისპირო კურსი დაიკავა და 12 მილის დისტანციიდან ცეცხლი გახსნა. მოგვიანებით „როდნეიმ“ ტორპედოების ზალპიც დაიწყო. ორ წუთში საპასუხო ცეცხლი „ბისმარკმაც“ დაუშინა. ამ დროს გერმანული წყალქვეშა ნავი U-556 ზუსტად ბრიტანულ სახაზო გემსა და ავიამზიდს შორის აღმოჩნდა. მას შეეძლო ცხვირისა და კიჩოს ტორპედოს აპარატებიდან ერთდროულად ცეცხლის გახსნა. „ხომალდები ესკორტის გარეშე მიდიან და კურსს არ იცვლიან! — ჩაწერა ჟურნალში წყალქვეშა ნავის მეთაურმა, — შეტევისთვის იდეალური პოზიციაა. გერმანელების საუბედუროდ, U-556 საბრძოლო დავალებიდან ბრუნდებოდა და მას ყველა ტორპედო გახარჯული ჰქონდა, — „ვხედავ ტრასირებული ჭურვებით სროლას და „ბისმარკის“ საპასუხო ცეცხლს“.

10 საათზე, ჭურვების მარაგის ამოწურვის შემდეგ, „ბისმარკმა“ ძირითადი კალიბრით სროლა შეწყვიტა, მალე საშუალო კალიბრიც გაჩერდა. ადმირალ ტოვის ხომალდებზე საწვავი თავდებოდა, „ბისმარკი“ კი სვლას აგრძელებდა. ამიტომ ტოვიმ კრეისერ „დორსეტშირის“ მეთაურს „ბისმარკის“ სრული განადგურება უბრძანა.

„დორსეტშირი“ გერმანულ ხომალდს მიუახლოვდა. „ის ერთიანად ალში იყო გახვეული, — იხსენებდა ბოლო შეტაკების მონაწილე, — ზოგიერთი ქვემეხის ლულა უაზროდ იყო ცას დამიზნებული. ხომალდის კორპუსში უამრავი ნახვრეტი ჩანდა, რომლებშიც ალი მძვინვარებდა. მარცხენა ფერდი ალისგან გაწითლებულიყო და როცა მას ტალღები ხვდებოდა, ორთქლი ცისკენ სვეტად ადიოდა“.

თითქოს სწავლებაზე იყო, კრეისერმა მშვიდად გაისროლა ორი ტორპედო „ბისმარკის“ მარჯვენა ფერდის მიმართულებით, შემდეგ მოუარა და კიდევ ერთი ტორპედო აჯახა მარცხენა ფერდში. ამ დროს გერმანელებმა განწირული ხომალდის კინგსტონები გახსნეს და „ბისმარკმა“ ჩაძირვა დაიწყო. ადმირალმა ლიუტიენსმა მეზღვაურებს განადგურებული გემის დატოვება უბრძანა. ლიუტიენსმა და სახაზო ხომალდის კაპიტანმა ლინდემანმა კი „ბისმარკთან“ ერთად ჩაძირვა გადაწყვიტეს.

10 სთ-სა და 36 წთ-ზე ცეცხლმოკიდებული „ბისმარკი“ ამოტრიალდა და ჩაიძირა. „დორსეტშირმა“ და ნაღმოსანმა „მაორიმ“ 110 გერმანელი მეზღვაური გადაარჩინეს, კიდევ სამი — გერმანულმა წყალქვეშა ნავებმა იპოვეს. კორს-ფიორდიდან გასვლისას „ბისმარკზე“ 2403 მეზღვაური და ოფიცერი იმყოფებოდა.

ოპერაციის დასრულების შემდეგ ინგლისელებმა დაადგინეს, რომ ერთი გერმანული სახაზო გემის გასანადგურებლად მათ სხვადასხვა კლასის 48 საბრძოლო ხომალდი და 100-მდე თვითმფრინავი გამოუყენებიათ.

გერმანელებმა „ბისმარკის“ დაღუპვის გარემოებანი ორჯერ გამოიძიეს. მათ შეისწავლეს „პრინც ოიგენის“ ჟურნალი, მისი ეკიპაჟის ჩვენებები, ლიუტიენსის მიერ გაგზავნილი რადიოგრამები, ინგლისელების მოლაპარაკებების ტექსტები, რომლებიც რადიოდაზვერვამ დააფიქსირა. კომისიის დასკვნით, ოპერაციის მარცხი საიდუმლოობის რეჟიმის დარღვევამ განაპირობა.

დასკვნაში ასევე მითითებულია, რომ მოწინააღმდეგის აგენტებს შეეძლოთ იმ საიდუმლო სატელეფონო ხაზებთან დაკავშირება, რომლებითაც გერმანიის ფლოტის შტაბებს შორის კავშირი მყარდებოდა. ომის დასრულების შემდეგ გაირკვა, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა. „შტაბისთვის მიწოდებული „ბისმარკის“ არც ერთი რადიოგრამა გაშიფრული არ ყოფილა, — ამბობდა ბრიტანეთის საზღვაო დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი მაკლაჰენი, — ისევე როგორც არაფერია ცნობილი „ბისმარკისთვის“ შტაბიდან გაგზავნილი ბრძანებების შესახებ“.

უბრალოდ „ბისმარკმა“ საკუთარი თავი გრძელი რადიოგრამით გასცა.

*მოამზადა*
*მიხეილ ვარძელაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა



სარაკეტო კრეისერი „მოსკვა“

# რუსეთის შავი ზღვის ფლოტი

შავ ზღვაში საბატონოდ რუსეთ-თურქეთის ხანგრძლივი დაპირისპირება 1783 წელს უმნიშვნელოვანესი მოვლენით აღინიშნა – რუსეთმა ყირიმის ნახევარკუნძული საბოლოოდ შეიერთა. იმავე წლის 2 მაისს ყირიმის სამხრეთით, ახტიარის უბეში აზოვის ფლოტილიის 11 ხომალდი შევიდა და მომავალი შავი ზღვის ფლოტის ბირთვი შექმნა.

რუსეთმა შავი ზღვის ფლოტის სახით მოქნილი და ეფექტური საზღვაო ძალა მიიღო, რომელმაც თურქეთთან ომებში გადამწყვეტი როლი არაერთხელ ითამაშა. თუმცა გამარჯვებებთან ერთად დამარცხებებიც იყო. ტრადიციულად, რუსული ისტორიოგრაფია საკუთარ გამარჯვებებზე ბევრს წერდა და ხოტბას არ იშურებდა, წარუმატებლობებზე კი დუმილს ამჯობინებდა.

ძველთაგანვე სამხედრო ხომალდზე დროშის დაშვება და ტყვედ ჩაბარება სამარცხვინო, ლაჩრულ საქციელად მიაჩნიათ. შავი ზღვის ფლოტს ასეთი სამარცხვინო ლაქა ფრეგატმა „რაფაელმა“ დააჩნია, როცა 1829 წლის 11 მაისს ანატოლიის სანაპიროსთან კრეისერობისას გაურკვეველ ვითარებაში თურქულ ესკადრას ჩაბარდა. ომის შემდეგ ეკიპაჟი რუსეთში დაბრუნდა. ყველა ოფიცერი, ერთი მიჩმანის გარდა, გაასამართლეს და მატროსებად ჩამოაქვეითეს. ნიკოლოზ I-ის ბრძანებით ფრეგატი დაბრუნებისთანავე უნდა დაეწვათ, ხოლო ყოფილ მეთაურ სტროინიკოვს ცოლის მოყვანა აეკრძალა, რათა „რუსეთს მშიშარა და გამყიდველის მემკვიდრე არ ჰყოლოდა“. რუსმა მეზღვაურებმა ბრძანება სინოპის ბრძოლაში აღასრულეს, სადაც დამწვარ თურქულ ხომალდებს შორის „ფაზლიალაჰი“, ყოფილი „რაფაელიც“ აღმოჩნდა.

საზღვაო სამსახურის მძიმე პირობები შავი ზღვის ფლოტში მატროსთა არაერთი ამბოხის მიზეზი გახდა. ამბოხებების მოთავედ 1905 წლის 14 ივნისს ჯავშნოსან „პოტიომკინის“ ეკიპაჟი იქცა. ჯავშნოსანი რამდენიმე დღის განმავლობაში მიმოდიოდა რუსეთის პორტებსა და რუმინულ კონსტანცაs შორის, მაგრამ სხვა ხომალდები ვერ აიყოლია. 25 ივნისს „პოტიომკინი“ რუმინეთის ხელისუფლებას ჩაბარდა, ხოლო ეკიპაჟი ნაპირზე გადავიდა. საბჭოთა პერიოდში, გასული საუკუნის 30-იან წლებში, „პოტიომკინზე“ გადაღებული კინოფილმი კინოხელოვნების შედევრად აღიარეს. იმავე წლის 26 ნოემბერს სევასტოპოლში კრეისერ „ოჩაკოვზე“ წითელი დროშა აღიმართა. ორი დღის შემდეგ კრეისერზე ლეიტენანტი შმიდტი გამოჩნდა, თავი შავი ზღვის ფლოტის სარდლად გამოაცხადა და სხვა ხომალდებსაც ამბოხებისაკენ მოუწოდა, მაგრამ უშედეგოდ. გამოსვლა 29 ნოემბერს დასრულდა. შმიდტი გაასამართლეს და დახვრიტეს. სიკვდილის შემდეგ ის თავისუფლებისა და კომუნისტური იდეებისათვის მებრძოლად აღიარეს, თუმცა ლეიტენანტს სავსებით საპირისპირო შეხედულებები ჰქონდა.

I მსოფლიო ომს შავიზღვისპირა ქვეყნები შეზღუდული სამხედრო-საზღვაო ფლოტებით შეხვდნენ და ზღვაზე ომმა დიდი ბატალიების გარეშე ჩაიარა. სამწლიან ომში ფლოტს გამოაკლდა: 1 სახაზო ხომალდი (დივერსიის მიზეზით), 1 საკანონირო ნავი, 5 საესკადრო ნაღმოსანი, 1 წყალქვეშა ნავი, 1 ნაღმგადამღობი, 4 მტრალავი, 2 ჰოსპიტალური გემი. ხომალდების საერთო ტონაჟი 40574 ტონას შეადგენდა.

ბევრად მეტი დანაკარგი 1917 წლის სახელმწიფო გადატრიალებამ და შემდგომში სამოქალაქო ომმა მოიტანა. გერმანელებს რომ ხელში არ ჩაეგდოთ, ლენინის ბრძანებით 1918 წლის 18 ივნისს, ნოვოროსიისკთან, 1 სახაზო ხომალდი და 9 ნაღმოსანი ჩაიძირა. ხომალდების მეორე ნაწილი ბოლშევიკების წინააღმდეგ მებრძოლ მოხალისეთა ფლოტის განკარგულებაში გადავიდა.

1920 წლის ნოემბერს, ვრანგელის დამარცხების შემდეგ, 120 ხომალდითა და გემით მოხალისეებმა ყირიმიდან 150 ათასი კაცი საფრანგეთის ტუნისის პორტ ბიზერტაში გადაიყვანეს. ამ ოპერაციამ შავი ზღვის ფლოტს 1 სახაზო ხომალდი, 2 კრეისერი, 10 საესკადრო ნაღმოსანი, 4 წყალქვეშა ნავი და 15 სხვა საბრძოლო ერთეული გამოაკლო.

სამოქალაქო ომის დასრულებისას შავ ზღვაში საბჭოთა საზღვაო ძალებს 2 საესკადრო ნაღმოსანი, 2 წყალქვეშა ნავი, 3 საკანონერო ნავი, 14 მტრალავი და რამდენიმე პატარა მცურავი საშუალება ჰქონდა.

1935 წლის იანვრიდან შავი ზღვის საზღვაო ძალებს შავი ზღვის ფლოტი ეწოდა. 1936 წელს, პოლიტბიუროში განხილვის შედეგად მიღებული ე. წ. გემთსაშენი პროგრამა შავი ზღვისათვის ორი ტიპის 8 სახაზო ხომალდის, 4 მსუბუქი კრეისერის, 4 ლიდერის, 28 საესკადრო ნაღმოსნისა და 54 წყალქვეშა ნავის აგებას ითვალისწინებდა. გემთსაშენი საწარმოების არასაკმარისი სიმძლავრეები და უსახსრობა პროგრამის შესრულებას თავიდანვე სათუოს ხდიდა, მაგრამ მაშინდელი რეჟიმის პირობებში ამის თქმას საჯაროდ ვერავინ ბედავდა.

მეორე მსოფლიო ომს ფლოტი 1 ძველი სახაზო ხომალდით, 5 კრეისერით (მათ შორის 3 ძველი იყო), 3 ლიდერით, 14 საესკადრო ნაღმოსნით (მათ შორის 7 ძველი იყო), 44 წყალქვეშა ნავით, 15 მტრალავით, 100-ზე მეტი სხვადასხვა კატარღითა და სხვა მცურავი საშუალებებით შეხვდა. ომმა 1944 წლის 9 სექტემბრამდე გასტანა და საბჭოთა ფლოტმა დიდი დანაკლისი განიცადა. გერმანია-რუმინეთი-იტალიის ძალებმა 2 კრეისერი, 3 ლიდერი, 10 საესკადრო ნაღმოსანი, 29 წყალქვეშა ნავი, რამდენიმე ათეული სხვა მცურავი საშუალება ჩაძირეს.

მოწინააღმდეგის დარტყმებს ფლოტი, ძირითადად, წყალქვეშა ნავების რეიდებით პასუხობდა. საბჭოთა წყალქვეშა ნავების მეთაურების საბრძოლო ჟინი იმდენად დიდი იყო, რომ ნეიტრალური თურქეთის გემების ჩაძირვასაც არ ერიდებოდნენ. შავ ზღვაში 1941-44 წლებში ჩაძირული 44 გემიდან 17 თურქეთის დროშით დაცურავდა.

წყალქვეშა ომი დაუნდობელია და რამდენიმე შეტევას მრავალრიცხოვანი

მსხვერპლიც მოჰყვა. სტამბოლის მახლობლად, 1942 წლის 24 თებერვალს, ტორპედირებულ ბულგარულ „სტრუმაზე" მყოფი 770 ებრაელი ლტოლვილიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. 1944 წლის 5 აგვისტოს კონსტანციდან პალესტინისაკენ მიმავალი თურქული „მეფკურე" საბჭოთა Щ-215-მა ჩაძირა. გემის 350 ებრაელი მგზავრიდან 345 დაიღუპა. უზარმაზარი მსხვერპლი მოჰყვა 1942 წლის 1-ელ ოქტომბერს М-118-ის მიერ ჩაძირულ გერმანულ სატრანსპორტო გემ „ზალცბურგს", რომელსაც ტყვე წითელარმიელები გადაჰყავდა. 2300 კაციდან დაახლოებით 2200 დაიხრჩო.

ომის შემდგომ პირველ წლებში სუსტი სამეცნიერო-სამრეწველო პოტენციალის გამო ფლოტის განვითარებისათვის პრინციპულად ახალი მიდგომები არ ჩამოყალიბებულა და მისი მშენებლობა ძველი შეხედულებებით მიმდინარეობდა.

გასული საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა საოკეანო ფლოტის შექმნა დაიწყო, რაც უპირველესად, სამეცნიერო-ტექნიკურმა მიღწევებმა განაპირობა. არსებული ტენდენციების შესაბამისად, შემტევი ფუნქციები სხვადასხვა ტიპის რაკეტებით აღჭურვილ ხომალდებსა და კატარღებს დაეკისრა.

საბჭოთა პერიოდი მრავალრიცხოვანი ავარიებითა და კატასტროფებით აღინიშნა. ამის თაობაზე ინფორმაციები დიდი ხნის მანძილზე გასაიდუმლოებული იყო და მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ცნობილი. 1955 წლის 29 ოქტომბერს სევასტოპოლთან რეიდზე ომის დროიდან დარჩენილი გერმანული ნაღმის აფეთქებას სახაზო ხომალდი „ნოვოროსიისკი" (ექსიტალიური „ჯულიო ჩეზარე") შეეწირა. თუმცა სამხედროები იტალიელი წყალქვეშა დივერსანტების მიერ მოწყობილ აფეთქებასაც არ გამორიცხავდნენ. ცუდად ორგანიზებული სამაშველო სამუშაოების გამო აფეთქებას 607 საბჭოთა მეზღვაური ემსხვერპლა.

საესკადრო ნაღმოსანი „ოტვაჟნი" მწყობრში 1966 წელს ჩადგა. მას კარგი


სარაკეტო კატარღა „სამუმი"

სარაკეტო შეიარაღება ჰქონდა. 1974 წლის 30 აგვისტოს სევასტოპოლიდან 20 მილში, ფრეგატის კიჩოში, საზენიტო რაკეტების საცავში, მოკლე ჩართვამ ხანძარი გამოიწვია, რასაც თან აფეთქებები მოჰყვა. მისი გადარჩენის თითქმის ექვსსაათიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ „ოტვაჟნი" ჩაიძირა. კატასტროფას 24 კაცი შეეწირა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყება საქართველოს სანაპიროსთან შავი ზღვის ფლოტის ხომალდების შესამჩნევი აქტიურობით აღინიშნა. ფრეგატი „კრასნი კავკაზი", სადესანტო „კრიმსკი კომსომოლეცი", ტანკერი „დონი" და სხვა გემები აფხაზეთში რუსული სამხედრო ობიექტების ზღვიდან საწვავით მომარაგებასა და დაცვას უზრუნველყოფდნენ. რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გენერალ გიორგი კონდრატიევის ბრძანებით ფრეგატი „ბეზუკარიზნენი" ბიჭვინთასთან პატრულირებდა, რათა ქართული დესანტის გადმოსხმა არ დაეშვა. საჭიროების შემთხვევაში მას ცეცხლის გახსნის უფლებაც ჰქონდა. რუსული ხომალდები გაგრისაკენ საქართველოს სამხედრო გადაზიდვებს რეგულარულად აკონტროლებდნენ, ხოლო ქალაქში მიმდინარე ბრძოლების დროს ქართული ფორმირებების პოზიციებისა და შვეულმფრენების მიმართულებით გამაფრთხილებელი ცეცხლი არაერთხელ გახსნეს.


კორვეტების სადგომი

1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების შემდეგ, როცა საქართველომ სოხუმიდან მძიმე ტექნიკის რკინიგზით გამოტანა ვერ შეძლო, საქმეში სადესანტო ხომალდი БДК-69 ჩაერთო. რუსულმა ხომალდმა 26 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე სოხუმიდან 3 რეისით მძიმე ტექნიკის 200-მდე ერთეული ფოთში გადაიტანა და ამისათვის 40 ათასი დოლარი მიიღო.

შავი ზღვის ფლოტის ხომალდებმა 25-26 სექტემბერს სოხუმიდან მოსახლეობის ევაკუცია დაიწყეს. მშვიდობიანი მოსახლეობის მიღება-გამოყვანა სეპარატისტთა საჰაერო და საზღვაო შეტევების თანხლებით მიმდინარეობდა, მაგრამ რუსი მეზღვაურები დამიზნებულ, საპასუხო ცეცხლს მოერიდნენ. რუსული მონაცემებით, ორ დღეში სოხუმიდან დაახლოებით 15 ათასი კაცი იქნა ევაკუირებული.

სოხუმში მიმდინარე ბრძოლებზე რუსეთის არმიის გენშტაბს სრული ინფორმაცია ჰქონდა. როცა საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის შევარდნაძის გამოყვანის საჭიროება გაჩნდა, რუსეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, გრაჩოვის ბრძანებით სოხუმისაკენ საჰაერო ბალიშზე მოცურავე „ზუბრის" ტიპის სადესანტო ხომალდი და საზღვაო ქვეითთა ასეული გაიგზავნა, მაგრამ დავალება არ შესრულდა. სეპარატისტებმა „ზუბრს" ინტენსიური ცეცხლი გაუხსნეს და ნაპირთან მიახლოების საშუალება არ მისცეს.

ფოთში შავი ზღვის ფლოტის ხომალდები კიდევ ერთხელ, ამჯერად საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების თხოვნით 1993 წლის 4 ნოემბერს შემოვიდნენ. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ვითარება კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა და ხელისუფლებამ დახმარებისათვის მოსკოვს მიმართა. ფოთს მოადგნენ სადესანტო „კონსტანტინ ოლშანსკი", БДК-54, ფრეგატი „კრასნი კავკაზი" და მტრალავი „სნაიპერი". ხომალდებმა 1600 საზღვაო ქვეითი შემოიყვანეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც წესრიგი მალე დაამყარეს და რაც მთავარია, ლოთი ქობალიას რაზმებს ქალაქში შესვლის საშუალება მოუსპეს. ფოთის ნებაყოფლობითი რუსული ოკუპაცია 30 ნოემბერს დასრულდა.

დღევანდელი შავი ზღვის ფლოტი ძველი საბჭოთა საოკეანო ფლოტის ჩრდილიღაა, რომელიც სწავლებებსა და ლაშქრობებს მხოლოდ დროდადრო ახერხებს. უკრაინა-რუსეთის 1997 წლის 28 მაისის შეთანხმების შემდეგ რუსეთს ფლოტის 81,7%, ანუ 388 საბრძოლო და დამხმარე მცურავი საშუალება დარჩა. თუმცა ხომალდებისა და გემების დიდი ნაწილი კრიტიკული ასაკის იყო ან მას უახლოვდებოდა.

ამჟამად I, II და III რანგის საბრძოლო ხომალდების უმეტესობა 20-30 წლისაა და აუცილებელი მოდერნიზაცია-რემონტი ესაჭიროება, რასაც უსახსრობა აფერხებს. არასაკმარისი დაფინანსების გამო რუსეთის გემთსაშენი ქარხნები წელიწადში 1-2 ხომალდის დასრულებას თუ ახერხებენ, ამიტომ ძველი ხომალდების სრულად შეცვლა არ ხერხდება. შავი ზღვის ფლოტს ბოლო ახალი ხომალდი მტრალავი „ვალენტინ პიკული" 2001 წელს შეემატა.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა სევასტოპოლს უკავშირდება. სევასტოპოლი 1804 წლიდან ჯერ მთავარი სამხედრო პორტი, შემდეგ მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზაა. კიევი-მოსკოვის 1997 წლის შეთანხმების თანახმად, რუსეთი სევასტოპოლში 2017 წლამდე დარჩება. უკრაინის ხელისუფლება, რომელსაც კურსი NATO-სკენ აქვს აღებული, შეთანხმების პირობებს იცავს. როგორ განვითარდება 12 წლის შემდეგ მოვლენები, ძნელი სათქმელია, თუმცა უკრაინის ოფიციალური პირები უკვე საჯაროდ აცხადებენ, რომ რუსული ფლოტის ქვეყანაში ყოფნა მის ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება და სახელმწიფოს დისკომფორტს უქმნის. ამ პრობლემას ეკონომიკური მხარეც აქვს. რუსეთს ყირიმში სამხედრო ობიექტების იჯარა წელიწადში 93 მილიონი დოლარი უჯდება და როგორც უკრაინული წყაროები აღნიშნავენ, მოსკოვის დავალიანება წლიდან წლამდე იზრდება.

ახალი მთავარი ბაზა ნოვოროსიისკში უნდა განლაგდეს. რუსეთის მთავრობამ ჯერ კიდევ 1994 წელს მიიღო დადგენილება ნოვოროსიისკში სამხედრო-საზღვაო რაიონის ფორმირებასა და ხომალდების ბაზირების სისტემის შექმნაზე. ბაზის მშენებლობა წელს დაიწყო და 10 წლის შემდეგ უნდა დასრულდეს.

ნოვოროსიისკის საზღვაო ბაზის უფროსის, ვიცე-ადმირალ როგატინის განცხადებით, უკვე შემუშავებულია ფლოტის ნაწილების განსათავსებლად ბაზის კეთილმოსაწყობი მიზნობრივი პროგრამა.

ნოვოროსიისკს სევასტოპოლის მსგავსი მოხერხებული სადგომები არა აქვს. ამასთან, აქ ხშირია ძლიერი, ცივი ქარი ბორა, რომელიც მთების ფერდობებიდან ზღვისკენ რამდენიმე კილომეტრზე უბერავს. ზოგჯერ ის შტორმად იქცევა და ამ დროს პორტში მყოფი გემები იძულებული არიან ზღვაში გავიდნენ. იყო შემთხვევები, როცა ბორამ პორტში მდგომი გემები ჩაძირა.

ერთხანს რუსეთი შავ ზღვაში საერთაშორისო სწავლებების ჩატარებაზე თავს იკავებდა. თვითიზოლაციის პოლიტიკამ კარგი არაფერი მოიტანა, ამიტომ რუსეთმა პოზიცია შეიცვალა და 1998 წელს ორი ხომალდი და საზღვაო ქვეითთა ოცეული „სი ბრიზ 98"-ში გამოჩნდა. ამჟამად რუსული ხომალდები რეგულარულად მონაწილეობენ შავი ზღვისპირა ქვეყნების საზღვაო თანამშრომლობის ფარგლებში BLACKSEAFOR-ის ლაშქრობებში.

მომავალში შავი ზღვის ფლოტისთვის პრიორიტეტული იქნება დიზელიანი წყალქვეშა ნავები, საზღვაო ზონის მრავალმხრივი დანიშნულების წყალზედა ხომალდები და კატარღები, სანაღმო-მტრალავი გემები, სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარები და მოიერიშე ავიაცია. რუსეთის ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით, ფლოტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობა რეგიონში ეროვნული უსაფრთხოების დონესა და ხასიათს უნდა შეესაბამებოდეს.

ორგანიზაციულად შავი ზღვის ფლოტი აერთიანებს საზღვაო ავიაციას, სანაპირო ჯარებს, საზღვაო ქვეითებს, სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებს, წყალქვეშა და წყალზედა ხომალდებს; მსახურობს დაახლოებით 18000 კაცი.

ავიაციის განკარგულებაშია საზღვაო მოიერიშეთა პოლკი (22 Су-24), სატრანსპორტო (Ан-12, Ан-26, Ан-2) და ჰიდროთვითმფრინავები (Бе-12), შვეულმფრენები (Ка-27, Ми-8, Ми-14);

საზღვაო ქვეითები 1400 კაცს ითვლის. შეიარაღებაში აქვს ჯავშანტექნიკა (БТР-80, БМП-2, МТ-ЛБ), თვითმავალი არტილერია (2С1, 2С9);

არის წყალქვეშა მებრძოლთა სპეცდანიშნულების რაზმი, რომელსაც ანტიტერორისტული მომზადება აქვს გავლილი;

სანაპირო დაცვის ძალები აღჭურვილია „რუბეჟისა" (ხერსონესი და ტუაფსე) და „რედუტის" (ანაპა) კომპლექსებით. საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი С-300П გაშლილია სევასტოპოლის მახლობლად;

მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა სევასტოპოლია.

მე-11 წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო ხომალდების ბრიგადაში შედის: სარაკეტო კრეისერი „მოსკვა" (ფლაგმანი), საესკადრო ნაღმოსნები „ოჩაკოვი" (რემონტი) და „ქერჩი" (რემონტი), ფრეგატები „ლადნი" და „პიტლივი";

197-ე სადესანტო ხომალდების ბრიგადა: „ნიკოლაი ფილჩენკოვი", „სარატოვი", „ორსკი", „ცეზარ კუნიკოვი", „აზოვი", „ნოვოჩერკასკი" და „იამალი";

247-ე წყალქვეშა ნავების ცალკეული დივიზიონი: Б-871 „ალროსა", Б-380 (რემონტი), ПЗС-50, УТС-247, СС-226; მოსალოდნელია ჩრდილოეთიდან წყალქვეშა ნავ „კალუგას" გადმოყვანაც;

68-ე საზღვაო ბრიგადა: მე-400 კორვეტების („ალექსანდროვსკი", „სუზდალეცი", „მურომეცი", „ვლადიმირეცი", МПК-127) და 418-ე მტრალავების („კოვროვეცი", „რადისტი", „ტურბინისტი", „სნაიპერი", „ვიცე-ადმირალი ჟუკოვი", РТ-46) დივიზიონები;

41-ე სარაკეტო კატარღების ბრიგადა: 166-ე („ბორა", „სამუმი", „შტილი", „მირაჟი") და 295-ე (Р-44, Р-71, Р-334 „ივანოვეცი", Р-60, Р-109, Р-239) დივიზიონები; უზრუნველყოფის 5 კატარღა;

მზვერავი ხომალდების ცალკეული დივიზიონი: „პრიაზოვიე", „ლიმანი", „კილდინი", „ეკვატორი";

ნოვოროსიისკი – 184-ე კორვეტების დივიზიონი: „კასიმოვი", „პოვორინო", „ეისკი" (ბოლო ორი ხომალდი ფოთიდან არის გაყვანილი);

170-ე მტრალავების დივიზიონი: „ჟელეზნიაკოვი", „ვალენტინ პიკული", „მინერალნიე ვოდი", „ლეიტენანტ ილინი";

ტემრიუკი – 97-ე ცალკეული წყალზედა ხომალდების დივიზიონი: სარეიდო მტრალავები РТ-168 და РТ-278, საშტაბო ხომალდი СДК-82, სადესანტო კატარღები Д-263, Д-295, Д-304 (ფოთიდან არის გაყვანილი), Д-460; РБ-209, МБ-174, ВТН-99 (ფოთიდან არის გაყვანილი), ВТН-96;

დამხმარე ფლოტი დაახლოებით 200-მდე გემსა და კატარღას ითვლის;

შავი ზღვის ფლოტის სარდალია ვიცე-ადმირალი ალექსანდრე ტატარინოვი. რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე ტრადიციულად ივლისის ბოლო კვირას აღინიშნება.

**თემურ ჩაჩანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. ცხენოსანი ჯარი; 6. „ჰერი-ჰერი" კლასის ფრანგული საავიაციო რაკეტა; 7. მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ჯარისკაცის მამა"; 9. ცეცხლსასროლი იარაღის მილი, რომელშიც ტყვია მოძრაობს; 10. ძველებური მოკლე თოფი, კარაბინის წინაპარი; 11. კორეული ავტომობილი; 13. ოფიცრის წოდება; 15. პირი, რომელიც ფრონტზე მოკლულებსა და დაჭრილებს ძარცვავს; 17. ომის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 19. ძველი საბერძნეთი; 20. წამლის ფორმა; 22. ირლანდიის პორტი და სამხედრო საზღვაო ბაზა; 24. ძლიერი ფეთქებადი ნივთიერება; 27. არგენტინული სასწავლო-საწვრთნელი თვითმფრინავი; 32. ისრის წვერი; 33. ბრაზილიური საბურავებიანი ჯავშნოსანი მანქანა; 35. მსროლელი, რომელიც კარგად არის დაუფლებული მიზანში ზუსტად სროლას; 36. სირაქლემას სახეობა; 37. მსახიობი ... ბურჯანაძე; 38. ნობელის გამოგონება, ფეთქებადი ნივთიერება. **შვეულად:** 1. თავდაცვითი ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია არტილერიის ცეცხლისგან და მცირე და საშუალო კალიბრის ავიაბომბებისგან დასაცავად; 2. ამერიკული სარაკეტო წყალქვეშა ნავი; 3. ინგლისური ლუდი; 4. ესპანური 5,56 მმ-იანი ხელის ტყვიამფრქვევი; 5. თავის კანი თმებიანად, რომელსაც აძრობდნენ დამარცხებულ მტერს და მიჰქონდათ ნადავლის სახით, ჩვეულებად ჰქონდათ ძველ გალებს და ამერიკელ ინდიელებს; 8. ინგლისური 105 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი; 11. სამხედრო ფორმის ქურთუკი; 12. ჯარის ნაწილი, რომელიც შეიარაღებულია ზარბაზნებით, ჰაუბიცებით, ნაღმსატყორცნებით და სხვ. 14. იაპონიის პორტი, სადაც განლაგებულია იაპონიის სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზა; 15. საბავშვო მატროსული კოსტიუმი; 16. ჯარების გადასხმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე; 18. იტალიური 40 მმ-იანი საზღვაო-საზენიტო, საარტილერიო კომპლექსი; 21. მცირე ჩრდილი; 22. რუსული ვერტმფრენის მარკა; 23. ნორვეგიელი მოგზაურის ტურ ჰეიერდალის ერთ-ერთი ნავი; 25. ბუნებრივი წყალსაცავი; 26. სამხედრო ნაწილთან არსებული პატარა საავადმყოფო; 28. გაუმჯობესებული მშვილდ-ისარი; 29. შვეიცარიული სასწავლო თვითმფრინავი; 30. ბრძოლის ველი; 31. ფარიკაობის იარაღი; 34. პატარა ტანის.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის" პასუხები:* **თარაზულად:** 1. პოლკოვნიკი; 7. სტინგრეი; 8. ლეოპარდი; 11. პო; 12. ტირანია; 14. რეზერვი; 16. ასი; 17. ნავი; 20. ელბა; 21. ტული; 22. კაბალა; 23. ფირალი; 28. ბალისტიკა; 29. მიკა; 30. ბატარეა; 31. ფიურერი; 32. კია. **შვეულად:** 1. პეგასი; 2. კანონირი; 3. ისარი; 4. იპოდრომი; 6. აკრონი; 8. ლორინგი; 9. პრესი; 10. რევოლვერი; 12. ტუ; 13. აქსელბანდი; 15. ერლიკონი; 18. გატორი; 19. მარაბდა; 24. ლი; 25. ჩიგლი; 26. დაბური; 27. ასტერი; 28. ბრედლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ელიტური მებრძოლი

## ვარჯიშთა კომპლექსი მუცლის კუნთებისთვის

**ვარჯიში 1.**

დაწექით ზურგზე (იატაკზე);

ნიკაპით შეეხეთ მკერდის ზედა ნაწილს;

ხელის გულები დააწყვეთ ბარძაყის წინა ზედაპირზე. ნელ-ნელა წამოსწიეთ ტანი დაახლოებით 10 სმ სიმაღლეზე ისე, რომ ხელის თითებით მუხლებს მიწვდეთ;

დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ვარჯიში გაიმეორეთ 10-12-ჯერ.

**ვარჯიში 2.** *ტანის მოხრა V-სებურად*

დაწექით ზურგზე. შეტყუპებული გამართული ფეხები ასწიეთ $45^0$-იანი კუთხით;

კისერზე გადააჭდეთ ხელის თითები, წამოსწიეთ ტანი, წამოჯექით, იმავდროულად ფეხები დაუშვით იატაკზე და შეეცადეთ, შუბლით მუხლებს შეეხოთ. მიიღეთ საწყისი მდგომარეობა;

ვარჯიში გაიმეორეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც შეძლებთ.

ეს საკმაოდ რთული, მაგრამ ეფექტური ვარჯიშია მუცლის კუნთებისთვის. შესაძლოა იგი პირველ-მეორე ცდაზე არ გამოგივიდეთ, მაგრამ ხელს ნუ ჩაიქნევთ.

**ვარჯიში 3.**

დაწექით ზურგზე, ხელები თავქვეშ ამოიდეთ. ფეხები შეატყუპეთ;

მოხარეთ მუხლები და ფეხები ასწიეთ. იმავდროულად წამოსწიეთ ტანი, მუხლები მოაქციეთ იდაყვებს შორის და შეეცადეთ, რაც შეიძლება დიდხანს დარჩეთ ამ მდგომარეობაში;

შემდეგ ნელ-ნელა დაუშვით ტანი და ფეხები და დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას;

ვარჯიში შეასრულეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც შეძლებთ.

**ვარჯიში 4.** *ტანის წამოწევა*

დაწექით ზურგზე, ფეხის თითები გამოსდეთ შტანგას ან ნებისმიერ ავეჯს;

ხელები შემოიწყვეთ კეფაზე და წამოსწიეთ ტანი მაქსიმალურად;



დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. გაიმეორეთ, რამდენჯერაც შეძლებთ.

**ვარჯიში 5.** *ტანის წამოწევა ფეხების გადაჯვარედინებით*

დაწექით ზურგზე, ხელები დაიწყვეთ კეფაზე;

ერთდროულად წამოსწიეთ ტანის ზედა ნაწილი და ფეხები. შემდეგ შემოაბრუნეთ ტანი, გადააჯვარედინეთ ფეხები და მარჯვენა იდაყვით შეეხეთ მარცხენა ფეხის მოხრილ მუხლს;

დაუბრუნდით საწყის მდგომარეობასა და გაიმეორეთ ვარჯიში მეორე ფეხით.

**ვარჯიში 6.**

დაწექით იატაკზე. ფეხები მოხარეთ მუხლებში. ტერფებით დაეყრდენით იატაკს. ხელები დაიწყვეთ კეფაზე;

წამოსწიეთ ტანი და ნიკაპით შეეხეთ მუხლებს;

შემდეგ დაუშვით ტანი, მაგრამ არა ბოლომდე. შეეცადეთ, რამდენიმე ხანს ტანი ასეთ მდგომარეობაში დაიკავოთ;

შემდეგ დაწექით იატაკზე და გაიმეორეთ ვარჯიში 10-12-ჯერ.

**ვარჯიში 7.**

დაწექით ზურგზე. ხელები დაიწყვეთ კეფაზე;

გამართული, შეტყუპებული ფეხები ასწიეთ $45^0$-იანი კუთხით;

დაუშვით ფეხები ისე, რომ არ შეეხოთ იატაკს და შეეცადეთ, რამდენიმე ხანს ასე გააჩეროთ;

შემდეგ დაუშვით ფეხები იატაკზე, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას და ვარჯიში გაიმეორეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც შეძლებთ. ■

# საკვებად გამოსადეგი მწერები

ჟურნალის წინა ნომერში ჩვენ მოგაწოდეთ ინფორმაცია იმ მწერების შესახებ, რომლებმაც ექსტრემალურ პირობებში მოხვედრისას შეიძლება დისკომფორტი შეგიქმნან ან თქვენს ჯანმრთელობას ზიანი მიაყენონ. თუმცა ბუნებაში არსებული მწერების დიდ უმრავლესობას შეუძლია თქვენი სიცოცხლეც კი იხსნას, თუკი მათ საკვებად გამოიყენებთ. მთავარი ერთი რამ არის — დაძლიეთ თქვენი ზიზღი მათ მიმართ. მით უმეტეს, რომ ისინი სხვა ცხოველური ორგანიზმების მსგავსად ორგანიზმისთვის საჭირო საკვებ ნივთიერებებს — ცილებს, ცხიმებსა და ნახშირწყლებს შეიცავენ.

შეიხედეთ ყველა მოფარებულ, მყუდრო კუთხეში, ხეების ნაპრალებში, ბნელ, ნესტიან ადგილებში. ეძებეთ ხოჭოს მატლები, მათ ღია შეფერილობა და სამი ფეხი აქვთ. ისინი არიან იმ ხეებზე, რომელთაც აშრევებული აქვთ ქერქი ან ძველ ფუტუროს კუნძში. შეაგროვეთ მხოლოდ ცოცხალი მატლები. ნუ აიღებთ ისეთ მატლებს, რომლებიც გვანან ავადმყოფს ან მკვდარს, რომელთაც ცუდი სუნი აქვთ ან ხელზე შეხებისას იწვევენ გამონაყარს. ფრთხილად იყავით: ასეთ ადგილებში ხშირად იმალებიან გველები, მორიელები და ობობები.

მწერების უმრავლესობა შეიძლება



ეროვნული ბიბლიოთეკა



საკვებად უმად გამოიყენოთ, თუმცა მოხარშული უფრო გემრიელიც არის და უსაფრთხოც. შეიძლება ისინი შეწვათ ცხელ ქვებზე ან ნაკვერჩხალში. ჭამის წინ დიდი ზომის მწერებს მოაცალეთ ფრთები და თათები, რადგან ისინი კუჭნაწლავის ტრაქტს აღიზიანებენ. ბუსუსიან მუხლუხებს შიგთავსი უნდა გამოადინოთ, მათი კანი საკვებად არ გამოიყენება. ხოჭოებს უნდა მოაცილოთ ქიტინის მკვრივი საფარველი. მცირე ზომის მწერები შეგიძლიათ დანაყოთ და მოამზადოთ ან გამოაშროთ და დაფქვათ, შემდეგ იგი დაუმატოთ კერძებს.

ყურადღება! ნუ შეაგროვებთ ლეშზე ბინადარ მწერებს, რადგან ისინი სხვადასხვა ინფექციის გადამტანები არიან. ნუ შეაგროვებთ ფოთლის ქვედა ზედაპირზე მყოფ მატლებს, ისინი შხამებს გამოყოფენ. მკვეთრი შეფერილობის მწერები და მატლები შხამიანია!

ჭიანჭველების უმრავლესობა იკბინება. კბენისას ისინი გამოყოფენ ჭიანჭველმჟავას. მის გასაუვნებლად ჭიანჭველები უნდა ხარშოთ არაუმცირეს ექვსი წუთისა.

კალიები, კუტკალიები, ჭრიჭინები: ამ მწერებს მთლიანი ტანი და კუნთოვანი თათები აქვთ. ისინი შეგიძლიათ მოკლათ ფოთლიანი ტოტით ან რაიმე ქსოვილის ნაჭრით. მოაცალეთ ფრთები, თათები და ულვაშები. შეგიძლიათ უმად მიირთვათ, თუმცა უმჯობესია შეწვათ.

ფუტკრები, კრაზანები: ფუტკრები საკვებად ვარგისია მთელი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე. ისინი ბუდეს, ძირითადად, ხის ფუღუროებში, გამოქვაბულებში ან გადმოკიდული კლდის ქვეშ აგებენ. საშოვარზე გადით ღამით. ბალახის კონისგან გააკეთეთ ჩირაღდანი, მოუკიდეთ ცეცხლი და მიიტანეთ ფუტკრების ბუდის შესასვლელთან, რათა ბუდე კვამლით გაივსოს. შემდეგ ხვრელი ამოქოლეთ. ფუტკრები დაიხოცებიან. თაფლის გარდა, მიიღებთ საკვებს თავად ფუტკრების სახით. ჭამის წინ ფუტკარს მოაცილეთ ფრთები, თათები და ნესტარი. მოხარშვისას ან შეწვისას ის უფრო გემრიელი ხდება. შეგიძლიათ ჭამოთ ფიჭაც. ცვილისგან კი დაამზადოთ სანთელი.

კრაზანები ძალზე მწარედ იკბინებიან, ამიტომ უფრო უსაფრთხო საკვები მოძებნეთ.

# სროლა მუხლზე დაყრდნობით, ქამრის გამოყენებით

დამიზნების ეს ხერხი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც დახრილ მდგომარეობაში სროლა შეუძლებელია — ნანგრევებში, მშენებლობებზე, მაღალ ბალახში ან მცირე ზომის ბუჩქებში.

მუხლიდან სროლის დროს მსროლელი ზის თავის მარჯვენა ფეხზე. უფრო ზუსტად, მარჯვენა ფეხსაცმლის ქუსლზე. სხეულის სიმძიმე ეყრდნობა ამ ქუსლსა და მუხლს. ამ დროს დაყრდნობის ფართობი საკმაოდ დიდია. მარცხენა ფეხზე მოდის მარცხენა ხელის წონა, რომლითაც მსროლელს შაშხანა უჭირავს. რაც შეეხება ქამარს, მისი გამოყენების პრინციპი ისეთივეა, როგორიც წოლით მდგომარეობაში სროლისას. მხოლოდ მუხლზე დაყრდნობისას, ქამარს ოდნავ დაბლა სწევენ და მარცხენა ხელის მტევანი წაინაცვლებს ლულის ბოლოსკენ. ამ პოზიციაშიც მარცხენა იდაყვი შაშხანის ქვეშ მკაცრად ვერტიკალურად მდებარეობს.

მარცხენა საყრდენი ფეხის წვივი მდებარეობს სროლის სიბრტყეში მკაცრად ვერტიკალურად მარცხენა ხელის ქვეშ და მასთან ერთად ქმნის სწორ, ვერტიკალურ ხაზს. ამ ვერტიკალიდან გადახრა გამოიწვევს ტყვიების ჰორიზონტალურ გაფანტვას. სასურველია, მარცხენა ფეხის წვივი იდგეს ვერტიკალურად (გვერდითი ხედიდან), თუმცა მსროლელის ანატომიური თავისებურებებიდან გამომდინარე, იგი შეიძლება იყოს გაწეული ან პირიქით, შიგნით შეწეული. მარცხენა ტერფი შებრუნებულია მარჯვნივ იმდენად, რამდენადაც ეს მოსახერხებელია კონკრეტული მსროლელისთვის.

მსროლელის ტანი მობრუნებულია ნახევარი ბრუნით სროლის სიბრტყიდან. შეძლებისდაგვარად თავი უჭირავს სწორად. ტანი ოდნავ წინ არის წახრილი. მარჯვენა ხელის იდაყვი



დაშვებულია დაბლა ისე, რომ ტანთან 20-40$^0$-იან კუთხეს ქმნის.

მუხლიდან სროლისას მსროლელმა საკუთარი სხეული უნდა გააწონასწოროს იარაღთან: სისტემის „მსროლელი-იარაღი“ მასა, რომელიც ექაჩება წინ, უნდა გაუწონასწორდეს მასას, რომელიც უკან ეწევა. თუ მსროლელი მხრებში მოხრილია, იგი სიმძიმის ძალით წინ იწევს და, შესაბამისად, ტყვია დაბლა წავა. ხოლო თუ მსროლელი ზედმეტად გამართულია და უკან არის გადახრილი, ტყვია წავა მაღლა. ამიტომ მსროლელი სრული წონასწორობაში უნდა იყოს.

*მაიორი ზურაბ ხუციშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამხეცებული მანქანა

## ანუ «ტიგრს» «ჰამერის» დიდება არ ასვენებს







უჩვეულო ფორმის ავტომობილმა ხორხისმიერი ხმები გამოსცა და ხროტინით დაიქოქა, მერე ადგილს მოსწყდა და ქვიშაში ღრმა ნაკვალევი დატოვა, მეორე სიჩქარე — სრული გაზი, მესამე! ავტომობილმა მომცრო ორმო გადალახა და მთელი სიჩქარით ებრძოლვნა ქვიშის სამმეტრიან ბარხანს, წინა ბორბლები ჰაერში აისროლა, თითქოს ყალბზე შედგაო, იმავე წამს საქარე მინაში გამკრთალი ლურჯი ცა, უდაბნოს სიყვითლემ შეცვალა. ხუთტონიანმა ურჩხულმა მიწაზე მოადინა ზღართანი, თითქოს ტანი შეიფერთხაო, ჰაერში ქვიშა და მტვრის ბული აყარა და სიჩქარეს უმატა. ეს გახლავთ ГАЗ 2975 „ტიგრი" — უკომპრომისო მანქანა-მხეცი, მრავალმიზნობრივი სამხედრო მანქანა, რომელიც ГАЗ-ს არაბთა გაერთიანებული ემირატების სამხედრო უწყებამ დაუკვეთა. გადაუმოწმებელი ინფორმაციით, პროექტის შესასრულებლად არაბებმა 60 მილიონი ამერიკული დოლარი გამოყვეს. თუმცა მანქანის სერიულ წარმოებაზე ჯერჯერობით უარს ამბობენ. გაზის კონსტრუქტორებმა ჯერ კიდევ 2001 წელს დაამზადეს პირველი საცდელი ეგზემპლარი, სულ გაზ-2975 ტიგრის ხუთი მოდიფიკაციის საცდელი მანქანა არსებობს, რომლებიც ადაპტირებულია არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო მოხმარებისთვისაც.

ტიგრის ჩონჩხი მძლავრი ლანჟერონული ჩარჩოსგან შედგება, რომელზეც საკი-



ელექტრონული ბიბლიოთეკა









დრები, ამორტიზატორები და სხვა აგრეგატებია განლაგებული. მას 180-ძალიანი ამერიკული ტურბოდიზელის ძრავა Cummins B-180 აქვს, რომლის სამუშაო მოცულობა 5,9 ლიტრია. მასზე დამონტაჟებულია ექვსსაფეხურიანი მექანიკური სიჩქარეთა კოლოფი Prada (ჩეხეთი). ხოლო ორსაფეხურიანი გამანაწილებელი კოლოფი, ბლოკირებადი დიფერენციალით — რუსულია. მასირებული, სახასიათო ფორმის ბორბლები ცნობილი ჯავშანტრანსპორტიორს მოგაგონებთ. სინამდვილეში ასეც არის: ბორბლები თავისი საკიდრებიანად თითქმის უცვლელად გადმოიტანეს „ბეტეერიდან“. ორი პარალელური ბერკეტის კონსტრუქცია სქემატურად „ჟიგულისას“ მოგაგონებთ. ოღონდ აქ დრეკადი ელემენტების როლს ტორსიონები ასრულებს. დამოუკიდებელი ტორსიონული საკიდარი თითოეული ბორბლის დამოუკიდებლად მოძრაობას უზრუნველყოფს. თითოეულ ბორბალში მოთავსებულია სუბარვის ჰერმეტული რედუქტორი. გამავლობის გასაძლიერებლად „ტიგრის“ ბორბლები ალჭურვილია საბურავებში წნევის ცვალებადობის ცენტრალური სისტემით. ჯავშანტრანსპორტიორიდანაა გადმოტანილი აგრეთვე წინა და უკანა ხიდების გადამცემი, თვითბლოკირებადი დიფერენციალებით. კონსტრუქტორებმა საბრძოლო მანქანების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით „ტიგრის“ დაჯავშნული ვარიანტიც გააკეთეს. მანქანის კორპუსი თერმულად დამუშავებული ჯავშან-ფოლადისგან კეთდება, რომლის სისქე 5 მილიმეტრია. ასეთი მანქანა ჩვეულებრივზე 700 კილოგრამით მძიმეა. მანქანის უნიფიკაციის მიზნით კონსტრუქტრებმა მოსახსნელი ჯავშნიანი ძარა გააკეთეს. ასე რომ, ერთსა და იმავე ჩარჩოზე სხვადასხვა ძარის მორგება შეიძლება — დახურული სამგზავრო ჯავშნიანი და სატვირთო პლატფორმიანი („ტიგრს“ ტონა-ნახევარი სიმძიმის ტვირთის გადატანა შეუძლია). ბერკეტები, ღილაკები სპიდომეტრი და სხვა მოწყობილობები ჩვეულებრივ მანქანებშიც გინახავთ. „ტიგრის“ კაბინა ძალიან საინტერესო განლაგებით გამოირჩევა — მძღოლის ადგილი მტკიცე თეჯირითაა გადატიხრული, წინ მხოლოდ ორი ადგილია, სავარძლებს შორის კი ტრანსმისიის ხვრელია. ხვრელზე ორი ბერკეტია — სიჩქარეთა კოლოფისა და გამანაწილებელი. ინტერიერი ასკეტურია. სავარძლის ტყავის და ხაოიანი საპირე სალონში არ ჩანს (ჯერჯერობით), სამაგიეროდ, თავისუფლად შეგიძლიათ ტალახიანი ჩექმებით მოკალათდეთ და თან ძაღლებიც იახლოთ.

მძღოლის სავარძელი მოძრავია. შეიძლება მისი მოთხოვნილების მიხედვით დარეგულირება. თუ მოხერხებულად გინდათ ატაროთ მანქანა, სავარძელს უკან გასწევთ და ღრმად ჩაჯდებით (სამაგიეროდ, ხედვის არეალი შეიზღუდება). თუ ხედვის არეალის გაფართოება გსურთ, სავარძელს მაღლა ასწევთ, რის შემდეგაც საჭე მუხლების სიმაღლეზე გექნებათ. ასე მანქანის მართვა შედარებით მოუხერხებელია, მაგრამ სამაგი-



ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროდ, სამხედრო მანქანის ვიწრო ფანჯრებიდან ყველაფერს დაინახავთ.

მშრალ სილაზე „ტიგრი“ მოძრაობას მეორე სიჩქარიდანაც თავისუფლად იწყებს და სიჩქარეთა სწრაფი გადართვის შემთხვევაში 100 კმ/სთ-ს 20 წამში აღწევს. მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს გადალახოს 45 გრადუსიანი აღმართი 120 კილომეტრიანი სიჩქარით და რბილად და ყოველგვარი რყევის გარეშე გაიაროს ისეთი დაბრკოლებები, რომელთა გავლის დროსაც „უაზის“, „ურალისა“ და „გაზ-66“-ის მგზავრებს გვერდების დაბეგვა არ აცდებათ. „ტიგრს“ მუხრუჭებიც ზომიერი და საკმაოდ ეფექტური აქვს. თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამ მანქანის გამოყენების არეალი უდაბნოები, ჭაობები, მთები, ხეობები და გაუვალი ადგილებია. შეიძლება დავებადოთ კითხვა, ჰგავს თუ არა „ტიგრი“ სახელგანთქმულ „ჰამერს“? ჰგავს. ისევე, როგორც „უაზი“ — „მერსედეს გელენტვაგენს“. პრინციპში, ორივეს თავისი უპირატესობა გააჩნია.



ეროვნული ბიბლიოთეკა
n 11/27

# გამარჯვების პისტოლეტიდან კილერების იარაღამდე



## TT – პოლიციელთა ჯავშანჟილეტების რისხვა



ჰონკონგის პოლიცია მორიგეობაზე გასვლის წინ მესამე კლასის დაცვის მქონე ჯავშანჟილეტს იცვამს. ეს სამზადისი სპეციალურად „ტეტეს“ ტყვიისგან თავდასაცავად ხორციელდება. როგორც ირკვევა, ჩინური წარმოების TT-ს სისტემის პისტოლეტები ჰონკონგელი დამნაშავეების საყვარელი იარაღია.

თუმცა, რაღა შორს წავიდეთ, როდესაც საბჭოთა პერიოდში გამოშვებული TT-ები პოსტსაბჭოური სივრცის კილერების ნამდვილ „სამუშაო იარაღად“ იქცა. თანამედროვე პისტოლეტებისგან განსხვავებით, TT იაფი ღირს, ამასთან, მისგან გასროლილი ტყვიები მსხვერპლს, თუგინდ ჯავშანჟილეტში იყოს გამოწყობილი, გადარჩენის შანსს არ უტოვებს. კილერებს კი მეტი რა უნდათ, ერთ მჭიდს დააცლიან „შეკვეთილს“, არც საკონტროლო გასროლას ივიწყებენ და პისტოლეტსაც იქვე, შემთხვევის ადგილზე ტოვებენ.

არადა, იყო დრო, როდესაც ტოკარევის TT-ს დიდი სამამულო ომში გამარჯვებასთან აიგივებდნენ და „გამარჯვების იარაღად“ მოიხსენიებდნენ.



სტანდარტული 1946 წ. გამოშვებული TT და...



...იგივე TT, ოღონდ, იუგოსლავიური 9-გაზნიანი მჭიდით

ეროვნული ბიბლიოთეკა



TT-ს აბრევიატურა იშიფრება, როგორ „ტოკარევ, ტულა“, სადაც ტოკარევი პისტოლეტის კონსტრუქტორის გვარია, ხოლო ტულა ის ქალაქია, სადაც პისტოლეტი შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ TT 1930 წელს შეიქმნა, იგი ჯერ კიდევ რჩება რიგი ქვეყნების არმიებისა და პოლიციის შეიარაღებაში.

TT-ს ბევრ ნაკლს აღნიშნავენ, მათ შორის მჭიდში ვაზნების სიმცირეს, ავტომატური დამცველის არქონას და სხვა. თუმცა, მის დადებით თვისებებში აუცილებლად აღსანიშნავია, როგორც მცირე სისქე (რაც პისტოლეტის მალულად გადატანას ადვილებს), ასევე მძლავრი ვაზნა.

სწორედ TT-დან ნასროლი ტყვია წარმოადგენს იმ ძირითად არგუმენტს, რის გამოც ეს პისტოლეტი 75 წელი ინარჩუნებს კონკურენტუნარიანობას იარაღის იმ მსოფლიო ბაზარზე, რომელიც გაჯერებულია ულტრათანამედროვე „ზიგ-ზაურებით“, „ბერეტებით“, „გლოკებითა“ თუ „კოლტებით“.

TT-ს ვაზნა თავის დროზე ლეგენდარული „მაუზერის“ 7,63 მმ-კალიაბრიანი ვაზნის საფუძველზე შეიქმნა სახელწოდებით 7,62X25. აქედან, 7,62 მმ კალიბრს აღნიშნავს, ხოლო ციფრი 25 კი – ჰილზის სიმაღლეს მილიმეტრებში.

TT-დან გასროლილი ტყვიის საწყისი სიჩქარე 420 მ/წმ-ია. ასეთი სიჩქარით არც ერთი სხვა პისტოლეტი (გარდა ექსპერიმენტულებისა) არ ისვრის ტყვიას. დიდი სიჩქარით ნასროლი ტყვია იძლევა შორს დამიზნების საშუალებას და ამასთან, ასეთი ტყვია ჯავშანჟილეტებისა და რკინის მუზარადების გახვრეტის გარკვეულ გარანტიასაც იძლევა.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საბჭოთა ქარხნები ვაზნის ჰილზას თითბერისგან ამზადებდნენ, რომელშიც ტყვიისგან დამზადებულ გულას ათავსებდნენ. 1951 წლიდან ტყვიის გულა ლითონისგან დამზადებულით შეცვალეს და წონის შესანარჩუნებლად თავად ტყვია 16,5 მმ-მდე დააგრძელეს.

„არსენალს“ TT-ს გამოცდის დიდი გამოცდილება დაუგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ 9X19 PAR ვაზნებიანი პისტოლეტებიდან სროლა ბევრად უფრო მოსახერხებელია (თუნდაც იმიტომ, რომ გასროლის შემდეგ წარმოქმნილი უკუცემა ნაკლებია), TT-დან სროლისას გრძნობ, რომ ხელში ნამდვილი საბრძოლო იარაღი გიჭირავს.

სროლისას ცოტა მოუხერხებელია TT-ს მოკლე ტარი, რომელშიც მხოლოდ 8 ვაზნა ეტევა, თუმცა გამოსავალი აქაც არსებობს – TT-ს შეიძლება დაუყენოთ იუგოსლავიური ანალოგიური პისტოლეტის 9-ვაზნიანი (წაგრძელებული) მჭიდი. ეს მჭიდი ცოტათი გამოდის TT-ს ტარიდან, მაგრამ ხელის მოსაკიდებლად უკეთესია და თანაც მთლიანობაში პისტოლეტი უფრო დახვეწილ ფორმებს იძენს.

ბოლო წლებში უკრაინიდან, სადაც ომისდროინდელი იარაღის უზარმაზარი „ხელუხლებელი მარაგია“ შემონახული, საქართველოში TT-ს ტიპის პისტოლეტების საკმაოდ დიდი პარტიები შემოვიდა. ქართულ იარაღის მაღაზიებში TT-ების ფასი 250-300 დოლარის ფარგლებში მერყეობდა. ახლა მისი შოვნა 220-230 დოლარადაც შეიძლება. მთავარია, ნახევარსაუკუნეზე უფრო მხცოვანი პისტოლეტის ლულა კარგ მდგომარეობაში იყოს.

**ჩვენი დოსიე:** TT-ს სიგრძე 19,5 სმ აღწევს, საიდანაც 11,6 სმ ლულაზე მოდის, ვაზნების გარეშე პისტოლეტი 850 გ-ს იწონის, ხოლო 8 ცალი 7,62 მმ-კალიბრიანი ვაზნით დატენილი მჭიდით TT-ს წონა 940 გ-მდე ადის. ტყვიის საწყისი სიჩქარე 420 მ/წმ-ია. ტექნიკური სწრაფსროლა წუთში 30 გასროლას შეადგენს, ხოლო დამიზნებით სროლის სიშორე კი 50 მ-ს.

*ფოტოზე – ნინო აბუაშვილი*

*ირაკლი ალადაშვილი*


TT
არსენალი